

ᲘᲕᲐᲜᲔ ᲯᲐᲕᲐᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘ ᲰᲣᲛᲐᲜᲘᲢᲐᲠᲣᲚ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲘ IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY FACULTY OF HUMANITIES

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲓᲐᲐᲠᲡᲔᲑᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲛᲘᲫᲦᲕᲜᲘᲚᲘ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐ

SCIENTIFIC CONFERENCE DEDICATED TO THE FOUNDATION OF TBILISI UNIVERSITY

თსუ 106

**TSU 106** 

O D & O U D & O A B S T R A C T S

თებერ3ალი 12-13 FEBRUARY 2024 ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი Ivane Javakhishvili Tbilisi State University Faculty of Humanities

# თბილისის უნივერსიტეტის დაარსებისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია

თსუ 106

Scientific conference dedicated to the foundation of Tbilisi University

**TSU 106** 

თეზისები Abstracts

თებერვალი 12-13 February 2024

#### სამეცნიერო და საორგანიზაციო კომიტეტი:

- ნანა გაფრინდაშვილი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
- თეიმურაზ პაპასქირი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, პროფესორი;
- ეკატერინე ნავროზაშვილი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;
- დარეჯან გარდავაძე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
- ნინო პოპიაშვილი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის მთავარი სპეციალისტი, ფილოლოგიის დოქტორი.

#### Scientific and organizing Committee:

- Nana Gaprindashvili Dean of Ivane Javakhishvili Tbilisi State University Faculty of Humanities, Professor;
- **Teimuraz Papaskiri** Vice-Dean of Ivane Javakhishvili Tbilisi State University Faculty of Humanities, Professor;
- **Ekaterine Navrozashvili** Head of the Office of Academic Research and Development at Ivane Javakhishvili Tbilisi State University Faculty of Humanities, Associate Professor;
- **Darejan Gardavadze** Head of the Office of Quality Assurance at Ivane Javakhishvili Tbilisi State University Faculty of Humanities, Professor;
- Nino Popiashvili Chief Specialist of the Office of Academic Research and Development at Ivane Javakhishvili Tbilisi State University Faculty of Humanities, Doctor of Philology.

#### "ვითარცა იტყჳს ტიმეო" პეტრიწთან "As Timaeus says" in Petritsi

#### ლელა ალექსიძე Lela Alexidze

ივანე ჯავახიშვიღის სახეღობის თბიღისის სახეღმწიფო უნივეხსიგეგი Ivane Javakhishvili Tbilisi State University ჰუმანიგახუღი ფაკუღგეგი Faculty of Humanities ფიღოსოფიის ინსგიგუგი Institute of Philosophy

საკვანძო სიტყვები: ერთი, ნამდვილი არსი, გონება, დემიურგი. Keywords: one, true being, intellect, Demiurge. იოანე პეტრიწი პროკლეს "თეოლოგიის საფუძვლებზე" კომენტარში ახსენებს და განიხილავს არა მხოლოდ იმ საკითხებს, რომლებიც პროკლეს ამ ნაშრომის თემას წარმოადგენს, არამედ ეხება იმ პრობლემებსაც, რომლებიც სხვა ძველბერძნულ ფილოსოფიურტექსტებშია გადმოცემული. პლატონის "ტიმაიოსი" მის სხვა დიალოგებთან ერთად არსებითია პეტრიწისთვის პროკლეს ფილოსოფიის განმარტებისას.

ჩვენი მიზანია, განვიხილოთ პეტრიწის შეხედულება ხილული სამყაროს შემოქმედზე, ანუ პლატონის "ტიმაიოსის" დემიურგზე. პეტრიწის კომენტარში მას, შეიძლება ითქვას, ორგვარი ფუნქცია აქვს. პეტრიწი არ მსჯელობს დემიურგის შესახებ ისე ვრცლად, როგორც, მაგალითად, ე.წ. "ნამდვილმყოფის" (ქეშმარიტი არსის), სულის, გონების, ჰენადების, საზღვრისა და უსაზღვრობის, ან ყველაზე მნიშვნელოვანის - უზენაესი ("უზადო") ერთის შესახებ. დემიურგი პეტრიწის კომენტარში არის ხელოვანი-შემოქმედი, ღმერთი, რომელიც სახეს ანიჭებს ხილულ სამყაროს. ზოგ შემთხვევაში, დემიურგი პეტრიწთან თითქოს (ანუ საკმაოდ ბუნდოვნად და არა ცხადად) გაიგივებულია უმაღლეს ერთთან; უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ზოგჯერ თავად უზენაესი ერთი იძენს პეტრიწთან პიროვნული ღმერთისა და დემიურგის მახასიათებლებს. პეტრიწის მიერ გადმოცემულ ონტოლოგიურ იერარქიაში "ნამდვილმყოფს" (ანუ პირველ არსს, გონებათა მამას, გონებათა ერთობლიობას) განსაკუთრებული როლი ეკისრება: ის არის პირველსაწყისი ყველა არსისა და ფორმის ("გუარის") - ანუ ყველაფრისა, გარდა უფორმო მატერიის. როგორც ჩანს, პეტრიწისთვის "ნამდვილმყოფი", რომელსაც ის რეგულარულად ახსენებს, უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე დემიურგი. "ნამდვილმყოფი" პეტრიწისთვის იგივეა, რაც პლატონის "ტიმაიოსის" კოსმოსის იდეალური პარადიგმა: ის არის უმაღლესი გონითი გონება (შეესაბამება ბერძნ. nous noētos-ს), მაშინ როდესაც დემიურგი, შეიძლება დავასკვნათ, რომ შეესატყვისება "გონიერ გონებას" (შეესაბამება ბერძნ. nous noeros-ს). ამგვარად, პეტრიწის კომენტარში უზენაესი ერთისა და დემიურგის, როგორც მთელი კოსმოსის შემოქმედის, თვისებები, ერთი მხრივ, სავარაუდოდ, იდენტურია, ხოლო, მეორე მხრივ, დემიურგი წარმოადგენს გონების უფრო "დაბალ" დონეს, ვიდრე "ნამდვილმყოფი"; ხშირად ის არც არის ნახსენები იქ, სადაც პეტრიწის მკითხველი, კონტექსტიდან გამომდინარე, მის ხსენებას ელის.

როგორ შეიძლება ამ გაორების ახსნა? ვფიქრობ, პეტრიწისთვის არ იქნებოდა ადვილი, პროკლეს ონტოლოგიის განმარტებისას შესაფერისი ადგილი მოეძებნა ხილული სამყაროს შემოქმედის მეტ-ნაკლებად პიროვნული ხასიათისთვის, ხოლო, მეორე მხრივ, სხვა პლატონიკოსთა მსგავსად და არისტოტელიკოსთა საწინააღმდეგოდ, მას სურდა, დაეცვა დემიურგიული/შემოქმედებითი მიზეზის მნიშვნელობა სამყაროს ზე-დროული ქმნადობის სისტემაში. არსებითია ისიც, რომ პეტრიწი ქრისტიანი იყო და თავისი კომენტარი მან ქრისტიანი მკითხველისთვის დაწერა. შესაძლოა, ეს იყო მიზეზი, რომ უმაღლესი ერთი და დემიურგი მის კომენტარში თითქმის იდენტურად ხასიათდებიან, თუმცა პეტრიწი ამას ძალიან ბუნდოვნად გამოხატავს. სხვა მხრივ, საზოგადოდ, პეტრიწი პროკლეს ფილოსოფიის ადეკვატური კომენტატორი იყო: პეტრიწის კომენტარში, ისევე როგორც პროკლესთან, დემიურგიული/შემოქმედებითი მიზეზი, მამობრივ მიზეზთან შედარებით, უფრო დაბალ საფეხურზეა მიზეზობრიობის იერარქიულ ჯაჭვში. შესაბამისად, თუ უზენაესი ერთი გაიგივებულია მამობრივ მიზეზთან, ხოლო დემიურგი დემიურგიულ/შემოქმედებით მიზეზთან, მაშინ ეს უკანასკნელი, ცხადია, უზენაეს ერთთან შედარებით დაბალ საფეხურს უნდა იკავებდეს. ნებისმიერ შემთხვევაში, რა როლი და მახასიათებელიც არ უნდა ენიჭებოდეს პლატონის დემიურგს პეტრიწის ფილოსოფიაში, ის ვერ შეედრება განსაკუთრებულ მნიშვნელობასა და გაცილებით უფრო მეტად განსაზღვრულ დახასიათებას ნამდვილი არსისა (ანუ "ტიმაიოსის" კოსმოსის პარადიგმის), რომელიც ამ უკანასკნელს პეტრიწის ონტოლოგიურ სისტემაში ეძლევა.

In the commentary on Proclus' *Elements of Theology* Ioane Petritsi mentions and discusses not only the issues which are a subject of Proclus' *Elements*, but also those which are set forth in other ancient Greek philosophical treatises. Plato's *Timaeus*, along with his other dialogues, is important for Petritsi for commenting on Proclus' philosophy.

The aim of this paper is to analyze Petritsi's point of view on the creator of the visible world, i.e. the Demiurge of Plato's *Timaeus*. The

Demiurge of Plato's Timaeus has an ambiguous role in Petritsi's commentary. Petritsi does not analyze his figure as thoroughly as the true being, soul, intellect, Henads, limit and infinity, or the most important one - the supreme One. In Petritsi's commentary the Demiurge is a craftsman, God, who forms the visible world, although in some cases he is almost (i.e. quite vaguely and not clearly) identified with the Supreme One. Or, to put it more precisely, it is the Supreme One who receives in rare cases the features of a personal God and Demiurge. However, in the ontological hierarchy exposed by Petritsi, the true being (i.e. the first being, the father of intellects, the totality of intellects) plays a crucial role as the prime principle of all kinds of beings and forms, i.e. of everything except formless matter. Obviously, the true Being is much more important to Petritsi than the Demiurge, as he mentions the former regularly. The true Being is for Petritsi the paradigm of Plato's Timaeus and the Supreme Intelligible Intellect (nous noētos), while the Demiurge, as we can conclude, plays a role of an Intellectual Intellect (nous noeros). Thus, in Petritsi's commentary, on the one hand, the features of the supreme One and the Demiurge as producers of the whole universe are in certain cases virtually identical; though, on the other hand, the Demiurge represents a lower level of intellect than the true Being and in many cases, he is absent where a reader of Petritsi's commentary, following the context, expects his presence.

How can we explain this ambiguity? I suppose that for Petritsi, interpreting Proclus' ontology, it was difficult, on the one hand, to find an adequate place for the more or less personal character of the begetter of the visible world while, on the other hand, like other Platonists and against Aristotelians, he wanted to preserve the role of the demiurgic/creative cause in the mechanism of the non-temporal formation of the universe. Last but not least, Petristi was a Christian, and he wrote his commentary on Proclus for Christian readers. This was probably a reason why in some cases the supreme One and the Demiurge received almost identical characteristics, although Petritsi expressed this very vaguely. However, in general, Petritsi was an adequate commentator of Proclus' philosophy: in Petritsi's opinion, as in Proclus, the demiurgic/creative cause occupies a lower level than the paternal cause in the hierarchical chain of causality. Therefore, if the supreme One is to be identified with the paternal cause and the Demiurge with the demiurgic/creative cause,

then the Demiurge must be placed lower than the supreme One. Anyway, whatever might be the role and character of Plato's Demiurge in Petritsi's philosophy, it cannot be compared with the immense importance and much more definite characteristic that the true being (i.e. the paradigm of cosmos in *Timaeus*) has in Petritsi's ontological system.

მარტივი და რთული ქვეწყობილი ტემპორალური დაქვემდებარებული ნაწილით წინადადებების სინონიმია რუსულ და ქართულ ენებში Synonymy of Simple and Complex Sentences with Temporal Subordinate Clauses in the Russian and Georgian Languages

#### მარინე ალექსიძე Marine Aleksidze

ივანე ჯავახიშვიღის სახეღობის თბიღისის სახეღმწიფო უნივეhსიტეტი Ivane Javakhishvili Tbilisi State University ჰუმანიტახუღ მეცნიეხებათა ფაკუღტეტი Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: სინტაქსური სინონიმია, რთული ქვეწყობილი წინადადება, მარტივი წინადადება, ქართული ენა, რუსული ენა. Keywords: syntactic synonymy, complex sentence, simple sentence, Georgian language, Russian language.

ადამიანის აზროვნებას ახასიათებს ორი ტიპის ფორმა: აზროვნების უნივერსალური (ზოგადსაკაცობრიო) ლოგიკური ფორმები, რომლებიც არ არის დამოკიდებული კონკრეტული ენის სტრუქტურაზე, და აზროვნების ნაციონალური ფორმები, რომლებიც დამოკიდებულია კონკრეტული ენის გრამატიკულ სტრუქტურაზე და რომლებსაც ა. ჩესნოკოვი უწოდებს აზროვნების სემანტიკურ ფორმებს. აზროვნების უნივერსალური და სემანტიკური ფორმები არსებობენ ერთიანობაში, რადგან მიეკუთვნებიან აზროვნების ერთ სფეროს - ენობრივ სფეროს. ერთი ენიდან მეორეზე გადასვლისას აზრების ლოგიკური სტრუქტურა არ იცვლება, ერთი და იმავე ობიექტური სიტუაციის ასახვისას შეინიშნება სტრუქტურული განსხვავებები, რომლებიც არ ასრულებენ შემეცნებით როლს. ეს დაკავშირებულია აზროვნების იმ სემანტიკური ფორმების სხვაობასთან, რომლებიც შეიძლება ემთხვეოდეს სხვადასხვა ენაში და იყოს განსხვავებული ერთში. სინტაქსური სტრუქტურების განსხვავებები განპირობებულია არა ობიექტური რეალობის განსხვავებებით, არამედ ობიექტური რეალობის ფაქტების ასახვის პროცესის სპეციფიკით.

წინადადების სემანტიკურ-სინტაქსური სტრუქტურის შესწავლის შინაარსობრივ-სემანტიკური მიდგომის პოზიციებიდან ეს სინტაქსური ერთეული განიხილება ერთდროულად როგორც პრედიკატული, ასევე, როგორც ნომინატური ერთეული, რომელიც ასახავს გარკვეულ ობიექტურ სიტუაციას. წინადადების მიერ ასახულ ამ ობიექტურ სიტუაციას გ.ა. ზოლოტოვა უწოდებს წინადადების ტიპურ მნიშვნელობას. ტიპურ მნიშვნელობას აქვს აბსტრაქციის განზოგადების ხარისხზე დამოკიდებული იერარქიული სტრუქტურა და შეიძლება გამოისახოს როგორც ერთი მოდელის წინადადებების სიმრავლით, ისე რამდენიმე სინონიმური მოდელით, რომლებიც შეიცავს თანაბარი მნიშვნელობის, მაგრამ სხვადასხვა სტრუქტურის კომპონენტებს. სწორედ წინადადების ტიპური მნიშვნელობის დოქტრინის პოზიციიდან განიხილავს გ.ა. ზოლოტოვა სინტაქსური სინონიმიის ფენომენებს.

წინადადების მოდელი და მისი ტიპური მნიშვნელობა ქმნიან განუყოფელ ერთიანობას, რომლის მხარეებს არ გააჩნია ერთმნიშ-ვნელოვანი შესაბამისობა და ეს განაპირობებს წინადადების მოდელების სინონიმიასა და ომონიმიას. სინტაქსური სინონიმები შეიძლება ასახავდეს ერთსა და იმავე ტიპურ სიტუაციას, როდესაც მა-

თი ლექსიკური კომპონენტები განსხვავდება, ასევე, მათ შეუძლიათ ერთი და იმავე ტიპური სიტუაციის და, ამავე დროს, ერთი და იმავე კონკრეტული სიტუაციის ასახვა მაშინაც, როდესაც მათ შემადგენლობაში იდენტური ან სინონიმური ლექსემებია.

რიგი წინადადებებისა, რომლებიც განსხვავდება მათში გამოხატული აზრების სტრუქტურით და სემანტიკური ფორმით, მაგრამ ასახავს ერთ ტიპურ სიტუაციას, უნდა იქნას მიჩნეული სინტაქსურ სინონიმებად. მოხსენებაში განხილულია მარტივი და რთული ქვეწყობილი წინადადებების ტემპორალური დამოკიდებული ნაწილით სინონიმია რუსულ და ქართულ ენებში. ჩატარებულმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ რთული ქვეწყობილი წინადადებების დროის გარემოების დამოკიდებული ნაწილით და მარტივი წინადადებების სინონიმია შესაძლებელია, თუ აღინიშნება შემდეგი შესაბამისობები: ა) რთული ქვეწყობილი წინადადების დამოკიდებული ნაწილის შემასმენელს მარტივში შეესაბამება იმავე სემანტიკის მქონე აბსტრაქტული არსებითი სახელი როგორც რუსულ, ისე ქართულ ენაში; ბ) დამოკიდებული წინადადების ქვემდებარეს მარტივ წინადადებაში შეესაბამება განსაზღვრება, რომელიც მიემართება აბსტრაქტულ არსებით სახელს და გამოხატულია ორივე ენაში არსებითი სახელით ან ნაცვალსახელით ნათესაობით ბრუნვაში; გ) დროის გარემოების დამოკიდებულ წინადადებას მთავართან მაერთიანებელ კავშირს მარტივ წინადადებში შეესაბამება რუსულში წინდებული, ქართულში - თანდებული, რომელიც გამოხატავს შესაბამისად ერთდროულობას ან თანამიმდევრობას. მაგალითად:

Я заметил ее лицо, когда оно появилось над бортом среди саквояжей и сбитых на сторону шляп. (Александр Грин) (თანამიმდევ-რობა) - Я заметил ее лицо после его появления над бортом среди саквояжей и сбитых на сторону шляп.

Когда мне понадобится ваше заступничество, Ипполит Александрович, я вас непременно об этом извещу. (Б. Акунин) (ერთდრო-ულობა) – При надобности в вашем заступничестве, Ипполит Александрович, я вас непременно об этом извещу.

"არა, არა, ჩემით…" ღიმილითვე გაუწოდა ქვითარი და, მუშგაჩ-მა ფხთხიდად ხომ მიიხუხა კახი, შევცბი - სულ სხვა კაცი შემომცქე-როდა, გამომწვევი, უნდო… (გ. დოჩანაშვილი) (თანამიმდევრობა) – "ახა, ახა, ჩემით…" ღიმიღითვე გაუწოდა ქვითახი ღა მუშგახის მიეხ

კაჩის ფჩთხიდად მიხუჩვის შემდეგ შევცბი - სუდ სხვა კაცი შემომცქეჩოდა, გამომწვევი, უნდო...

დილის ათი საათი იქნებოდა, *hოცა მაგაჩებედი ქადაქის საც-გუჩის წინ გაჩეჩდა*. (ა. მორჩილაძე) (ერთდროულობა) - დილის ათი საათი იქნებოდა მატარებლის ქალაქის სადგურის წინ გაჩერებისას.

თუ რთული ქვეწყობილი წინადადების მთავარ და დამოკიდებულ ნაწილებს ერთი და იგივე სუბიექტი ჰყავს, მაშინ რუსულ სინონიმურ მარტივ წინადადებაში შესაძლებელია აბსოლუტივის ან აბსოლუტივიანი კონსტრუქციის გამოყენება. მაგალითად: Когда я играл, я был исключительно поглощен соображениями игры. (А. Грин) – Играя, я был исключительно поглощен соображениями игры.

რთული ქვეწყობილის და მარტივი წინადადებების სინონიმიაზე დაკვირვებამ ასევე გვიჩვენა, რომ აღნიშნული სინონიმური კონსტრუქციები განსხვავდებიან არა მარტო გრამატიკული სტრუქტურებით, არამედ აზროვნების სემასნტიკური ფორმებითაც.

Human thinking is characterized by two types of forms: universal (general) logical forms of thinking, which do not depend on the structure of a specific language, and national forms of thinking, which depend on the grammatical structure of a specific language, and which A. Chesnokov calls semantic forms of thought. Universal and semantic forms of thought exist in unity, because they belong to one sphere of thought - the linguistic sphere. When moving from one language to another, the logical structure of thoughts does not change, when reflecting the same objective situation, structural differences are observed that do not play a cognitive role. This is related to the difference in semantic forms of thought, which may coincide in different languages and be different in one. Differences in syntactic structures are due not to differences in objective reality, but to the specificity of the process of reflecting the facts of objective reality.

From the standpoint of the content-semantic approach to the study of the semantic-syntactic structure of the sentence, this syntactic unit is considered simultaneously as a predicate and as a nominative unit that reflects a certain objective situation. This objective situation reflected by the proposal G.A. Zolotova calls the typical meaning of the sentence. A typical value has a hierarchical structure depending on the degree of generalization of abstraction and can be expressed both by the set of propositions of one model and by several synonymous models containing components of equal value but different structure. It is from the standpoint of the doctrine of the typical meaning of the sentence that G.A. Zolotova discusses the phenomena of syntactic synonymy.

The sentence model and its typical meaning form an indivisible unity, the sides of which do not have a single-valued correspondence, and this leads to the synonymy and homonymy of the sentence models. Syntactic synonyms can reflect the same typical situation when their lexical components differ, and they can also reflect the same typical situation and, at the same time, the same specific situation even when they contain identical or synonymous lexemes.

A number of sentences that differ in the structure of the thought expressed in them and the semantic form, but reflect one typical situation, should be considered syntactic synonyms. The report discusses the synonymy of simple and complex subordinate clauses with a temporal dependent part in the Russian and Georgian languages. The conducted analysis showed us that synonyms of complex sentences with a temporal dependent part and simple sentences are possible if the following correspondences exist: a) In a simple sentence, the predicate part of a complex subordinate sentence corresponds to an abstract noun of similar semantics; b) the subject of a dependent clause in a simple sentence corresponds to an attribute that refers to an abstract noun and is expressed in both languages by a noun or a pronoun in Genitive; c) the temporary subordinating conjunction corresponds to a preposition in Russian, and in Georgian to a postposition expressing simultaneity/multi-temporality, respectively. For example:

Я заметил ее лицо, когда оно появилось над бортом среди саквояжей и сбитых на сторону шляп. (Александр Грин) (multi-temporality) - Я заметил ее лицо после его появления над бортом среди саквояжей и сбитых на сторону шляп.

Когда мне понадобится ваше заступничество, Ипполит Алексан-дрович, я вас непременно об этом извещу. (Б. Акунин) (simultaneity) – При надобности в вашем заступничестве, Ипполит Александрович, я вас непременно об этом извещу.

"არა, არა, ჩემით…" ღიმილითვე გაუწოდა ქვითარი და, მუშგაჩ-მა ფხთხიდად ხომ მიიხუხა კახი, შევცბი - სულ სხვა კაცი შემომცქე-როდა, გამომწვევი, უნდო… (გ. დოჩანაშვილი) (multi-temporality) – "არა, არა, ჩემით…" ღიმილითვე გაუწოდა ქვითარი და მუშტარის მიერ კარის ფრთხილად მიხურვის შემდეგ შევცბი - სულ სხვა კაცი შემომცქეროდა, გამომწვევი, უნდო…

დილის ათი საათი იქნებოდა, hოცა მაგახებეღი ქაღაქის საჲგუhის წინ გაჩეხდა. (ა. მორჩილაძე) (simultaneity) - დილის ათი საათი იქნებოდა მატარებლის ქალაქის სადგურის წინ გაჩერებისას.

If the main and dependent parts of a complex subordinate sentence have the same subject, then in the Russian synonymous simple sentence it is possible to use the absolutive or an absolutive construction. For example: Когда я играл, я был исключительно поглощен соображениями игры. (А. Грин) – Играя, я был исключительно поглощен соображениями игры.

Observing the synonymy of complex substructures and simple sentences also showed us that these synonymous constructions differ not only in grammatical structures, but also in the semantic forms of thought.

# ქართული ტერმინი *"ჯვარი"* კავკასიის ენებში – *ონომასტიკური და ლინგვოკულტუროლოგიური ასპექტები¹* The Georgian Term "Jvari" (Cross) in the Languages of the Caucasus

#### Onomastic and Linguocultural Aspects

#### ცირა ბარამიძე Tsira Baramidze

ივ. ჯავახიშვიღის სახ. თბიღისის სახეღმწიფო უნივეხსიტეტი Ivane Javakhishvili Tbilisi State University ჰუმანიტახუდ მეცნიეხებათა ფაკუღტეტი Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: ქართული, ტერმინი, "ჯვარი", კავკასიის ენები, ონომასტიკა.

**Keywords:** Georgian, term, "jvari", Caucasian languages, onomastics.

ჩხვილეთ კავკასიაში" ფახგეებში

14

ნაშხომი მომზაჹებუღია შოთა ხუსთავეღის ეხოვნუღი სამეცნიეხო ფონღის მიეხ ღაფინანსებუღი ივ. ჯავახიშვიღის სახ. თბიღისის სახეღმწიფო უნივეხსიგეგის პხოექგის (CS-I-21-158) "ქახთუღი მაგეხიადუხი ღა სუღიეხი კუღგუხა

მოხსენებაში გაანალიზებულია ქართული ტერმინი "ჯვარი" კავკასიის ენდოგენური და ეგზოგენური ენების ლექსიკაში, რო-გორც ქართული ენიდან ნასესხობა, რომელმაც ფართო გავრცელება ჰპოვა კავკასიის ენების ონომასტიკაში. ტერმინმა "ჯვარი" ქართულიდან (მაგალითად, დვალური ქართულიდან) ოსურში სესხების შემდეგ მიიღო უფრო ფართო მნიშვნელობა, შეიცავს რამდენიმე სემას; ვ. მილერის აზრით, ოსური ძუარ-ი (< ძვ.ქართ. ჯუარ-ი) ხანდახან არის ძველი სამლოცველო ან ეკლესია, რომელიც დროთა განმავლობაში წარმართულ ადგილად იქცა, ხანდახან - მთის ქვაბული, ტევრი, ხე, ქვა, მაგრამ განსაკუთრებული დიდება ჰქონდა ქრისტიანულ ეკლესიას, მის ნანგრევებს (ყველაზე სახელოვანი ძუარებია რეკომი და მიქალიგაბრიტა მდინარე წეი-დონის ველზე. ოსეთ-ყაბარდოს საზღვარზე თათარ-ტუპის მთაზე მდგარა "ძუარი", ასევე აული გალიათის სასაფლაოზე - ქვის ეკლესია საცხოვრებელი კელიებით, სახელით "შვიდი ძუარი"…

ტერმინი ჯვარი შესულია ქართულიდან კავკასიის ყველა ენაში (ჩერქ. **ჯორ**, ყაბარდ. **ზორ/ჟორ** ბალყ. **ზორ,** აფხაზ. (აფსუათა ენაში) აძარ-ჯუარ, ინგუშ. ძხარგ და სხვა). ტერმინი "ჯვარი" დასახელებულ ენებში იღებს რამდენიმე ძირითად მნიშვნელობას, ქმნის სემანტიკურ ველებს; ყველა დიფერენცირებული მნიშვნელობისათვის ამოსავალია დომინანტური მნიშვნელობა "ჯვარი". ტერმინის ამა თუ იმ სახით ფართო გავრცელება დაკავშირებულია ქრისტიანული რელიგიის გავრცელებასა და ფუნქციონირებასთან ჩრდილოეთ კავკასიაში. მოხსენებაში გაანალიზებულია ტერმინ "ჯვარის" ექსტრალინგვისტური და ლინგვოკულტუროლოგიური ასპექტები ლინგვისტურ ასპექტებთან ერთად; გაანალიზებულია "ჯვართან" დაკავშირებული ონომასტიკური მასალა, რომელიც გვიჩვენებს სახელდების პრინციპებს და ამ პრინციპების მახასიათებლებებს, რომლებითაც იყო მოტივირებული ესა თუ ის რთულფუძიანი, კომპოზიტური სახელდება "ჯვართან" დაკავშირებით, მაგალითად, მცხეთაში), **იუსძუარ-ი** (ეკლესიის სახელი სოფ. გალიათში, ოსეთი), ციხე ცეცხლისჯვარი (არის ჯვრის უღელტეხილზე), ჯვართყელ-ი (ჯვრის უღელტეხილი), ლაშარისჯვარ-ი (ტოპ.), დათვისჯვარ-ი (ტოპ.), **ჯვარპატიოსანი** (ეკლესია სოფ. თელოვანში, **ვაშლიჯვარ-ი** (ტოპ.)... **ჯვარის მამა** (ეკლესია ძველ თბილისში), **ცხრაჯვარი** (ეკლესია იმერეთისა და რაჭის საზღვარზე, ნაქერალას უღელტეხილთან), ჯვარისძალ-ი (გურიაში მასთან დაკავშირებულია წარმოდგენები ცეცხლის ალზე, რომელიც ხეზე ჯდება ციდან ჩამოსვლის შემდეგ, გადატანით ითქმის გამორჩეულ მამაკაცზეც) წალენჯიხა ჯვარ-ი, მამკოდა ჯვარ-ი, ხორგა-ჯვარ-ი (ტოპ., ელ. ქვესადგური), ვაკი-ჯვარ-ი (ტოპ. სოფ. გურიაში), თავვაკიჯვარ-ი (იქვე, სოფ. ვაკისჯვ-რის ბოლოს, სადაც ჯვართამაღლების ეკლესიაა).

ჯვარ-ი "ქრისტიანული კულტის სიმბოლო" (ქეგლ VIII: 1580), ჯუარი "ესე არს ძელი გარდაჭდობილი სასიკვდილოთა კაცთა დასამსქვალავად" (საბა 1993: 464), ჯვარი (მეგრ.) "ჯვარი" (ყიფშიძე 1914: 412); ჯ ა რ (სვან.) "ჯვარი" (თოფურია 2000: 889) ფორმებიდან მომდინარეობს აფხაზური ა-ჯარ "ჯვარი" (უსლარი 1887: 133); პ. უსლარი მიუთითებს, რომ აფხაზურში სიტყვა ნასესხებია ქართულიდან (იქვე); ა-ჯარსახ ა "ჯვრის სახე" (ჯანაშია 1954: 447); კომპოზიტი (ორივე ინგრედიენტი) აფხაზურში ქართულიდანაა შესული (ლომთათიძე 1999: 25). შდრ. ჯვარსახე (მეგრ.) "პირჯვარი, პირჯვრის გადასახვა" (ქობალია 2010: 738); ჯვარი შესულია აბაზურში: ჯ არ "ჯვარი" (აბრლ 1967: 210), ადიღეურში ჯორ, ყაბარდოულში ჯორ სახით (შაგიროვი 1989: 139).

კომპოზიტურ ტოპონიმებში ფუძეთა შორის დამყარებული უნდა იყოს ლოგიკურ-აზრობრივი კავშირი: როდესაც რთული ტოპონიმის ერთ-ერთ ფუძედ რეალურად არსებული ფიზიკურ-გეოგრაფიული ობიექტი გვაქვს, მეორე ფუძე მას მატერიალურად და შინაარსობრივად უნდა შეესატყვისებოდეს, მაგრამ იშვიათად გვხვდება ისეთი შემთხვევაც, როცა ფუძეთა ურთიერთშეთანხმება (აზრობრივი თანხვდომა) დარღვეულია, მაგალითად, მქადი-ჯვარ-ი, ვაშლიჯ-ვარ-ი... ეს უნდა მიგვანიშნებდეს, რომ ამ და მათ მსგავს არალოგიკურ ტოპონიმებს მნიშვნელოვანი ცვლილებები განუცდიათ და რომ მათი თავდაპირველი სახის აღდგენა, ან ალოგიკურობის გამომწვევი მიზეზების დადგენა ძნელდება.

The report analyzes the Georgian term "jvari" (cross) in the lexicon of the endogenous and exogenous languages of the Caucasus, as a loan from the Georgian language, which has found wide distribution in the onomastics of the languages of the Caucasus. The term "jvari" from Georgian languages of the Caucasus.

gian (for example, from Dvaluri Georgian) has acquired a wider meaning in Ossetian, it contains several semes; According to V. Miller, Ossetian <code>guar-i</code>(< Old Georg. <code>guar-i</code>) is sometimes an old chapel or church, which over time became a pagan place, sometimes - a mountain cavern, wood, tree, stone, but the Christian church had a special glory, its uins (the most famous Dzuaris are Rekom and Mikaligabrita in the valley of the Tsei-Don River. "<code>guar-i</code>" standing on Tatar-Tup mountain on the border of Ossetia-Kabardo, as well as a stone church with residential cells, named "<code>śvidi ʒuar-i</code>" in the Aul at Galiati cemetery...

The term "jvari" has been introduced from Georgian into all languages of the Caucasus (in Circassian - 30r, Kabard. 20r/ 20r, Balq. 20r, Abkhaz. (in the language of the Apsua) azar-žuar, Ingush - zxarg and others). The term "jvari" in the named languages acquires several basic meanings, creates semantic fields; the starting point for all differentiated meanings is the dominant meaning "cross". The widespread distribution of the term in one way or another is connected with the spread and functioning of the Christian religion in the North Caucasus. The report analyzes the extralinguistic and linguocultural aspects of the term "cross" along with the linguistic aspects; the onomastic material related to the term "ivari" is analyzed, which shows the principles of naming and the characteristics of these principles, which motivated this or that complex, composite names related to "jvari", for example, in Mtskheta), Yuszuari (the name of a church in the village of Galiat, Ossetia), the fortress of cecxlisžuar-i (is at Jvari Pass), žuartxel-i (Jvari Pass), Lasharisžvar-i (top.), *Davitsžvari* (top.), žvarpatiosa-i (church in Telovani Village), Vashližvari (top.)... žvarismama (church in old Tbilisi), cxražvar-i (church on the border of Imereti and Racha, near the Nakerala Pass), *ǯvarisʒal-i* (in Guria, associated with it are representations of a flame that sits on a tree after coming down from the sky, and also refers to an outstanding man) *çalenǯixa ǯvar-i, Mamkoda ǯvar-i, Xorga-ǯvar-i* (top. Top village in Guria), Tavvakižvar-i (nearby, at the end of Vakisžvari village, where there is a church of the Exaltation of the Cross - *ǯvarta*mayleba).

Cross - "a symbol of the Christian cult" (Explanatory dictionary of the Georgian language, VIII: 1580), *ǯuari* "this is a stake for the death of dead men" (Saba 1993: 464), *ǯvari* (Mgr.) "cross" (Kipshidze 1914: 412); Abkha-

zian *a-ǯar* "cross" comes from the forms *ǯar* (Svan.) "cross" (Topuria 2000: 889); P. Uslar points out that the word in Abkhazian is borrowed from Georgian; *A-ǯarsax˜a* "face of the cross" (Janashia 1954: 447); Abkhazian composite (both parts) entered from Georgian (Lomtatidze 1999: 25). cf. *ǯvarsaxe* (Mgr.) "cross-section" (Kobalia 2010: 738); the cross is included in Abazian: *ǯar* "cross" (Abrl 1967: 210), in Adyg. it is a mule, in Kabard. it is in the form of a *ǯor* (Shagirov 1989: 139).

In composite toponyms, a logical-conceptual connection must be established between the bases: when one of the bases of a complex toponym is an actual physical-geographical object, the second base must correspond to it materially and in terms of content, but there is rarely a case when the mutual agreement (conceptual agreement) of the bases is violated, for example, *Mčadi-žvar-i, Vaš ližvari...* This should indicate that these and similar illogical toponyms have experienced significant changes and that it becomes difficult to restore their original form, or to determine the causes of illogicality.

"ტრიუმფის შემოდგომა": კონფედერაციის მთავარი დამრტყმელი ძალა, ტენესის არმია 1862-1864 წლებში "Autumn of Glory": Principal Confederate Army of Tennessee (1862-1864)

#### მიხეილ ბარნოვი Mikheil Barnovi

ივანე ჯავახიშვიღის სახეღობის თბიღისის სახეღმწიფო უნივეხსიტეტი Ivane Javakhishvili Tbilisi State University ჰუმანიტახუღ მეცნიეხებათა ფაკუღტეტი Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: კონფედერაცია, ტენესის არმია, დასავლეთის თეატრი, ბრექსტონ ბრეგი, ფორტ ჰენრი, ფორტ დონელსონი. **Keywords:** the Confederacy, Western Theatre, the Army of Tennessee, Braxton Bragg, Fort Henry, Fort Donelson. ტენესის არმია იყო კონფედერაციის შეიარაღებული ძალების მთავარი არმია და დამრტყმელი ძალა სამოქალაქო ომის დასავლეთ თეატრში, აპალაჩის მთებიდან მდინარე მისისიპის ხეობამდე. იგი მოქმედებდა 1862 წლიდან 1865 წლამდე. მიუხედავად იმისა, რომ ტენესის არმია მრავალრიცხოვან საომარ მოქმედებებში იყო ჩართული და არაერთ ბრძოლაში მონაწილეობდა, მან მხოლოდ რამდენჯერმე გაიმარჯვა და უმრავლეს შემთხვევაში მან ვერ მიაღწია სტრატეგიული მასშტაბის მიზნებს. ტენესის არმიის მთავარი ფუნქცია იყო: 1. არ დაეშვა ფედერალური არმიის მიერ კონფედერაციის თავდაცვითი ხაზის გარღვევა ტენესის ჩრდილო-დასავლეთში; 2. დაეცვა კენტუკისთან მოსაზღვრე რეგიონში არსებული ფორტები ქამბერლენდისა და ტენესის ხეობებზე კონტროლის შენარჩუნების მიზნით.

ტენესის არმია ჩამოყალიბდა 1862 წლის 20 ნოემბერს, გენერალ ბრეგსტონ ბრეგის (1817-1876) მისისიპის არმიისა და გენერალ ედმუნდ კირბი სმიტის კენტუკის არმიების გაერთიანების გზით. რამდენიმე რეორგანიზაციისა და მეთაურების ცვლილების შემდეგ ომის დასკვნით ეტაპზე ტენესის არმიას გენერალი ჯოზეფ ჯონსტონი (1807-1891) სარდლობდა. არმიამ შეწყვიტა წინააღმდეგობა ჩრდილოეთ კაროლინაში 1865 წლის 18 აპრილს, რითაც სამოქალაქო ომის ძირითადი ბრძოლები დასრულდა.

საომარ მოქმედებებში ჩაბმის პირველივე დღიდან ტენესის არმია დასავლეთში კონფედერაციის თავდაცის ხერხემალს წარმოადგენდა. სამოქალაქო ომის ადრეულ ეტაპზე ტენესის არმია კონფედერაციის ჩრდილოეთ საზღვრებს იცავდა კენტუკისა და ტენესის შტატების მოსაზღვრე რეგიონში. 1862 წლის თებერვალში ფორტ ჰენრისა და ფორტ დონელსონის დაცემის შემდეგ, არმიამ უკან დაიხია და ვეღარასოდეს შეძლო დაკარგული პოზიციების დაბრუნება და ინიციატივის ხელში აღება.

ტენესის არმიის წარუმატებლობას სამოქალაქო ომის ისტორი-კოსები რამდენიმე გარემოებით ხსნიან. ტენესის არმია უპირის-პირდებოდა ფედერალური არმიის ყველაზე ნიჭიერ და ქმედობაუნარიან გენერლებს, მათ შორის იყო იულისის გრანტი (1822-1885). გარდა ამისა, ტენესის არმია მუდმივად განიცდიდა სარდლობასთან, მომარაგებასა და ლოგისტიკასთან დაკავშირებულ პრობლემებს.

მიუხედავად არაერთი მცდელობისა და არმიის მეთაურების რამდენჯერმე ცვლილებისა, ტენესის არმიამ ვერ შეძლო მის წინაშე მდგარი ოპერაციული ამოცანების გადაწყვეტა. არაერთი წამყვანი ისტორიკოსის აზრით, ტენესის არმიის მიერ განცდილი დამარცხებისს სერია კონფედერაციის დამარცხების მთავარი მიზეზი გახდა.

სრული ფიასკოს მიუხედავად, ტენესის არმიამ ბოლომდე შეინარჩუნა აგრესიული, მებრძოლი, უდრეკი და დაუღალავი სამხედ- რო ფორმირების რეპუტაცია. საომარი მოქმედებების უმეტეს პერიოდში არმიას შეუფერებელი მეთაურები ჰყავდა და ის ადამიანური რესურსებისა და რეზერვის ქრონიკულ დეფიციტს განიცდიდა. მოცემული რეალობის გათვალისწინებით, კვლავინდებურად ინტერესსა და დისკუსიას იწვევს შეკითხვა: შეძლო თუ არა ტენესის არმიამ, როგორც კონფედერაციის მთავარმა დამრტყმელმა ძალამ, შთამბეჭდავი რეზულტატის მიღწევა?

Formed on November 20, 1862, by merging General Braxton Bragg's Army of Mississippi with General Edmund Kirby Smith's Army of Kentucky, the Army of Tennessee was the Confederacy's principal army in the Western Theatre. From the Appalachian Mountains to the Mississippi River, this force fought most of the major battles that took place in the region. After undergoing various reorganizations under different leaders, in the final phase of the war, the army of Tennessee was commanded by General Joseph E. Johnston (1807-1891). The army ceased its resistance in North Carolina on April 18, 1865, by which the main battles of the civil war came to an end.

Although the army fought in numerous military operations, it won only a few victories and in most cases failed to fulfill strategic scale objectives. In addition to facing some of the Union's most capable generals, the army was plagued by problems of command, supply, and logistics for the duration of the war. Historians have identified the string of defeats suffered by the Army of Tennessee as a primary cause of Confederate defeat in the war.

Despite multiple attempts and replacement of its commanders, the Army of Tennessee was unable to solve major operational tasks. Accor-

ding to leading Civil War historians, the series of defeats experienced by the Army of Tennessee was the main reason for the defeat of the Confederacy.

In the opening days of the war, the army defended the northern frontier of the Confederacy along the Tennessee-Kentucky border before retreating following the Federal capture of Fort Henry and Fort Donelson on the Tennessee and Cumberland Rivers in February 1862. After the fall of Fort Henry and Fort Donelson, the army was never able to regain the lost ground and seize the initiative.

Despite the complete fiasco, the Army of Tennessee maintained the reputation as an aggressive, combative, unshakable, resilient and tireless military formation to the end. During most of the hostilities, the army, usually outnumbered and led by inept commanders, was chronically short of reserves and resources. Given this fact, the question that continues to arouse interest and discussion is: Was the Army of Tennessee, as the main fighting force of the Confederacy, able to achieve an impressive result or not?

#### ტერმინი ინგილოს ეტიმოლოგიისათვის For the Etymology of the Term Ingilo

ალინა ბაღიშვილი Alina Baghishvili

#### ნანული კაჭარავა Nanuli Katcharava

ივანე ჯავახიშვიღის სახედობის თბიღისის სახედმწიფო უნივეჩსიგეგი Ivane Javakhishvili Tbilisi State University ჰუმანიგაჩუდ მეცნიეჩებათა ფაკუღგეგი Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: ჰერეთი, რანი, ინგილო, ინჯილი - სახარება. Keywords: Hereti, Rani, Ingilo, Injil – Gospel. კავკასიაში ალბანეთის და შემდეგ ჰერეთისა თუ საინგილოს სახელით ცნობილი მხარის კვლევა-შესწავლას ქართველ და უცხოელ მეცნიერთა შორის არასდროს დაუკარგავს აქტუალობა.

ბერძენი ისტორიკოსი და გეოგრაფი სტრაბონი (ახ. წ. აღ-ით I ს.) წერდა, რომ ალბანელებს ოცი ენა ჰქონდათ, რადგან ერთმანეთში ასიმილაცია არ ხდებოდა. ე.ი. ეს სახელმწიფო წარმოადგენდა სხვადასხვა ტომთა დამოუკიდებელ ფედერაციას. შუა საუკუნეების ზოგი წყარო ამ ტომთა სახელებს ქართველური მოდგმის ხალხს უკავშირებს.

ჰერეთის სამეფოს მდიდარი ისტორიული წარსული ჰქონია. ისტორიული წყაროების მიხედვით, III-IV სს-ში მოსახლეობას ქრისტიანობა მიუღია. დღევანდელი ინგილოები ამ რაიონის ძირძველი მოსახლეები არიან. VIII-X სს-ის არაბ ისტორიკოსებთან (ალისტახრი, ალ-ბალაზური, ალ-ტაბარი, ალ-ფარიკი და ალ-მასუდი) დაცულია ცნობები საქართველოსა და კერძოდ, არ-რანის ქვეყნის შესახებ. ავტორები ხაზგასმით აღნიშნავენ არ-რანელთა (ჰერელ-თა) სარწმუნოებას და მათ უწოდებენ ალ-ნასარას (ნაზარეველებს ასტარების მიმდევარ ხალხს, ქრისტიანებს აქარას (სახარების მიმდევარ ხალხს, ქრისტიანებს აქალას ).

კახეთ-ჰერეთის სამეფო (ჰერეთი იგივე რანი) IX ს-ში გრიგოლ ჰამამის დაუარსებია. ჰერეთის სამეფოში შედიოდა ბელაქნის, ზაქათალის, კახისა და შაქის რაიონები. ქართული წყაროების მიხედვით, კახეთის მფლობელი ოფიციალურად "რანთა და კახთა მეფედ" იწოდებოდა, ხოლო არაბულ წყაროებში იგი "შაქთა და გურჯთა მეფედ" იხსენიება.

ირანის, თურქეთისა და შემდეგ ლეკი ფეოდალების შემოსევების შედეგად XVIII ს-ში ეს მხარე ჩამოშორდა საქართველოს. შექმნილმა ეთნო-სოციალურმა პრობლემებმა განაპირობა მოსახლეობის ნაწილის გამაჰმადიანება. გამაჰმადიანებულ ქართველებს, ხალხში გავრცელებული ვერსიის თანახმად, ძვ. თურქულით იენგილ - იენგილო (yeni gelen, yeni-gil-ler ახალმოსულნი, ახალნი) უწოდეს, რაც შესაძლებელია "ახალმორჯულებულნი, ახალმოქცეულნის" მნიშვნელობითაც ვივარაუდოთ. ამ ხალხით დასახლებულ რაიონს კი საინგილო შეერქვა. თუმცა ამ მხარის ქართული მოსახლეობა თავიანთ თავს ჰერებს უწოდებს.

პირველად ტერმინი "ინგილო" ოფიციალურ დოკუმენტებში, რუს მოხელეთა მიმოწერაში XIX ს-ის 30-იან წლებში გამოჩნდა. 1847 წელს გამოცემულ "კავკასიის კალენდარში" ელისუს ოლქი უკვე Енгилойский-ით არის ჩანაცვლებული (მ. ბერიძე, ლ.ბაკურაძე, ზ. ფურცხვანიძე, ტერმინების ინგილო / საინგილო შექმნის, დამკვიდრებისა და კონცეპტუალიზაციის საკითხისათვის, ჩერქეზული კულტურის ცენტრის IX სამეცნიერო სესიის მასალები, თბილისი, 2023).

საკვლევი თემა მოითხოვს მასალის ღრმა შესწავლას. ჩვენი მოკრძალებული ვარაუდით, ტერმინი "ინგილო" უფრო მეტად უკავ-შირდება ეთიოპური წარმოშობის არაბულ სიტყვა "ინჯილს" (الإنجيل), რომელიც ნიშნავს ქრისტიანს. ასევე Енгилойский და იქნებ Эвангелийский-დანაც მომდინარეობდეს?!

The research and study of Albania in the Caucasus, and then the part known as Hereti or Saingilo, has never lost its relevance among Georgian and foreign scientists.

The Greek historian and geographer Strabo (1st century AD) wrote that the Albanians had twenty languages, because they did not assimilate with each other. This state represented an independent federation of various tribes. Some medieval sources associate the names of these tribes with the people of Kartvelian origin.

The Kingdom of Hereti had a rich historical past. According to historical sources, the population adopted Christianity in the 3rd-4th centuries. Today's Ingilos are the indigenous inhabitants of this region. Arab historians of the 8th-10th centuries (al-Istakhri, al-Balazuri, al-Tabari, al-Farik and al-Masud) have information about Georgia and, in particular, the country of Ar-Rani. The authors emphasize the faith of the Arranites (Heralites) and call them al-Nasara (Nazarenes نصاري) and Ahlu-Injil (people following the gospel, Christians الإنجيل احل).

The Kingdom of Kakheti-Hereti (Hereti is the same as Rani) was founded by Grigol Hamami in the 9th century. The kingdom of Hereti included Belakani, Zakatala, Kakhi and Shaki districts. According to Georgian sources, the owner of Kakheti was officially called "King of Rani and Shaki", and in Arabic sources he is mentioned as "King of Shaki and Gurji". As a result of the invasions of Iran, Turkey and then Leki feudal lords in the 18th century, this area was separated from Georgia. The created ethno-social problems led to the conversion of part of the population to Islam.

Georgians who converted to Islam, according to the popular version, in old Turkish were called Yengil - Yengilo (yeni gelen, yeni-gil-ler new-comers, newcomers), which can also be assumed to mean "newcomers, new converts". The district inhabited by these people was named Saingilo. However, the Georgian population of this area calls themselves Hers.

For the first time, the term "Ingilo" appeared in official documents, in the correspondence of Russian officials in the 1930s. In the "Caucasian Calendar" published in 1847, Elisu District is already replaced by Engiloisky (M. Beridze, L. Bakuradze, Z. Pourtskhvanidze, For the Issue of Creation, Establishment and Conceptualization of the Terms Ingilo / Saingilo, Materials of the IX Scientific Session of the Circassian Culture Center, Tbilisi, 2023).

The research topic requires a deep study of the material. In our humble guess, the term "Ingilo" is more related to the Arabic word "Injil" (الإنجيل) of Ethiopian origin, which means Christian. Also Енгилойский (Engiloisky), and maybe it comes from Евангелийский (Evangelical)?!

## პოლონეთის არქივის (CAW) დოკუმენტი 1930 წელს კავკასიაში კათოლიკური ეკლესიის მდგომარეობის შესახებ

A Document from the Polish Archives (CAW) about the Situation of the Catholic Church in the Caucasus in 1930

#### მიხეილ ბახტაძე Mikheil Bakhtadze

ივანე ჯავახიშვიღის სახეღობის თბიღისის სახეღმწიფო უნივეhსიტეტი Ivane Javakhishvili Tbilisi State University ჰუმანიტახუღ მეცნიეხებათა ფაკუღტეტი Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: საქართველო, კავკასია, კათოლიკური ეკლესია, საბჭოთა ხელისუფლება.

**Keywords:** Georgia, Caucasus, Catholic Church, Soviet government.

პოლონეთის ცენტრალურ არქივში (CAW) ინახება საინტერესო დოკუმენტი, რომელიც გვაწვდის ცნობებს 1930 წელს კავკასიაში კათოლიკური ეკლესიის მდგომარეობის შესახებ. ეს არის თბილისში მყოფი პოლონეთის გენერალური კონსულის, ზიგმუნდ მოსტოვსკის, მოხსენება, რომელიც ვარშავაში გაგზავნილია 1930 წლის 30 ოქტომბერს.

"მსოფლიო ომამდე კავკასიის დიდ პოლონურ კოლონიას, საკუთარი ძალისხმევის წყალობით, ჰქონდა მრავალი პოლონური ტაძარი, რომელსაც პოლონელი მღვდლები ემსახურებოდნენ. ამიერკავკასიის ქვეყნებში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ პოლონური ტაძრების ბედი, ისევე როგორც ყველგან საბჭოთა კავშირში, უკიდურესად მძიმე აღმოჩნდა. ბოლო წლებში ისინი იძულებულნი არიან იბრძოლონ არა მხოლოდ არსებობისათვის, არამედ უზარმაზარი მატერიალური სირთულეების დასაძლევადაც, რომელთა წინაშეც ისინი დააყენა საბჭოთა ხელისუფლებამ. ეპყრობოდა რა მათ, როგორც კერძო საწარმოებს, ხელისუფლებამ დაუწესა უკიდურესად მაღალი გადასახადები, რომელთა გადახდა მეტისმეტად გაჭირვებული მრევლის შემოწირულობებით. მხრივ, ისინი იძულებულნი იყვნენ, ებრძოლათ საბჭოთა ხელისუფლების მიერ მღვდლების წინააღმდეგ მიმართული რეპრესიების წინააღმდეგ. ამ ბრძოლის შედეგად, მიუხედავად დიდი პოლონური კოლონიის კვლავ არსებობისა, მართალია, დანაწევრებული სახით, დიდი ხანია არც ერთი პოლონელი მღვდელი იქ აღარ მოღვაწეობს. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ კათოლიკე პოლონელებს დაეხმარნენ ქართველი კათოლიკე სასულიერო პირები, რომლებმაც გადაიბარეს პოლონური ტაძრების სამრევლოები და, ხშირ შემთხვევაში, პოლონელი მრევლის სასულიერო საჭიროებების უკეთ დასაკმაყოფილებლად, ისწავლეს პოლონური ენაც კი. თუმცა საბჭოთა ხელისუფლებამ ერთი წუთითაც არ შეაჩერა საკუთარი მოქმედება სასულიერო პირების წინააღმდეგ. სასულიერო პირებს შორის ბევრი მღვდელი გატყდა ხელისუფლების ზეწოლით, რადგან ისინი ცდილობენ, შეუთავსონ ერთმანეთს საკუთარი მოვალეობები ეკლესიისა და მრევლის წინაშე იმ ამოცანებს, რომლებსაც მათ აკისრებს საბჭოთა ხელისუფლება და, პირველ ყოვლისა, ГПУ. თუმცა ბევრ მათგანს, რომლებმაც ვერ შესძლეს საბჭოთა ხელისუფლებასთან ასეთ კომპრომისზე წასვლა, აპატიმრებდნენ, ასახლებდნენ და სიკვდილითაც კი სჯიდნენ.

უკანასკნელ პერიოდში გენერალურმა საკონსულომ შეიტყო, რომ დახვრიტეს ბათუმის კათოლიკური ტაძრის მღვდელი (კსიონძი) ასლანიშვილი. გადაასახლეს სამი კსიონძი: ლუდვიგ ბათიმანიშვილი, კონსტანტინე საბარაშვილი და სტანისლავ კატჩიკაშვილი. ვერ გავარკვიეთ, რაში ადანაშაულებდნენ ზემოთ დასახელებულ პირებს.

მოპოვებული ინფორმაციით, ამიერკავკასიის ქვეყნებში დარჩენილია 17 მღვდელი, მათ შორის 5 არის სომეხი კათოლიკე. ეს მღვდლები ასრულებენ თავიანთ მოვალეობებს შემდეგ ადგილებში:

ტფილისში - ემანუელ ვარდიძე,

ტფილისში - სტეფანე გეორგიზო, ასირიელი,

ბაქოში – სტეფან დემუროვი, იგივე დემურაშვილი,

ბათუმში – რაფაელ ნიებიერაძე,

ქუთაისში – დამიან ლაგო,

ახალციხეში - პაველ ტატენაშვილი,

ახალციხეში - სერაფიმ მერაბიშვილი,

ახალციხის რაიონის ორ სამრევლოში, კერძოდ:

უდეში - გაბრიელ გარანაშული,

ხოლო ვალეში – კონსტანტინე შიშაბერიძე.

გარდა ამისა, კათოლიკე მღვდლები არიან ახალქალაქში, გორში და კიდევ ორ ადგილზე. თუმცა საკონსულომ ვერ დაადგინა ამ მღვდლების ვინაობა. ასევე არის 4 სომეხი კათოლიკე მღვდელი, მათ შორის ერთი ერევანში და ერთი ლენინაკანში. ყველა ზემოთდასახელებული სასულიერო პირი ადგილობრივი მაცხოვრებელია და, ამავე დროს, აკმაყოფილებს პოლონელი მოსახლეობის სულიერ საჭიროებებს.

დაიკეტა კათოლიკური ტაძრები ამიერკავკასიის 7 ქალაქში (მათ შორის სოხუმსა და თეთრწყაროში) კათოლიკე მღვდლების სიმცირის გამო. ასევე დაიხურა ტფილისის კათოლიკური სამლოც-ველო.

თითოეულ ტაძარში არის ეგრეთ წოდებული საეკლესიო საბჭო, რომელიც შედგება ადგილობრივი მრევლის წარმომადგენლებისა-გან. ამ საბჭოს ამოცანაა ტაძრებზე ზრუნვა და ზედამხედველობა".

The Central Archive of Poland (CAW) keeps an interesting document that provides information about the situation of the Catholic Church in the Caucasus in 1930. This is the report of the Polish Consul, General Zigmund Mostowski, from Tbilisi, which was sent to Warsaw on October 30, 1930.

"The Polish colony in the Caucasus before the world war had, thanks to its efforts, numerous Polish churches served by Polish priests. After the Sovietisation of the Transcaucasian countries, the fate of the Polish churches, as everywhere in the Soviet Union, was extremely difficult. In recent years, they have had to struggle not only for the right to exist, but also to overcome the enormous material difficulties faced by the Soviet authorities. Treating them as private enterprises, the authorities imposed extremely high taxes on the churches, which are extremely difficult to collect through contributions from impoverished parishioners. On the other hand, they were forced to fight against the repressive measures taken by the Soviet authorities against priests. As a result of this struggle, in spite of the existence of a considerable, though fragmented, Polish colony, there has not been a single Polish priest for a long time. It must be said, however, that the Polish Catholics were helped in this respect by Georgian priests, who took over the parishes of Polish churches and, in many cases, learned the Polish language in order to better meet the spiritual needs of their Polish parishioners. However, the Soviet authorities did not stop their action against the clergy even for a moment. Many priests among the clergy broke down under the influence of the authorities to the extent that they tried to reconcile their duties towards the church and the parishioners with the duties imposed on them by the Soviet authorities and, above all, by the GPU. However, many of them, unable to enter into this kind of compromise with the Soviet authorities, are subjected to continuous detention, ending in exile or even execution.

Recently, the Consulate General became aware of the shooting of Fr. Aslanishvili, the former parish priest of the Catholic Church in Batum, and of the sacking of three priests, namely: Ludvik Batimanishvili, Konstantin Sabarashvili and Stanislav Katchikashvili. The Consulate has not been able to establish what the above-mentioned priests were accused of.

Według uzyskanych informacji, w krajach Zakaukazia pozostało 17 księży, w tym 5 księży ormiańskokatolickich. Kapłani ci wykonują swoje obowiązki duszpasterskie w następujących miejscach, a mianowicie:

in Tiflis - Fr. Emanuel Wardidze,
in Tiflys - Fr. Stefan Georgizo, Assyrian,
in Baku - Fr. Stefan Demurow aka Demurashvili,
in Batum - Fr. Rafael Niebieradze,
in Kutaisis - Fr. Damjan Lago,
in Akhaltsi - Fr. Pavel Tatenashvili,
in Akhaltsi - Fr. Seraphim Merabishvili,
and two parishes of the Akhaltsi district, namely:
in Uda - Fr. Gabriel Garanaszuli,
and Wale - priest Konstantin Shishaberidze.

Furthermore, there are Roman-Catholic priests in Akhalkalaki, Gori and in two other places; however, the Consulate has not been able to establish the names of these priests. In addition to the above-mentioned, there are also 4 Armenian-Catholic priests, of whom one in Yerevan and one in Leninakan. All the above-mentioned priests are local citizens and also cater for the spiritual needs of the Polish population.

In recent times the existing Catholic churches in 7 places in the Transcaucasian countries (among others in Sukhum and White Key) have already been closed down for the lack of priests. A Catholic chapel in Tiflis has also been closed."

### კონცეპტი "სამშობლო" თურქულ ანდაზებსა და ფრაზეოლოგიზმებში Concept of the Native Land in Turkish Proverbs and Phraseological Units

#### ელისაბედ ბჟალავა Elisabed Bzhalava

ივანე ჯავახიშვიდის სახედობის თბიდისის სახედმწიფო უნიევhსიტეტი Ivane Javakhishvili Tbilisi State University ჰუმანიტახუდ მეცნიეხებათა ფაკუდტეტი Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: კონცეპტი სამშობლო, თურქული, ანდაზები და ფრაზეოლოგიზმები.

**Keywords:** concept of the native land, Turkish, proverbs and phraseological units.

ანტროპოცენტრული პარადიგმის მიხედვით, რომელსაც მნიშვნელოვანი ადგილი უკავია თანამედროვე ენათმეცნიერებაში,
ადამიანი სამყაროში თეორიული და ობიექტური საქმიანობის მეშვეობით აცნობიერებს საკუთარ თავსა და სამყაროს. ამ შეცნობით
პროცესში, რა თქმა უნდა, ჩართულია ენა, ენის დახმარებით იგი საკუთარ თავში იბეჭდავს აზრებს და მათი წარმოქმნის ხერხებს. შესაბამისად, აღნიშნული პარადიგმა აერთიანებს ენას-კულტურას და
აზროვნებას. კულტურა თაობიდან თაობას გადაეცემა ენის საშუალებით, ხოლო ენა ისტორიულ-საზოგადოებრივი მოვლენაა, რომელიც საზოგადოების გარეშე არ არსებობს.

მოცემული დებულებიდან გამომდინარე კულტურა, ენა და აზროვნება მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული და მათი ცალ-ცალკე განხილვა შეუძლებელია. ამ სამი კომპონენტის კავშირმა კი მე-20 საუკუნის ბოლოს წარმოშვა სფერო, რომელსაც ლინგვოკულტუროლოგია ეწოდა. ეს არის ლინგვისტიკისა და კულტუროლოგიის კვეთაზე წარმოშობილი მეცნიერება და წარმოადგენს ნაციონალურ ენაში ასახული ერის მატერიალურ და სულიერ კულტურას, რომელშიც ასახულია ეროვნული სამყაროს სურათი, სამყაროს შესახებ ცოდნის სხვადასხვა გზები, ენობრივი ცნობიერება, მისი სპეციფიკა და ფასეულობები.

ლინგვოკულტუროლოგიის უმთავრესი ცნებებიდან ერთ-ერთია კონცეპტი. მეცნიერთა შორის აზრთა სხვადასხვაობაა როგორც ტერმინთან დაკავშირებით, ისე თუ ენის კონკრეტულად რომელი ერთეულები უკავშირდება კონცეპტს.

სტატიაში ანალიტიკური მეთოდის გამოყენებით შესწავლილი და გაანალიზებულია ლექსიკური ერთეულები, ანადზები და ფრაზე-ოლოგიზმები, რომლებსაც იყენებენ თურქები კონცეპტ "სამშობ-ლოს" გამოსახატავად.

ლიტერატურაში არსებობს მოსაზრება, რომ კონცეპტი "სამშობლო" (vatan) თურქულ ენაში არ არსებობდა. რამეთუ ყველა ერს საკუთარ ენაზე გააჩნია კონცეპტ "სამშობლოს" გამომხატველი ლექსემები, თურქულ ენაში კი ასეთი არ არსებობდა და თურქებმა საკუთარი პატრიოტიზმის გამოსახატავად არაბულიდან ისესხეს ისეთი სიტყვები, როგორებიცაა: "vatan"(სამშობლო), "hamiyet" (პატრიოტიზმი), "hürriyet"(თავისუფლება). აღნიშნული საკითხი კვლევის საგანია, თუმცაღა თურქულ ენაში ასეთი ცნების არ არსებობა, არ ნიშნავს იმას, რომ თურქებმა არ იციან ერისა და სამშობლოს სიყვარული. პირიქით, თურქებს ზედმეტადაც კი უყვართ ერიც და სამშობლოც, რაც კარგად ჩანს სხვადასხვა დროს წარმოქმნილ ფრაზეოლოგიზმებსა და ანდაზებში. მაგ.:

Vatan her kişiye âlâ görünür; Vatan sevgisi imandandır; Vatan borcu namus borcudur; Ana gibi yar vatan gibi diyar olmaz და სხვა.

According to the anthropocentric paradigm that plays a significant role in contemporary linguistics, an individual perceives his/her self and the universe through theoretical and objective activities. Certainly, this process of cognition involves the language, by means of the language, he/she formulates the thoughts and the methods of their emergence. Hence, the mentioned paradigm unifies language-culture and thinking. Culture is transferred from generation to generation by means of a language and language is a historical-social phenomenon that does not exist without society.

Regarding the above statement, culture, language and thinking are closely related and they cannot be regarded separately. The connection between these three components created the sphere called linguoculturology [cultural linguistics] in the late 20th century. This is the science which emerged at the point of intersection of linguistics and culturology and represents the material and mental culture of the nation reflected in its language, demonstrating the picture of the national universe, different ways of knowledge about the universe, linguistic consciousness, its specific nature and values.

Concept is one of the key notions of linguoculturology. Scientists have different opinions regarding both, the term and the specific elements of the language related to concept.

By applying the analytical method this article provides a study and analysis of the lexical units, proverbs and phraseological units used by the Turks to express the concept "native land".

In literature there is a view that there was no concept of "homeland" (vatan) in the Turkish language. As all nations have particular lexemes expressing the concept of the "native land" in their languages, and there was no such term in Turkish, the Turks borrowed from Arabic such words

as: "vatan" (native land), "hamiyet" (patriotism), "hürriyet" (liberty). This issue is a subject of research, the absence of such concepts in the Turkish language does not mean that Turkish people do not know about love to their nation and native land. On the contrary, the Turks love their nation and their native land maybe even more than others and this is apparent from the Turkish phraseological units and proverbs. For example:

Vatan her kişiye âlâ görünür; Vatan sevgisi imandandır; Vatan borcu namus borcudur; Ana gibi yar vatan gibi diyar olmaz etc.

# სინკრეტიზაციის საკითხი აღმოსავლურ ფილოსოფიურ-რელიგიურ მოძღვრებებში The Issue of Syncretization in Eastern Philosophical-Religious Doctrines

#### ნანა გელაშვილი Nana Gelashvili

ივანე ჯავახიშვიღის სახეღობის თბიღისის სახეღმწიფო უნივეhსიტეტი Ivane Javakhishvili Tbilisi State University ჰუმანიტახუღ მეცნიეხებათა ფაკუღტეტი Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: ბუდიზმი, ტაოიზმი, სინკრეტიზაცია, კონფუციზმი, შინტოიზმი.

Keywords: Buddhism, Daoism, syncretization, Confucianism, Shintoism.

პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური, კულტურის თუ სხვა საკითხების კვლევისას, ფრიად მნიშვნელოვანია იდეოლოგიური ასპექტის გათვალისწინება, რამდენადაც ეს სფერო მუდამ უშუალოდ დაკავშირებული იყო და არის ქვეყანაში მიმდინარე სასიცოცხლო პროცესებთან. წარმოდგენილ ნაშრომში ყურადღება ფოკუსირებულია აზიის რეგიონში აღმოცენებულ ფილოსოფიურ-რელიგიურ მოძღვრებებსა და მათ ურთიერთმიმართებაზე. გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნული რეგიონის უძველესი ცივილიზაციის კერებს ინდოეთი და ჩინეთი განასახიერებდნენ, სწორედ მათ ტერიტორიებზე ჩამოყალიბდა მსოფლიო მნიშვნელობის უმთავრესი იდეოლოგიური მოძღვრებებიც, როგორებიცაა: ბუდიზმი, ინდუიზმი, კონფუციზმი, ტაოიზმი და სხვ. მათი შესწავლა საუკუნეთა ჭრილში ნათლად გვიჩვენებს, რომ თითოეული მათგანისთვის დამახასიათებელი იყო ერთი ქვეყნიდან მეზობელ ტერიტორიებზე მიგრაცია და დამკვიდრება, პარალელურ რეჟიმში თანაარსებობა და დიალოგი ურთიერთშორის, ასევე, ერთმანეთის ღვთაებებისადმი პატივის მიგება, ზოგიერთი რიტუალის ერთმანეთში შერევა და სხვ. ასეთ შემთხვევებში, კონკრეტულ ქვეყანაში გარედან შეღწეულ რელიგიურ მოძღვრებებსა და ადგილობრივ რწმენა-წარმოდგენებს შორის გარკვეული კონსენსუსის საფუძველზე მიმდინარეობდა სინკრეტიზაციის პროცესები. თუმცა ფიქსირდება საპირისპირო მოვლენებიც, კერძოდ, როდესაც რელიგიათა შორის დაპირისპირებას შედეგად მოჰყვებოდა რომელიმე მათგანის უკუგდება, გაქრობა ან მთლიანად შერწყმა უფრო მძლავრ რელიგიურ სისტემასთან.

განსახილველ რეგიონში რელიგიური სინკრეტიზაციის პროცესების საილუსტრაციოდ, უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია ბუდიზმის მაგალითი. პარადოქსია, რომ თავის სამშობლოში - ინდოეთში, ინდუიზმმა იმდენად შეავიწროვა ბუდიზმი, რომ ქვეყანაში გავრცელებულ რელიგიებს შორის მას ყველაზე მოკრძალებული ნიშა ერგო. თუმცა, ეს არ გამორიცხავდა მათ შორის სინკრეტიზაციის ცალკეულ ფაქტს. სამაგიეროდ, ბუდიზმმა დიდი წარმატება მოიპოვა ინდოეთის საზღვრებს მიღმა არა მხოლოდ როგორც იდეოლოგიამ, არამედ როგორც კულტურის სხვადასხვა დარგის გამავრცელებელმა სეგმენტმა. ახ. წ. პირველ საუკუნეში, ჩინეთში შეღწევის შემდეგ, საწყის ეტაპზე მას გარკვეული დაბრკოლებები შეხვდა კონფუციზმისა და ტაოიზმის მხრიდან, მაგრამ მოგვიანებით, მათთან კონსენსუსის საფუძველზე, მძლავრი ბერკეტები მოიპოვა. ჩინეთი ბუდისტური ტაძრებითა და პაგოდების ქსელით მოიფინა, დაიწყო ბუდისტური დღესასწაულების აღნიშვნა, ბევრი ტაძარი ერთდროულად მიძღვნილი იყო ბუდისტური, ტაოისტური და ინდუისტური ღვთაებებისადმი, რომელთა ნაწილი სხვადასხვა სარწმუნოების ღმერთების პანთეონში აღმოჩნდა ჩართული. ანალოგიური მოვლენები აღინიშნა კორეაში, იაპონიასა და აზიის სხვა ქვეყნებში, სადაც ადგილობრივი და გარედან შეღწეული რელიგიური მოძღვრებების ცალკეული სეგმენტის, ღმერთების პანთეონის, ადათ-წესების, საკულტო ნაგებობების არქიტექტურული სტილებისა და სხვა ელემენტების სინკრეტიზაცია მიმდინარეობდა.

While researching political, socio-economic, cultural or other issues, it is very important to take into account the ideological aspect, as it has always been directly related to the ongoing life processes in the country. In the presented work, attention is focused on philosophical-religious doctrines that emerged in the Asian region and their relations. As India and China were the centers of an ancient civilizations of the region, it was in their territories that the most important ideological doctrines of world importance were formed, such as Buddhism, Hinduism, Confucianism, Taoism, etc. Their study over the centuries clearly shows that each of them was characterized by migration and settlement from one country to neighboring territories, coexistence and dialogue between each other in a parallel mode, as well as paying respect to each other's deities, mixing some rituals. In such cases, on the basis of a certain consensus, syncretization processes took place between the religious doctrines that entered a particular country from the outside and local beliefs. However, the opposite events are recorded, when, as a result of a conflict between religions, one of them retreated, disappeared or completely merged with a more powerful religious system.

To illustrate the processes of religious syncretization in the study region, first of all, the example of Buddhism is worth mentioning. It is a paradox that in its homeland - India, Hinduism has narrowed down Buddhism so much that among the religions spread in the country, it has the most modest niche. However, this did not exclude individual facts of syncretization between them. Instead, Buddhism has achieved great

success beyond the borders of India not only as an ideology, but also as a spreading segment of various branches of culture. After entering China in the first century AD, it faced certain obstacles from Confucianism and Taoism in the initial stage, but later, on the basis of consensus it gained powerful leverage. China was covered with Buddhist temples and pagodas, Buddhist holidays began to be celebrated, many temples were simultaneously dedicated to Buddhist, Taoist and Hindu deities, some of which were included in the pantheon of gods of different faiths. Similar events took place in Korea, Japan and other Asian countries, where individual segments of local and imported religious doctrines, pantheon of gods, customs, architectural styles of iconic buildings and other elements were being syncretized.

# "ლიფანალისა" და "ქუნარეშის" ტრადიცია სვანეთში "Lipanali" and "Kunarshi" Tradition in Svaneti

## როზეტა გუჯეჯიანი Rozeta Gujejiani

ივანე ჯავახიშვიღის სახეღობის თბიღისის სახეღმწიფო უნივეხსიტეტი Ivane Javakhishvili Tbilisi State University ჰუმანიტახუღი ფაკუღტეტი Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: სვანეთი, საქართველო, რელიგიური პრაქტიკა, რიტუალი, ტრადიცია.

**Keywords:** Svaneti, Georgia, religious practice, ritual, tradition.

სვანეთში დღემდე ცოცხალია ერთი უძველესი ქართული სარიტუალო ციკლი, რომელსაც ზემო სვანეთში "ლიფანალ"-ი ჰქვია, ხოლო ქვემო სვანეთში "ქუნარეშ"-ი. შინაარსით ორივე იდენტურია, მცირე სხვაობაა თარიღებში. ეს რიტუალი სინკრეტულია და მასში იკვეთება სხვადასხვა ისტორიული ეპოქისა და რელიგიის დანაშრევი. რიტუალი აღწერილია მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის არაერთი მკვლევრისა და მოგზაურის მიერ, ხოლო რიტუალის მეცნიერული ანალიზის თვალსაზრისით ფასდაუდებელია ვერა ბარდაველიძის ნაშრომები. რიტუალი ციკლურია, სრულდება ყოველი წლის დასაწყისში. მას ასრულებენ დალის ხეობის სვანებიც და საქართველოს სხვადასხვა მხარეში მცხოვრები სვანური ოჯახებიც. სულ ახლო წარსულში სულთა მოხსენიების ხალხური რიტუალები სრულდებოდა საქართველოს ყველა მხარეში. ნაწილობრივ ახლაც სრულდება, ოღონდ ციკლურობა თითქმის დაკარგულია და რიტუალი ერთდღიანია. რიტუალის შინაარსი: იხსნება კარი მიღმიერ და ამქვეყნიურ სამყაროს შორის და გარდაცვლილთა სულები სტუმრობენ თავ-თავიანთ ოჯახებს. ოჯახებში მთელი რიგი წესების დაცვით ეგებებიან სულებს და რიტუალის დასასრულს საზეიმოდვე მიაცილებენ. რიტუალის ყოველი დეტალი კარგადაა გამოკვეთილი და ოჯახის ყველა წევრი ჩართულია მასში. რასაკვირველია, მსგავის შინაარსის რიტუალებს იცნობს თითქმის ყველა მიწათმოქმედი ხალხი. კათოლიკურ სამყაროში ის შემოდგომით, კერძოდ, 2 ნოემბერს, სრულდება და დაკავშირებულია საეკლესიო კალენდართან.

რიტუალი მრავალკომპონენტიანია და თითოეულში ისახება როგორც არქაული ელემენტების დანაშრევები, ისე ანტიკური ეპოქიდან მომდინარე რწმენა-წარმოდგენების ნაშთები. უდიდესი ადგილი კი უჭირავს ქრისტიანული სწავლებით ფორმირებულ მსოფლხედვას და ეს განსაკუთრებით თვალსაჩინოა ამ დღეებში წარმოსათქმელი ლოცვის ტექსტებში.

მოხსენებაში წარმოჩენილი იქნება რიტუალის ისტორიული დინამიკა, მისი განფენილობის არეალი, თანამედროვე ფორმა და პარალელები დანარჩენ მსოფლიოსთან.

One ancient Georgian ritual cycle still practiced in Svaneti is called "Lipanal" in Upper Svaneti, and "Kunareshi" in Lower Svaneti. Both are identical in content, with a slight difference in dates. This ritual is syncretic and traces the intersection of different historical eras and religions. The ritual was described by many researchers and travellers of the second half of the nineteenth century. The most important are the works of Vera Bardavelidze, who analyses the ritual. The ritual is cyclical, annual and is performed at the beginning of the year. It is also practiced by the Svans of the Dali Valley and Svan families living in different parts of Georgia. In the recent past, folk rituals of remembrance of the spirits were performed in all parts of Georgia. It is still partially practiced, but the cycle is almost lost and the ritual lasts one day. The content of the ritual is the following: the door between the divine and mundane worlds opens and the spirits of the deceased visit their families. The families follow a number of rules, hosting the spirits and at the end of the ritual they depart solemnly. Every detail of the ritual is well outlined and all family members are involved in it. Of course, almost all agrarian peoples are familiar with such kind of rituals which are mainly connected to harvesting. In the Catholic world, it is celebrated in autumn, namely on 2 November, and is connected to the church calendar.

The ritual is multi-component, and each of them contains fragments of archaic elements, as well as remnants of beliefs and ideas from the ancient era. The greatest part of course is based on the worldview formed through Christian teachings, and this is especially transparent in the texts of prayers recited in those days.

The paper discusses the historical dynamics of the ritual, its distribution area, modern form and parallels with the similar rituals in the rest of the world.

კონცეპტუალური მეტაფორის *შემეცნება არის აღქმა* ერთ-ერთი რეალიზაციის თაობაზე ქართულე ენასა და კულტურაში
On One of the Instantiations of the Conceptual Metaphor *Cognition is Perception* in Georgian Language and Culture

#### ნინო დარასელია Nino Daraselia

ივანე ჯავახიშვიდის სახ. თბიდისის სახედმწიფო უნივეხსიტეტი Ivane Javakhishvili Tbilisi State University ჰუმანიტახუდ მეცნიეხებათა ფაკუდტეტი Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: შემეცნება ახის აღქმა, კოგნიტიური ლინგვისტიკა, ქართული ენა და კულტურა. Keywords: Cognition is Perception, cognitive linguistics, Georgian language and culture. ნაშრომი განიხილავს ბაზისური კონცეპტუალური მეტაფორის შემეცნება ახის აღქმა რეალიზაციის ერთ-ერთ თავისებურებას ქართულ ენასა და კულტურაში. კოგნიტიური ლინგვისტიკა (კერძოდ, კონცეპტუალური მეტაფორის თეორია, განსხეულების ჰიპოთეზა, გარდნერის მოძღვრება ინტელექტის ტიპებზე) და ისტორიული ლინგვისტიკა ქმნის ნაშრომის თეორიულ საფუძველს. ემპირიული მასალა მოიცავს ინფორმაციას მოპოვებულს ქართული ენის ავტორიტეტული ლექსიკონებიდან და კორპუსებიდან, ასევე, წერილობითი და ზეპირმეტყველებითი დისკურსის ნიმუშებიდან.

სპეციალური ლიტერატურის შესწავლისა და ემპირიული მასა-ლის ანალიზის საფუძველზე დადგინდა შემდეგი:

- ქართული ენისა და კულტურისთვის დომინანტურია სმენითი აღქმის კატეგორია. შესაბამისად, სენსორული მოდალობების ველში სემანტიკური გავრცობის სქემაა სმენა > მხედველობა (აღნიშნულის საილუსტრაციოდ შეიძლება მოვიტანოთ დერი-ვაციის შემდეგი ნიმუში: ყური ყურება). თქმული წინააღმდეგობაში მოდის ვიბერგის უნივერსალიასთან (1984), რომლის მიხედვითაც ვიზუალური აღქმის აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულები სემანტიკური გავრცობის შდეგადიძენენ სმენითი აღქმის მნიშვნელობას: მხედველობა > სმენა.
- 2. აღქმისა და შემეცნების ველებს შორის სემანტიკური გავრცობისას წინა პლნზეა კონცეპტუალური მეტაფორა ხატოვანი სქემით გააზჩება,ცოჹნის მიღება აჩის მოსმენა.
- 3. ქართულში ასევე დასტურდება შემთხვევა, როდესაც ინტელექტთან ასოცირებული ლექსიკური ერთეული საფუძვლად უდევს სმენით აღქმასთან დაკავშირებული ლექსემების დერი-ვაციას: გონი გაგონება. საყურადღებოა, რომ გაგონება-ს სემანტიკური გავრცობის შედეგად განუვითარდა გაგების მნიშვნელობა.

ნაშრომში ჩამოთვლილი მახასიათებლები ახსნილია გარდნერის თეორიით ინტელექტის ტიპების შესახებ. გარდნერის (2011) თანახმად, ცალკეულ ინდივიდში რეალიზდება მის მიერ გამოყოფილი ინტელექტის რვავე (ლინგვისტური, მათემატიკა/ ლოგიკური, მუსიკალური, კინესთეტური, სივრცობრივი, ინტერპერსონალური, ინტრაპერსონალური, ნატურალისტური) ტიპი, თუმცა ერთ-ერთი მათგანი დომინანტური ხასიათისაა. მიმაჩნია, რომ აღნიშნული ინტელექტის ტიპები შეიძლება გამოყენებულ იქნეს ცალკეულ კულტურასთან მიმართებაშიც. ვერბალური და არავერბალური ქცევის ნიმუშებზე დაკვირვებამ ცხადყო, რომ 8 ინტელექტის ტიპიდან ქართული კულტურისთვის წამყვანია სმენითი/მუსიკალური და ინტერპერსონალური ინტელექტის სახეობანი. ხსენებული ინტელექტის ტიპების დომინანტობა ასახვას პოვებს ზემოთ მოყვანილ ხატოვან სქემებში.

This paper examines one of the instantiations of the generic-level conceptual metaphor *Cognition is Perception* in Georgian language and culture. Cognitive linguistics (namely, conceptual metaphor theory, embodiment hypothesis, Gardner's theory of multiple intelligences) and historical linguistics form the theoretical basis of the study. The empirical data have been accumulated from authoritative dictionaries and corpora as well as samples of spoken and written discourse genres.

The study of scholarly literature and the analysis of the empirical data have revealed the following:

- 1. For Georgian language and culture, hearing sensory modality is of dominance. Hence for Georgian, the intrafield semantic extension is hear>see, and not see> hear. The said can be illustrated by the following derivational sample q'uri-q'ureba (ear-look). The presented evidence contradicts Viberg's (1984) universal, unidirectional pattern of semantic extension across modalities see>hear.
- 2. In transfield extensions, the conceptual metaphor with the image-schema *Understanding/Knowing is Hearing* is of primacy.
- 3. The derivation of lexemes denoting hearing perception from the roots referring to intellection is also attested in Georgian: *goni gagone-ba* (reason/mind hearing). It is noteworthy that *gagoneba* further developed a secondary meaning understanding.

In the paper the above-enumerated peculiarities are interpreted from the standpoint of Gardner's theory of multiple intelligences. According to Gardner (2011), the 8 types of intelligence singled out by him (linguistic, mathematical/logical, musical, kinesthetic, spatial interpersonal, intrapersonal, naturalistic) are realized in every individual, however, one of the types is of dominant importance. In my viewpoint, multiple intelligences can be used in reference to a particular culture and language community. The observations on the samples of verbal and non-verbal behaviour have revealed that for Georgian culture musical and interpersonal intelligences are of primary relevance. The dominance of the mentioned intelligence types is reflected in the image-schemas presented above.

## ტექნოპოლისის პრაგმატიზმი და ქრისტიანული ეთიკის ახალი დისკურსი Pragmatism of Technopolis and a New Discourse of Chistian Ethics

#### ანასტასია ზაქარიაძე Anastasia Zakariadze

ივანე ჯავახიშვიდის სახედობის თბიდისის სახედმწიფო უნივეhსიტეტი Ivane Javakhishvili Tbilisi State University ჰუმანიტახუდ მეცნიეხებათა ფაკუდტეტი Faculty of Humanities

**საკვანძო სიტყვები:** გექნოპოდისი, სეკუდაჩუდი ქადაქი, უჩბანუღ-სეკუდაჩუდი აღამიანი.

Keywords: technopolis, secular city, urban-secular man.

პოსტმოდერნული ეპოქა შეფასებული, ხან როგორც პოსტრელიგიური საუკუნე, ხან როგორც რელიგიური ფუნდამენტალიზმი, წარმოშობს სეკულარიზაციის პროცესის ქრისტიანული გააზრების მიმართ ალტერნატულ შეფასებებს. დიტრიხ ბონჰოფერისა და მაქს ვებერის გავლენით, ამერიკელი ფილოსოფოსისა და თეოლოგის, სეკულარიზაცია ჰარვი კოქსისთვის უშუალოდ უკავშირდება "ადამიანის ზრდასრულ ასაკში შესვლას" და "სამყაროს განჯადოებას". ქრისტიანობა, როგორც უნივერსალური და რადიკალურად ღია, განიხილება კროს-კულტურულ პერსპექტივაში, იქმნება სეკულარული ქალაქის თეოლოგიური პორტრეტი ახალი დისკურსით და ქცევის ახალი პარადიგმით - "ზეციური ქალაქის" უძველესი სიმბოლოს" ცოცხალი და კონკრეტული რეალიზაცია.

ისტორია კოქსს წარმოდგენილი აქვს სამ: მითოლოგიურ, ონტოლოგიურ და პრაგმატულ ჟამად. მითოლოგიურ პერიოდში სუბიექტი და ობიექტი მაგიურ სამყაროში ერწყმიან ერთმანეთს. ონტოლოგიურში - საკრალური გამოეყოფა პროფანულს; ადამიანი თავისუფლდება მაგიურის მიმართ შიშებისგან; იბადება ონტოლოგიური
აზროვნება. პრაგმატულ ეპოქაში ფორმირებული აზროვნება კონკრეტულად იმ ქცევების ინსტრუმენტად იქცევა, რომელნიც სოციუმის ფუნქციონირებისათვის აუცილებელია/საჭიროა. სეკულარიზებულ სამყაროში ონტოლოგიური აზროვნება აღარაა საჭირო, მეტაფიზიკურზე, ზებუნებრივ არსებზე აზროვნებისგან ადამიანი განთავისუფლებულია. თუ სეკულარიზაცია განსაზღვრავს ადამიანის
სრულწლოვანების შინაარსს, ურბანიზაცია აღწერს იმ კონტექსტს,
რომელშიც ის იშვა. იგი ახალი საზოგადოების "მოდელირებას ახდენს", ხელს უწყობს განსაკუთრებული კულტურული სტილის დამყარებას.

პრაგმატიზმის ეპოქაში იქმნება ახალი დისკურსის ქალაქი - "ტექნოპოლისი". ტექნოპოლისი წარმოადგენს ადამიანური კომუნის ახალ სახეობას. აქ აღარ არსებობს არსებითი სახელები, მხოლოდ ზმნებია; საგნები გარდაქმნილია ქმედებებად. სეკულარული ქალაქის საუკუნე, ეპოქა, რომლის ეთოსიც სწრაფად ვრცელდება მსოფლიოს ყველა კუთხეში, არის საუკუნე, რომელშიც საერთოდ არაა რელიგია. ის აღარ ეძებს რელიგიურ წესებსა და რიტუალებს, მორალს ანდა ზნეობრივის მნიშვნელობას. ტექნოპოლისი სეკულარული სამყაროს კუმულატური სოციალური სახეა - ორი მახასია-

თებლით: მობილურობა და ანონიმურობა. მისი ცხოვრების სტილიპრაგმატულია. მასში მცხოვრები "პრაგმატიკოსი" და "პროფანულია", არ აქვს ექსისტენციალურად ფორმულირებული "ბოლოვადი" კითხვების დასმის მოთხოვნილება; ეს კითხვები, ისევე, როგორც ექსისტენციალიზმი, გასული ჟამის კუთვნილებაა. "ურბანულსეკულარული ადამიანი ქალაქში მოხვდა სამყაროს რელიგიური მსოფლხედვის დაკრძალვის შემდეგ. მას არ აქვს დანაკარგის განცდა და არც ინტერესი აქვს, იგლოვოს... იგი გრძნობს, რომ ის კითხვები, რომლებიც მას აინტერესებს, სხვა სფეროს განეკუთვნება. ამიტომაც უაზრობაცაა და უსინდისობაც, ვაიძულოთ ქალაქელს, დასვას რელიგიური კითხვები. ჩვენ თავიდან უნდა ვისწავლოთ მასთან ლაპარაკი. უპირველეს ყოვლისა, პრაგმატიკოსი უნდა მივიღოთ იმად, რაც ის არის..." სეკულარული ქალაქის საუკუნე, ეპოქა, რომლის ეთოსიც სწრაფად ვრცელდება მსოფლიოს ყველა კუთხეში, არის საუკუნე, სადაც საერთოდ არაა რელიგია. ის აღარ ეძებს რელიგიურ წესებსა და რიტუალებს, მორალსა ანდა ზნეობის მნიშვნელობას. დისკურსი, რომელსაც რელიგიის ეპოქა ქმნიდა დასავლური ცივილიზაციის ისტორიაში, ჩავლილია. შესაბამისად, "დიადი რელიგიური თხრობის" საუკუნეც დასრულდა. ტრადიციულ დასავლურ თეოლოგიას აღარ ძალულს, გადაჭრას სტანდარტული აპოლოგეტური ამოცანა - მოიცვას სამყარო ერთიანი ქრისტიანული განმარტებით. კოქსის აზრით, იგი დღეს არის თავდაცვისა და უკანდახევის მდგომარეობაში.

კოქსის მიერ ონტოლოგიზმის კრიტიკა წარუმატებელია. ონტოლოგიზაციისაგან გასვლა შესაძლებელია მხოლოდ დაფარული ონტოლოგიზაციით. ოპტიმისტურად დაწყებული გზა სეკულარული ქალაქის პრაგმატული რეფორმიდან პესიმისტური რელატივიზმისკენ მიდის. The postmodern era, sometimes evaluated as a post-religious age, sometimes as religious fundamentalism, gives rise to alternative assessments of the Christian understanding of the process of secularization. For the American philosopher and theologian Harvey Cox, influenced by Dietrich Bonhoeffer and Max Weber, secularization is directly related to "man's coming to age" and "the disenchantment of the World". Christianity, as universal and radically open, is considered in a cross-cultural perspective. A theological portrait of a secular city, with a new discourse and a new paradigm of behavior, is created, a living and concrete realization of the old age symbol of the "The City of God".

Cox presents history in three epochs: mythological, ontological and pragmatic. In the mythological epoch, the subject and the object merge in the magical world. In the ontological period the sacred is separated from the profane. A person is freed from the fear of magic, and an ontological thinking is born. The thinking formed in the pragmatic era becomes a tool for those behaviors that are needed /necessary for the functioning of society. In a secularized world, ontological thinking is no longer necessary, people are freed from thinking about metaphysical, supernatural beings. If secularization designates the content of man's coming of age, urbanization describes the context in which it is occurring. It is the "shape" of the new society which supports its peculiar cultural style.

In the era of pragmatism a city of a new discourse - "Technopolis" is created. Technopolis represents a new species of human community. Here things are transformed into actions, nouns of ontological period turn into verbs. Technopolis is the cumulative social face of the new secular world - with two characteristics: mobility and anonymity. Its lifestyle is pragmatic. Its inhabitant is "pragmatic" and "profane", the one who lives there does not need to ask existentially formulated "ultimate" questions; these questions, like existentialism, belong to the past. "The urban-secular man arrived to town after the funeral of religious worldview was already over. He feels no sense of deprivation and has no interest of mourningp he feels that the questions he is interested in belong to another field. Therefore, it is senseless and pointless to force the urbanite to ask religious questions. We have to learn to talk to him all over again. First of all, we should accept a pragmatic for what he is." The age of the secular city, the epoch whose ethos is quickly spreading into every corner of the globe, is an age of "no religion at all". It no longer looks to

religious rules and rituals for its morality or its meanings. The discourse that the age of religion constituted in the history of Western civilization has passed. Accordingly, the century of the "great religious narrative" has ended. Western traditional theology is no longer able to solve the standard apologetic task of covering the world with a single Christian definition. According to Cox, theological discourse today is in a state of defensiveness and retreat.

Cox's critique of ontologism fails. Exit from ontologizing is possible only with hidden ontologisation. The path that begins optimistically leads from the pragmatic reform of the secular city to pessimistic relativism.

# ადრეშუასაუკუნეების ლითონდამამუშავებელი სახელოსნოები სვანეთში (ქვედა იფარი) Early Medieval Metalworking Workshops in Svaneti (Ipari)

## ზვიად კვიციანი Zviad Kvitsiani

ივანე ჯავახიშვიღის სახეღობის თბიღისის სახეღმწიფო უნივეhსიტეტი Ivane Javakhishvili Tbilisi State University ჰუმანიტახუღ მეცნიეხებათა ფაკუღტეტი Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: კავკასია, სვანეთი, ქვ. იფარი. Keywords: Caucasus, Svaneti, Ipari.

შუა საუკუნეების სვანეთის ცხოვრების ზოგიერთი სპეციფიკური მხარის ჩვენება მკრთალად წარმოგვიდგება. ჯერ კიდევ არ არის შემუშავებული ერთიანი აზრი რეგიონის სოციალ-ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული განვითარების მთელ რიგ არსებით საკითხებზე. საეკლესიო კრებათა მატიანეები და საერო სახის სხვადასხვა ხელნაწერები, მაღალმხატვრული ოქრომჭედლობა, დახვეწილი არქიტექტურა, "სვანური ფერწერის მხატვრული სკოლა", მუზეუმებსა და ეკლესიებში დაცული დიდძალი განძეულობა და ქრისტიანული კულტურის მრავალი სხვა კომპონენტი, სვანეთში ქრისტიანული იდეოლოგიის ყოვლისმომცველ ხასიათს და საეკლესიო-სამონასტრო ცხოვრების მაღალ დონეზე მეტყველებს. მართალია, სვანეთის ადრე შუა საუკუნეების არქეოლოგიური ძეგლების კვლევა დღემდე შემთხვევით აღმოჩენებსა და არქეოლოგიურ დაზვერვებს არ გასცილებია, მაგრამ გამოვლენილი მასალა აღებული ეპოქის მხარის სოციალ-ეკონომიკური და საზოგადოებრივი წყობის მრავალ საკითხს ჰფენს შუქს..

სვანეთში საკმარისად იყო განვითარებული რკინის მეტალურგია, რომლის არქეოლოგიური საბუთია 2011-2023 წლებში თსუ სვანეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ ჭუბერის თემის, სოფ. ქვ.
მარღში, სოფ.ქვ.იფარში, სოფ.ხაიშში, სოფ.ქედანში, სოფ. ლუჰაში
და სოფ. ლახამში გამოვლენილი მეტალურგიული მოედნები და
რკინის სადნობი ქურები, რკინის წიდები, რკინის ნაღვენთები, ქურის კერამიკული საქშენი მილები, რკინის სამეურნეო და საბრძოლო იარაღები და სხვ. ანტიკური ხანის რკინის გამონამუშევრები
ხშირად იჩენენ თავს დასავლეთ საქართველოში. ამ მხრივ ყველაზე ადრე ჭოროხისა და ჭუბერის ხეობებმა მიიქციეს ყურადღება..
რკინის ამ საწარმოო კერასთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული
ქურათა მრავალრიცხოვანი ნაშთები, აღმოჩენილი ნენსკრას ხეობაში, კერძოდ, სოფ, ლახამის ჩრდილოეთით არსებულ ფერდობზე
(დაახლოებით 110 ჰექტარი) და ენგურის ხეობის დასაწყისთან,
მდინარის მარცხენა ნაპირზე, სოფ. ჯვარსა და ლიაში.

აღმოჩენილი რკინის ქურები, ასევე, გადამუშავების შედეგად ნარჩენი მასალები - რკინის ნაღვენთები, თავად გადამუშვებული რკინა, ქვით ნაშენი და შებათქაშებული ქურები - ძველი წელთაღ-რიცხვის VIII-VI საუკუნეებით თარიღდება. დაფიქსირებული მასალის რაოდენობა და ტერიტორიის მასშტაბი გვაძლევს იმის თქმის

საშუალებას, რომ სვანეთში, რაჭისა და მდინარე ჭორიხის აუზში მოპოვებული რკინით იმ პერიოდში არა მხოლოდ კოლხეთი, არამედ წინა აზიის სახელმწიფოებიც მარაგდებოდა. იმ პერიოდში რკინის მოპოვება და დამუშვება მაღალი ცივილიზაციის არსებობის მაჩვენებელი იყო.

2023 წლის გათხრების შედეგად ქვედა იფარში დადასტურდა ადრეშუასაუკუნეების რკინის მეტალურგიული სახელოსნოები, რაც პირველი შემთხვევაა დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიაში.

სვანეთში ერთ-ერთი არქეოლოგიურად განსაკუთრებულად საინტერესო მიკრორეგიონია ქვედა იფარის ტერიტორია. სწორედ აქ დაიწყო სვანეთის არქეოლოგია 1925 წელს.

არქეოლოგიური მასალისა და კლასიკური პერიოდის ავტორთა ცნობებზე დაყრდნობით, რ. ფორბსი აღნიშნავს, რომ პონტოს რაიონი, სადაც სახლობდნენ ხალიბები, თუბალები, მოსინიკები, ფერადი ლითონისა და რკინა-ფოლადის წარმოების სამშობლოა. რ. ფორბსის აზრით, რკინის აღმოჩენის ცენტრად შეიძლება კავკასიის მთიანეთი მივიჩნიოთ, საიდანაც მისი დამუშავების ტექნოლოგია სხვა რეგიონებში გავრცელდა.

სოფ. ქვ. იფარის რკინის საწარმოო სახელოსნოები განლაგებულია მდ.ენგურის მარცხენა სანაპიროდან 200-300 მეტრის დაშორებით, მთის აღმოსავლეთი ფერდის ძირას, 80-90%-იან დაქანებაზე (სურ.1-2).

2023 წელს თსუ სვანეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ ქვ.იფარში განხორციელებულმა არქეოლოგიურმა კვლევა-ძიებამ, არაერთი დამატებითი ნივთმტკიცება მოიპოვა იმისა, რომ ეს მიკ-რორეგიონი, საქართველოს ლითონწარმოების ერთ-ერთ მძლავრ კერას წარმოადგენდა.

არქეოლოგიური კვლევის შედეგად გამოვლინდა ადრეშუასაუ-კუნეების რკინის მეტალურგიულ წარმოებასთან დაკავშირებული თიხის კარიერები (სურ. 4), (რაც პირველი შემთხვევაა სვანეთის არქეოლოგიაში), თიხის მილების განსაკუთრებულად დიდი ოდენობა (სურ. 3)., წიდები (სურ. 5)., საწარმოს ნაშთები (სურ. 7), ჩამოსხმული ლითონის ე.წ. კვერების ფრაგმენტები (სურ. 6)., ქვის ამბოსები სხვადასხვა ზომის (სურ. 8)., რაც ასევე პირველი შემთხვევაა, თვითონ მილში დარჩენილი უჟანგავი რკინის ფრაგმენტები, რკინის ნაღვენთები, კერამიკული ჭურჭელი.

ჩატარებული სამუშაოების შედეგად შემდეგი დასკვნების გამოტანა შეგვიძლია: ენგურის მხარე დახუნძლულია რკინის წარმოების ძეგლებით, არსებული მასალების მიხედვით ირკვევა, რომ რკინის წარმოებასთან დაკავშირებული ობიექტები ამ რეგიონში მოქმედებას იწყებენ ძვ.წ VIII-VII სს-ებიდან და ქვემო იფარის ქურა სახელოსნოების გათვალისწინებით ეს ტრადიცია უფრო დიდი მაშტაბებით გრძელდება ადრეშუასუკუნეებშიც.

Iron metallurgy was sufficiently developed in Svaneti, the archaeological evidence of which are the metallurgical fields and iron smelting furnaces, iron slags, iron scraps, ceramic nozzle pipes of furnaces, iron agricultural and military tools, and other items discovered by 2011-2023 Svaneti archaeological expedition conducted by TSU in Chuberi community villages: Kvemo (lower) Marghi, Kv. Ipari, Khaishi, Kedani, Luha and Lakhami. Ancient iron artefacts are often found in Western Georgia. In this regard, Chorokhi and Chuberi valleys were the first to attract attention. Numerous remains of furnaces found in the Nenskra Valley, namely on the northern slope of the village of Lakhami (about 110 hectares) and near the beginning of the Enguri Valley, on the left bank of the river, in the villages Jvari and Lia, must have been connected with this iron production center.

The discovered iron furnaces, as well as waste materials from processing - iron scraps, processed iron, stone-built and plastered stoves - date back to the 8th-6th centuries BC. The amount of the recorded material and the scale of the territory allow us to say that the iron mined in Svaneti, Racha and Chorokhi River basin was supplied not only to Kolkheti, but also to the states of Asia Minor. At that time, iron mining and processing was an indicator of the existence of a high civilization.

As a result of excavations in 2023, iron metallurgical workshops of the early Middle Ages were confirmed in Lower Ipari, which is the first case in the archaeology of Western Georgia.


One of the archeologically particularly interesting micro-regions in Svaneti is the Lower Ipari area. This is where the archaeology of Svaneti began in 1925.

The iron production workshops of the village of Kv. Ipari are located 200-300 meters from the left bank of the Enguri River, at the foot of the eastern slope of the mountain, on an 80-90% inclination (Fig. 1-2).

In 2023, the archaeological research and search carried out by the TSU Svaneti archaeological expedition in Kv. Ipari obtained a number of additional evidence proving that this micro-region was one of the powerful centers of metal production in Georgia.

As a result of archaeological study, clay quarries related to metallurgical production of iron in the early Middle Ages were revealed (Fig. 4), (which is the first case in the archaeology of Svaneti), an exceptionally large number of clay pipes (Fig. 3), slags (Fig. 5), industrial waste (Fig. 7), the so-called cast metal fragments of mallets (Fig. 6), stone ambroses of different sizes (Fig. 8), which is also the first case, stainless iron fragments left in the pipe itself, iron scraps, ceramic dishes.

As a result of the conducted works, we can draw the following conclusions: The Enguri area is filled with monuments of iron production, according to the available materials, it is clear that objects related to iron production in this region began to operate in the 8th-7th centuries BC, and taking into account the Kura workshops of Kvemo Ipari, this tradition on a larger scale continues even in the early Middle Ages.





1 2



## ეტიუდი გრაკლიანი გორიდან An Etude from Grakliani Gora

## ვახტანგ ლიჩელი Vakhtang Licheli

ივანე ჯავახიშვიღის სახეღობის თბიღისის სახეღმწიფო უნივეhსიტეტი Ivane Javakhishvili Tbilisi State University ჰუმანიტახუღ მეცნიეხებათა ფაკუღტეტი Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: გრალიანი, ლევანტი, მესოპოტამია, ახალი რენესანსი

Keywords: Grakliani, Levant, Mesopotamia, New Renaissance.

გრაკლიან გორაზე აღმოჩენილი ძვ.წ. X საუკუნის წარწერა ( "B" წარწერა) კვლავ დიდი ინტერესის საგანია და ამიტომ მის შეფასებას დინჯი და გამოზომილი გააზრება სჭირდება. მისი გრაფიკული ანალიზი კვლავ მიანიშნებს იმაზე, რომ აქ დამწერლობის შემოღების თვალსაზრისით განსაკუთრებულ მოვლენასთან გვაქვს საქმე, რადგან გრაკლიანის ნიშნების ერთი ნაწილი გარკვეულ მსგავსებას ამჟღავნებს არამეულთან. აქ კი ფაქტობრივ კაზუსს ვაწყდებით, რადგან ყველაზე ძველი არამეული - გუზანის წარწერა (სირია), ძვ.წ. 850 წლით თარიღდება. მაგრამ არსებობს გამორჩეული გერმანელი მკვლევრის კლაუს ბაიერის დასაბუთებული მოსაზრება იმის თაობაზე, რომ დამწერლობის ამ სისტემის ერთი ვარიანტი, შესაძლოა, "სადღაც, აღმოსავლეთში ძვ.წ. XI-X საუკუნეებში ჩამოყალიბდა". მე შორს ვარ იმ აზრისაგან, რომ კლაუს ბაიერი მაინცადამაინც საქართველოს გულისხმობდა (ეს არ ჩანს მისი ნაშრომებიდან), მაგრამ მისი არაჩვეულებრივი ლოგიკა შეუძლებელია, არ გავითვალსწინოთ. წარწერის არქეოლოგიური კონტექსტი კი ტენდენციას მახლობელი აღმოსავლეთის დასავლეთი ნაწილის კულტურებისადმი ავლენს (ადგილობრივი იბერიული წონის სისტემა, ნეოასურული ტექნოლოგიები, ეკონომიკური და ინტელექტუალური ინოვაციების ქრონოლოგიური თანხვედრა). ამის გამო გრაკლიანის წარწრის გენეზისის და დეშიფრირების საკითხი ჯერ კიდევ ღიად რჩება. მიუხედავად ამის, არქეოლოგიური კონტექსტისა (ქალღვთაების ორქონგურიანი კერპი, შეწირული მარცვლეული) და ეთნოგრაფიული მასალის საფუძველზე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ "A" წარწერა, რომლისგანაც მხოლოდ სამი ასო გადარჩა, ამ სამლოცველოს დომინანტის - ღმერთების დიდი დედისადმი მიძღვნილი ვედრებაა, ხოლო "B" წარწერა, შესაძლოა, იწყება სიტყვებით "წმინდა ბეღელი". გრაფიკულად ეს ორი წარწერა ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებულია.

გრაკლიანზე არის სიახელეები, რომელიც თვალის ერთი გადავლებითაც კი ნათელ სურათს ქმნის (დამწერლობისა და წონის ადგილობრივი ერთეულის შემოღება, რკინის წარმოების აყვავება, ნეო-ასურული ტექნოლოგიების შემოღება და სხვა) - ძვ.წ. X საუკუნის საქართველო, გრაკლიანი გორის აღმოჩენების მიხედით, ყველაზე მეტად დაწინაურებული რეგიონების სინქრონულად, მორიგი აყვავების ფაზაშია შესული და განაგრძობს ინტელექტუალურ აღმავლობას.

The inscription of the 10th century B.C. found on Grakliani Hill ("B" inscription) is still a subject of great interest, and therefore its evaluation requires careful and measured research. Its graphic analysis once again indicates that we are dealing with a special case from the point of view of the introduction of writing, because one part of the Grakliani signs shows a certain similarity with Aramaic. And here we face a factual case. because the oldest Aramaic inscription - Guzan (Syria), dates back to 850 BC. However, there is a well-founded opinion of the distinguished German researcher Klaus Bayer that perhaps a variant of Aramaic writing system "was formed in the 11th-10th centuries BC somewhere in the East". I am far from the opinion that Klaus Bayer meant necessarily Georgia (this is not evident from his works), but his extraordinary logic cannot be ignored. The archaeological context of the inscription reveals a tendency towards the cultures of the western part of the Near East (local Iberian weight standard unit, Neo-Assyrian technologies, chronological concurrence of economic and intellectual innovations).

Due to this, the question of the genesis and deciphering of the Grakliani still remains open. Nevertheless, based on the archaeological context (a two-headed idol of a goddess, sacrificed grains) and ethnographic material, it can be assumed that the inscription is a prayer dedicated to the dominant of this chapel - the Great Mother of Gods. The idol had a separate dedication on the northern wall ("A" inscription, of which only three letters survived). "B" (central) inscription may begin with the words "Holy Barn". Graphically, these two inscriptions are completely different from each other.

There are archaeological finds on Grakliani Gora that create a clear picture even at a glance (the introduction of writing, the flourishing of iron production, the introduction of Neo-Assyrian technologies, etc.) – 10th c B.C. Georgia has entered another phase of prosperity, synchronously with the most advanced regions, and continues its intellectual ascension.

საგმირო-საისტორიო სიმღერა "ხევსურები გორის ბრძოლაში" A Heroic-Historical Song "Khevsurians in the Battle of Gori"

## ხვთისო მამისიმედიშვილი Khytiso Mamisimedishvili

ივანე ჯავახიშვიღის სახეღობის თბიღისის სახეღმწიფო უნივეhსიტეტი Ivane Javakhishvili Tbilisi State University ჰუმანიტახუღ მეცნიეხებათა ფაკუღტეტი Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: ერეკლე მეფე, ფოლკლორი, საგმირო პოეზია **Keywords**: King Erekle, folklore, heroic poetry.

ერეკლე მეფის შესახებ პოეტური ტექსტებისა და პროზაული გადმოცემების მნიშვნელოვანი ნაწილი ჩაწერილია XIX საუკუნის II ნახევარსა და XX საუკუნის დასაწყისში, გმირი მეფის მოღვაწეობიდან დაახლოებით ერთი საუკუნის შემდეგ. მიუხედავად იმისა, რომ ერეკლე მეფის ციკლის ნაწარმოებებში მრავლად არის მხატვრული ელემენტები, მითოლოგიური არქეტიპები და ანაქრონიზმები, ეს ტექსტები ისტორიული სინამდვილის აღდგენის საშუალებას მაინც იძლევა. გმირ მეფესთან დაკავშირებულმა სიუჟეტებმა ბოლომდე გამითიურება ვერ მოასწრეს.

უფრო მეტი რეალურობით გამოირჩევა ერეკლე II-ის ციკლის ის ლექსები, რომლებიც მეფის მეთაურობით გამართულ ბრძოლებს ასახავს, რადგან მათი ნაწილი, როგორც ჩანს, შექმნილია ერეკლე მეფის ბრძოლების თვითმხილველთა ნაამბობის მიხედვით. ერეკლე მეფის ბრძოლების ამსახველ პოეტურ და პროზაულ ტექსტებში სინამდვილის უტყუარ განცდას ქმნის მათში ასახული კონკრეტული გეოგრაფიული გარემო, სადაც ბრძოლა გაიმართა, ტოპონიმებისა და მიკროტოპონიმების სიმრავლე. ამ ციკლის ხალხური ლექსები გამორჩეულ მებრძოლებსა და სახალხო გმირებს გვარ-სახელებითა და მათი იდენტობის დამადასტურებელი სხვადასხვა საშუალებით წარმოგვიდგენს, რაც ტექსტში გადმოცემული ამბის რეალუ-რობას კიდევ უფრო აძლიერებს.

საგმირო-საისტორიო ჟანრის სიმღერა "ხევსურები გორის ბრძო-ლაში", რომელმაც ჩვენამდე რამდენიმე ვარიანტის სახით მოაღწია, გადმოგვცემს 1744 წლის მოვლენებს, გივი ამილახვრისა და უსუფ ფაშას წინააღმდეგ ერეკლე მეფის ბრძოლის ერთ-ერთ ეპიზოდს. ლექსი რამდენიმე ნაწილისგან შედგება.

ექსპოზიციურ ნაწილში მითითებულია კონკრეტული მარშრუტი, ერეკლე ბატონიშვილის ასვლა ხევსურეთში ჯარის შესაგროვებლად. ნიშანდობლივია ისიც, რომ ხევსურეთში მისული ერეკლე ყველაზე წმინდა ადგილზე, სანეს მთაზე, დაბანაკდა, სადაც აღმართული იყო გუდანის ჯვრის სამთო სალოცავი.

ლექსი ხევსურების საკრალური ყოფის კიდევ ერთ წესზე, ქადა-გობის ტრადიციაზე, ამახვილებს ყურადღებას, რომელიც ნაწარმოებში მნიშვნელოვანი სტრუქტურული ერთეულია, რადგან ნაქადა-გარი უნდა აღსრულდეს, რითაც ერთმანეთს დაუკავშირდება ნა-წარმოების ექსპოზიციური და ფინალური ნაწილები.

ლექსი "ჴევსურები გორის ბრძოლაში" უაღრესად მნიშვნელოვანი ფოლკლორული ნაწარმოებია. მასში წარმოდგენილია ერეკლე მეფისა და ხევსურების ურთიერთობის მნიშვნელოვანი დეტალები; ხევსურეთის მეომრულ-რელიგიური საზოგადოების ტრადიციული ყოფის საკრალური ელემენტები; ერეკლე მეფის დროშის ქვეშ მებრძოლ ხევსურთა ვინაობა; ბრძოლის გარემოებები; ლექსი ამდიდრებს ჩვენს ცოდნას ხევსურული ზეპირსიტყვიერი ტრადიციის შესახებ.

მართალია, ეს ხალხური ნაწარმოები გორის ბრძოლაში ხევსურების მონაწილეობას ასახავს, მაგრამ გამორიცხული არ არის,
რომ მასში ჩართული იყო სხვა ბრძოლების ელემენტებიც. ამას
გვაფიქრებინებს ლექსის ტრაგიკული დასასრული. რეალურად კი
ცნობილია, რომ გორისა და სურამის ბრძოლები ერეკლე მეფის
გამარჯვებით დამთავრდა. ერთი მხრივ, ლექსი შეიძლება შეიქმნა
ტრადიციული ხევსურული საგმირო "სიმღერეს" ჟანრობრივი მახასიათებლებით, რის მიხედვითაც, საგმირო სიმღერები მუდამ გმირის დაღუპვით მთავრდება. მეორე მხრივ, შეიძლება მასზე, როგორც ზეპირ ტექსტზე, გავლენა მოახდინა კრწანისის ომის დრამატულმა მოვლენებმა და ლექსის სამგლოვიარო ფინალი მოგვიანო
პერიოდში ჩამოყალიბდა.

A significant part of poetic texts and prosaic narrations about King Erekle was written down in the second half of the 19th-early 20th century, about a century after the heroic king's life and work. Thus, although there are many artistic elements, mythological archetypes and anachronisms in the narrations of King Erekle's cycle, these texts still provide an opportunity to restore historical reality. The stories related to the hero king could not completely pass into mythology.

The verses of the cycle of Erekle II, depicting the battles under the leadership of the king, are distinguished by greater reality, because some of them are created according to the testimony of eyewitness to the battles of King Erekle. In the poetic and prosaic texts depicting the battles of King Erekle, an unmistakable sense of authenticity is created by the specific geographical environment where the battle took place, by the abundance of toponyms and microtoponyms. The folk verses of this cycle, outstanding fighters and public heroes are presented with their names

and various ways of confirming their identity, which further strengthens the reality of the narrative conveyed in the text.

The song of the heroic-historical genre "Khevsurians in the Battle of Gori", which has reached us in several versions, tells us about the events of 1744, one of the episodes of the battle of King Erekle against Givi Amilakhvari and Usuf Pasha. The verses consist of several parts.

The verse "Khevsurians in the Battle of Gori" is an extremely important folk work. It presents important details of the relationship between King Erekle and Khevsurians; sacred elements of the traditional existence of the military-religious society of Khevsureti; the identity of the Khevsurians fighting under the flag of King Erekle; the circumstances of the Battle. The poem enriches our knowledge of Khevsurian oral tradition.

It is true that this folk work depicts the participation of the Khevsurians in the Battle of Gori, but it is possible that elements of other battles were also included in it, which is evidenced by the tragic end of the poem. Actually, it is known that the battles of Gori and Surami ended with the victory of King Erekle. On the one hand, the poem can be created with the genre characteristics of the traditional Khevsurian heroic "song", according to which heroic songs always end with the death of the hero. On the other hand, as an oral text, it may have been influenced by the dramatic events of the Krtsanisi War, and the mournful finale of the poem was formed later.

## ისტორიის გაყალბება როგორც პროპაგანდის ინსტრუმენტი History Falsification as a Propaganda Tool

#### ელენე მეძმარიაშვილი Elene Medzmariashvili

ივანე ჯავახიშვიღის სახეღობის თბიღისის სახეღმწიფო უნივეhსიტეტი Ivane Javakhishvili Tbilisi State University ჰუმანიტახუღ მეცნიეხებათა ფაკუღტეტი Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: საქართველოს ისტორია, მსოფლიო ისტორია, ისტორიის სწავლება, პროპაგანდა

Keywords: history of Georgia, world history, history teaching, propaganda.

მოხსენებაში განხილულია პროპაგანდის ინსტრუმენტები, რომელთა შორის ისტორიის გაყალბება ერთ-ერთი ქმედითი და ყველა დროს აქტუალური საკითხია. მიუხედავად იმისა, რომ ისტორიის თანამედროვე ქართულ სახელმძღვანელოებში ისტორიის გაყალბების, ისტორიული სიმართლის დამახინჯების, განსაკუთრებით რადიკალური ან, მით უმეტეს, ექსტრემისტული შეფასების მაგალითები არ გვხვდება, მაინც, კონკრეტული პროპაგანდისტული მიზნის მისაღწევად სახელმძღვანელოების ავტორები ზოგჯერ ამა თუ იმ პოლიტიკური მოვლენისადმი თავიანთი სუბიექტური დამოკიდებულების გამოვლენას ახერხებენ. ამას ისინი აღწევენ, როდესაც პოლიტიკური ორიენტაციიდან გამომდინარე აშუქებენ მათთვის მისაღებ მოვლენას, ან უგულებელყოფენ მას. ასევე ვერ ბედავენ სათუთი საკითხების სათანადოდ გაშუქებას, ხშირად მათზე თვალს ხუქავენ, ან მხოლოდ ცალმხრივად აშუქებენ და არსებულ სტერეოტი-პებს იმეორებენ.

მოხსენებაში პროპაგანდის ინსტრუმენტების ზოგადი თეორიული ჩარჩოს შესწავლის საფუძველზე ხაზგასმულია პროპაგანდის ის მეთოდები, რომლებსაც ისტორიის სწავლებაში იყენებენ. აღნიშნული ჩარჩო ყველა ეპოქას, კონკრეტული მოვლენისა ან პიროვნების შეფასებას მიესადაგება და, ფაქტობრივად, ისტორიის გაყალბებას ეფუძნება.

პროპაგანდის ყოველ მიმართულებას: პოლიტიკურს, ეკონომიკურს, სოციალურს, კულტურულს, იდეოლოგიურს თავისი საკუთარი მეთოდები აქვს, მათ შორის, სხვადასხვა ტიპის ვიზუალური მასალა. არანაკლებ მნიშვნელოვანია წერილობითი მასალა, მისი შინაარსი, ისტორიის სახელმძღვანელოებში კითხვებისა და დავალებების ფორმულირება. ზოგჯერ შეიძლება ყოველი სიტყვა - შეფასება, საკვანძო კითხვა და სხვა კითხვებიც ისე დაისვას, რომ პროპაგანდის მიზანს ემსახუროს.

კვლევა ეფუძნება ალფრედ და ელიზაბეტ ლის (The Fine Art of Propaganda, 1939) პროპაგანდის მეთოდების კლასიფიკაციას. ავტორების მიერ შესწავლილი პროპაგანდის შვიდი მეთოდიდან მოხსენებაში ყურადღება გამახვილებულია იმ მეთოდებზე, რომლებიც როგორც მსოფლიო, ისე საქართველოს ისტორიაში გვხვდება.

მათგან ყველაზე გავრცელებული მეთოდია, როგორც წესი, დაუმსახურებლად **სახელის შერქმევა (**name-calling propaganda), რაც ნიშნავს იმას, რომ ადამიანს ან იდეას ცუდი იარლიყი მივაწებოთ,

ადვილად დასამახსოვრებელი დამამცირებელი სახელის გამოყენებით. ეს მეთოდი გვხვდება მაშინ, როდესაც ავტორს სურს, უარყოს და დაგმოს ადამიანი ან იდეა ისე, რომ არ გამოიკვლიოს, რას ნიშნავს სინამდვილეში ეს იარლიყი. მაგალითად, იმპერიალისტები, როგორადაც ცივი ომის დროს ზოგადად დასავლეთს, უპირველესად, შეერთებულ შტატებს და მის მოკავშირეებს საბჭოთა კავშირში ამკობდნენ; ასევე, ტერორისტები, ექსტრემისტები, ნაცისტები, მონები და ა.შ. მაგალითად, ტერორისტი ან მეამბოხე, ატარებს უარყოფით კონოტაციას. მას აქტიურად იყენებს დასავლეთიც და რუსეთის მთავრობაც ნებისმიერი ინდივიდის ან ჯგუფის აღწერისას, რომელსაც ისინი უპირისპირდებიან. პირიქით, როდესაც ხელისუფლებას სურს შეაქოს ან მხარი დაუჭიროს ჯგუფს, იყენებს სიტყვებს, როგორებიცაა თავისუფლებისთვის მებრძოლი ან მეამბოხე.

აქედან გამომდინარე, ისტორიის სახელმძღვანელოების ავტორებმა მსგავსი იარლიყების მიწებებისგან თავი უნდა შეიკავონ და მაქსიმალურად ნეიტრალურები იყვნენ. ისტორიის ქართულ სახელმძღვანელოებში მათი მონახვა რთული არ არის (შეიძლება ისინი ექსპერტებსაც გაეპაროთ, თუკი პროპაგანდის მეთოდები კარგად არ იციან ან მათი დანახვა არ სურთ). მხოლოდ კრიტიკული და ობიექტური დამოკიდებულების (აზროვნების) სწავლებით ინფორმაციის მიმართ, რომელსაც მოსწავლეები ან სტუდენტები იღებენ, და მათი გამავრცელებლების მოტივების გაგებით შესაძლებელია ცრუ ინფორმაციის (პროპაგანდის) და, შესაბამისად, პროპაგანდის ამოცნობა. სასურველია ასევე იმ იარლიყების სიის შედგენა, რომლებსაც ისტორიკოსები წარსულსა თუ დღეს პროპაგანდისთვის იყენებენ.

მოხსენებაში განხილულია ასევე ისტორიაში, განსაკუთრებით, პოლიტიკურ კამპანიებში გამოყენებული პროპაგანდის ისეთი ინ-სტრუმენტი, როგორიც ფრთიანი ზოგადი სიტყვებია (glittering generalities). ამ მეთოდის კარგი მაგალითია ამერიკელი პრეზიდენტების საარჩევნო კამპანიების, მათი პროგრამების სლოგანები. მაგალითად, ბაიდენის - Build Back Better; ტრამპის - Make America Great Again/MAGA; ობამას - Change We Can Believe In; მისივე Yes We Can; ჰილარი კლინტონის - Forward Together და ა.შ. ობიექტური ისტორიის ცოდნა მათი გაანალიზებისა და დასკვნების გამოტანის კარგ შესაძლებლობას იძლევა.

თუ შერქმეულ სახელებს იყენებენ მაშინ, როდესაც კარგი იდეის ცუდად წარმოჩენა სურთ, ასევე სჭირდებათ ფრთიანი ზოგადი სიტყვები ცუდი იდეის კარგად გამოჩენისთვის. ნებისმიერი კარგი, დადებითი სიტყვა სხვადასხვა ადამიანისთვის განსხვავებულ შინაარსს ატარებს. მაგ., სიტყვას **დემოკრატია** საკუთარი გამოცდილებისა და ცოდნის მიხედვით აღვიქვამთ და გვჯერა, რომ სხვასაც ჩვენსავით ესმის. მაგრამ ავღანელისთვის, ჩრდილოეთ კორეელისთვის სიტყვები "აშშ-ს მსოფლიოში დემოკრატიის გავრცელება სურს" დადებითი შენაარსის არ არის.

შერქმეული სახელების მეთოდი გვიბიძგებს იდეებისა და ადამიანების ან მტკიცებულებების უარყოფისკენ, ფრთიანი სიტყვები კი იმედს იტოვებს, რომ მოვიწონებთ იდეებს და ადამიანებს მტკიცებულებების გარეშე. პროპაგანდისტებს სურთ, რომ დეტალებზე ყურადღება არ გავამახვილოთ. მათ იმედი აქვთ, რომ ეს კარგი სიტყვები ჩვენში პოზიტიურ ემოციას გამოიწვევს.

მოხსენებაში კონკრეტული მაგალითების შესწავლის საფუძველზე ხაზგასმულია პროპაგანდის ინსტრუმენტების მრავალფეროვნება და მათი ამოცნობისთვის ისტორიის სწავლების ისეთი თანამედროვე მეთოდების გამოყენების აუცილებლობა, როგორებიცაა კრიტიკული და ანალიტიკური აზროვნების განვითარება, მულტიპერსპექტიულობა, რაც ყალბი ისტორიის ამოცნობის შესაძლებლობასაც იძლევა.

The report discusses the tools of propaganda, among which the falsification of history is one of the most effective and relevant topics of all times. Although modern Georgian history textbooks do not contain examples of falsification of history, especially radical or extremist assessments, still, to achieve a specific propaganda goal, textbook authors sometimes manage to reveal their subjective attitude to political events. They achieve this when, depending on their political orientation, they cover an event acceptable to them, or ignore it. They also do not dare to adequately cover sensitive issues. They often turn a blind eye to them or only cover them one-sidedly and repeat the existing stereotypes.

Based on the study of the general theoretical framework of propaganda tools, the report highlights the tools of propaganda that are used in history teaching. The mentioned framework is suitable for all historical

periods, and evaluations of a specific event or person and is mainly based on the falsification of history.

Each direction of propaganda: political, economic, social, cultural, and ideological has its methods, including different types of visual material. No less important is the written material, its content, and the formulation of questions and tasks in textbooks. Sometimes every word - assessment, key question, and other questions can be asked in such a way as to serve the purpose of propaganda.

The report is based on the classification of propaganda methods developed by Alfred and Elizabeth Lee ("The Fine Art of Propaganda" 1939). Out of the seven methods of propaganda studied by the authors, the paper focuses on those methods that are used both in world history and in the history of Georgia.

Among them, perhaps the most popular method is name-calling propaganda, which means giving a person or idea a bad label (usually undeservedly) by using an easy-to-remember pejorative name. This method occurs when the author wants to dismiss and condemn a person or idea without examining what the label means. For example, during the Cold War in the Soviet Union the West in general, and primarily the United States and its allies were called imperialists; also, terrorists, extremists, Nazis, slaves, etc. For example, the terrorist has a negative connotation. It is used by both the West and the Russian government when describing any individual or group they oppose. Conversely, when the government wants to praise or support a group, it uses titles such as freedom fighters or rebels.

Therefore, the authors of history textbooks should refrain from such labels and be as neutral as possible. It will not be difficult to find them in Georgian history textbooks (they may even escape experts if they are not aware of propaganda methods well or do not want to see them). Only by teaching a critical and objective attitude (thinking) to the information that students receive and to the motives of their distributors, it is possible to recognize false information and, accordingly, propaganda. It is also desirable to compile a list of labels that historians use for propaganda in the past or today.

The paper also discusses such a tool of propaganda used in history, especially in political campaigns, as glittering generalities. A good example of this method is the slogans of American presidents' election

campaigns and their programs. For example, Biden's - Build Back Better; Trump's - Make America Great Again/MAGA; Obama's - Change We Can Believe In; his own Yes We Can; Hillary Clinton's - Forward Together, etc. Studying history provides a good opportunity to analyze them and draw conclusions.

If historians use the name-calling propaganda when they want to make a good idea look bad, they need glittering generalities to make a bad idea look good. Any good, positive word has a distinct meaning for different people. For example, we perceive the word democracy according to our own experience and knowledge, and we believe that others understand it as we do. But the words "the US wants to spread democracy in the world" do not have a positive meaning for Afghans and North Koreans.

The name-calling method encourages us to reject ideas and people or evidence, while glittering generalities expect us to like ideas and people without evidence. The propagandists want us to ignore the details. They hope that these good words will cause a positive emotion.

Based on the study of specific examples, the report emphasizes the diversity of propaganda tools and the need to use modern methods of history teaching to identify them, such as the development of critical and analytical thinking, and multi-perspectivity, which also provides the opportunity to identify false history.

კულტურათა დიალოგი პოლიტიკურ ასპექტში
(მცხეთაში აღმოჩენილი მინიატურული
სკულპტურა-საკიდები)
A Dialogue of Cultures in the Political Aspect
(Miniature sculpture-pendants found in Mtskheta)

## მარიკა მშვილდაძე Marika Mshvildadze

ივანე ჯავახიშვიღის სახეღობის თბიღისის სახეღმწიფო უნივეჩსიგტი Ivane Javakhishvili Tbilisi State University ჰუმანიტაჩუღ მეცნიეჩებათა ფაკუღტეტი Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: ისტორია, პოლიტიკა, კულტურათა დიალოგი, გლიპტიკა

Keywords: religion, history, politics, dialogue of cultures, engraved gems.

გვიანანტიკურ ხანაში ქართლი (იბერია) ძლიერ სახელმწიფოს წარმოადგენდა, რომელიც ანგარიშგასაწევი ძალა იყო მეზობელი ქვეყნებისა თუ იმპერიებისათვის. ქართლში აყვავებული ჩანს არა მარტო სოფლის მეურნეობა, არამედ საქალაქო ცხოვრება. ქართლი საერთაშორისო ვაჭრობის ობიექტი ხდება, სადაც გადის მეზობელი ქვეყნებიდან მომავალი მნიშვნელოვანი სავაჭრო გზები. ახ. წ. I-IV საუკუნეებში იბერია ზემოაღნიშნული გეოპოლიტიკური მიზეზების გამო დიდი იმპერიების ინტერესის სფეროს წარმოადგენდა, სადაც გაბატონებისათვის ერთმანეთს უპირისპირდებოდნენ, ერთი მხრივ, პართია (მოგვიანებით სასანიანთა ირანი), მეორე მხრივ კი -რომის იმპერია.

ნაშრომში შესწავლილია ანტიკური ქართლის ტერიტორიაზე აღმოჩენილი მინიატურული სკულპტურა-საკიდები და გაანალიზე-ბულია კულტურათა დიალოგის კონტექსტში. მათი რაოდენობა სულ ოთხი ეგზემპლარია: 1. 1986 წელს მცხეთაში, ბაიათხევის მარჯვენა სანაპიროზე, გვიანანტიკური ხანის #35 კრამიტსამარხში (ახ.წ. III ს.) აღმოჩენილი ვარდისფერი სარდიონისაგან დამზადებული მამაკაცის პორტრეტულგამოსახულებიანი მინიატურული სკულპტურა-საკიდი; 2. 2001 წელს სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძრის ჩრდილო-აღმოსავლეთ კედელთან გვიანანტიკური ხანის #14 სამარხში (ახ.წ. III ს.) აღმოჩენილი სკულპტურა-საკიდი, ოქროსი. ოვალურ ჩარჩოში ჩასმულია ქალცედონისაგან დამზადებული ქალის პორტრეტული ბიუსტი; 3-4. იმავე #14 სამარხში (ახ.წ. III ს.) აღმოჩენილი სკულპტურა-საკიდი, ოქროსი (ორი ცალი). ყუნწიან ბუდეში ჩასმულია სარდი-ონისაგან დამზადებული ბავშვის პორტრეტული ბიუსტი.

ჩვენ მიერ შესწავლილი მინიატურული სკულპტურა-საკიდები ხელოვნების ნიმუშებად შეიძლება ჩაითვალოს. შესაბამისად, შეგ-ვიძლია დავასკვნათ, რომ ქართლში რომის იმპერიიდან მაღალი ხელოვნების ნიუშები შემოდიოდა. ნიშანდობლივია, რომ ორივე სამარხში, რომლებშიც სკულპტურა-საკიდებია აღმოჩენილი, ქალები იყვნენ დაკრძალული. #14 სამარხში დაკრძალული ქალბატონი კი, სამარხში აღმოჩენილი ნივთებიდან გამომდინარე, სამეფო ოჯახის წარმომადგენელი იყო.

კვლევის შედეგად დგინდება, რომ რომის იმპერიასა და ქართლის სამეფოს შორის არსებული კულტურული კონტაქტების ერთერთი ფორმა - ხელოვნების ნიმუშების შეტანა მეზობელ - მეგობარ ქვეყნაში პოლიტიკური აქტივობის ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენ-

და და იმპერატორის კულტთან, იმპერიის პოპულარიზაციასთან იყო დაკავშირებული.

In the Late Antiquity, Kartli (Iberia) represented a powerful state, which was a force to be reckoned with for neighboring countries and empires. In Kartli, both agriculture and city life seem prosperous. Kartli becomes a place of international trade through which important trade routes from neighboring countries pass. Due to the above-mentioned geopolitical reasons, in the 1st-4th centuries AD Iberia was the area of interest of the great empires, where Parthia (later Iran of the Sassanids) and the Roman Empire competed for dominance.

The paper examines the miniature sculpture-hangers found on the territory of Ancient Kartli and analyzes them within the context of the dialogue of cultures. There are four copies in total: 1. A miniature sculpture-pendant with a portrait of a man made of pink sardonyx found in 1986 in Mtskheta, on the right bank of the Bayatkhevi in tile tomb #35 of the Late Antiquity period (3rd century AD); 2. In 2001, a gold sculpture-pendant found in tomb #14 of the Late Antiquity period (3rd century AD) near the north-eastern wall of Svetitskhovli Cathedral. A portrait bust of a woman made of chalcedony is enclosed in an oval frame; 3-4. A gold sculpture-pendant found in the same tomb #14 (3rd century AD) (two pieces). A portrait bust of a child made of sardonyx is inserted in the stemmed socket.

The miniature sculpture-hangers we have studied can be considered works of art. Therefore, we can conclude that the novelties of high art came to Kartli from the Roman Empire. It is significant that women were buried in both tombs, in which sculpture-hangers were found. The lady buried in tomb #14, based on the things found in the tomb, was a lady of the royal family. As a result of the research, it is established that one of the forms of cultural contacts between the Roman Empire and the Kingdom of Kartli - the introduction of works of art to the neighboring - friendly country was one of the forms of political activity and was related to the promotion of the cult of the emperor and the empire.

საბჭოთა თარგმანმცოდნეობის ლოკალური/ნაციონალური ინვარიანტები: გივი გაჩეჩილაძე და ვიქტორ კოპტილოვი Local/National Invariants of Soviet Translatology: Givi Gachechiladze and Viktor Koptilov

### ივანე მჭედელაძე Ivane Mtchedeladze

ივანე ჯავახიშვიღის სახეღობის თბიღისის სახეღმწიფო უნივეhსიტეტი Ivane Javakhishvili Tbilisi State University ჰუმანიტახუღ მეცნიეხებათა ფაკუღტეტი Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: თარგმანმცოდნეობა, ლიტერატურული ურთიერთობები, საბჭოთა მეცნიერება.

**Keywords:** translatology, literary relations, Soviet science.

საბჭოთა თარგმანი და მის შესახებ მეცნიერება ჩამოყალიბდა ამ ეპოქის განსაკუთრებულად ინტენსიური ლიტერატურული ურთი-ერთობებისა და "*cიგეხაგუხის გასახედმწიფოებხიობის* "(მ. გოლუბკოვი) შედეგად. ამ პროცესს თანამედროვე კვლევებში "იმპერიულ ლიტერატურულ ტრადიციასაც" (ე. ჩხაიძე) უწოდებენ. იმპერიულ ტრადიციას ირეკლავს პერიფერიების ლიტერატურულ-კულტურულ პროცესებში გაბნეული მოვლენები, პერსონები. ამის მაგალითია ქართულ-უკრაინული ურთიერთობების მრავალფეროვანი და მდიდარი ისტორიის ნაკლებად ცნობილი ან, სულაც, მიჩქმალული ფაქტები. ერთ-ერთი ასეთია მოხსენებაში განსახილველი მასალაც.

კიევის უნივერსიტეტის პროფესორს, ვიქტორ კოპტილოვს, განსაკუთრებული ადგილი უკავია როგორც უკრაინული, ისე საბჭოთა თარგმანმცოდნეობის განვითარების ისტორიაში. უკრაინული თარგმანმცოდნეობის ისტორია იწყება მეოცე საუკუნის ოციანი წლებიდან და მის სათავეებთან განიხილებიან ხარკოვის უნივერსიტეტის პროფესორები – ვოლოდიმირ დერჟავინი და ოლ. ფინკელი. თუმცა, ვიქტორ კოპტილოვია პირველი უკრაინელი მეცნიერი, რომელმაც თარგმანმცოდნეობაში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. მას დიდი წვლილი მიუძღვის უკაინაში ქართულ-უკრაინული ურთიერთობების შესახებ სამეცნიერო კვლევის პროცესის განვითარებაში. მეოცე საუკუნის 70-იან წლებში კიევის უნივერსიტეტში, მისი და პროფესორ ოთარ ბაქანიძის სამეცნიერო ხელმძღვანელობით, დაცულია დისერტაცია "*ქართულ პროზა უკრაინულთარგმანებში"* (ლ. გრიციკი, 1973). დღეს ეს ფაქტები, რომლებიც სოვიეტოლოგიური და პოსტკოლონიური კომპარატივისტული კვლევებისათვის ღირებულ მასალას წარმოადგენს, სამწუხაროდ, დავიწყებასაა მიცემული.

მეტად მნიშვნელოვანია გივი გაჩეჩილაძის როლი როგორც ქართული თარგმანცოდნეობის, ისე ზოგადად შედარებითი ლიტე-რატურათმცოდნეობის საბჭოთა ინვარიანტის განვითარებაშიც. მისმა თეორიულმა კონცეფციებმა 1960-70-იანი წლების ქართული და სსრკ რესპუბლიკების სამეცნიერო წრეებში ფართო აღიარება პოვა. ეს აისახა საყოველთაოდ ცნობილ მონოგრაფიაში "Художес-твенный перевод и литературные взаимосвязи", სწორედ ამ ნაშ-რომის ერთ-ერთი მონაკვეთი ექცევა ჩემი კვლევის არეალში. თა-ვის მონოგრაფიაში გივი გაჩეჩილაძე აქვეყნებს ვიქტორ კოპტილოვის სადისერტაციო ნაშრომის შესახებ დაწერილ საკმაოდ კრი-

ტიკულ გამოხმაურებას. ქართველი მეცნიერი ფუნდამენტურად აკრიტიკებს კოპტილოვის შეხედულებებს თარგმანის შესახებ. ბოლო პერიოდში გამოქვეყნებული ცნობილი მეცნიერების მოგონებები მათზე, მათ შესახებ გამოქვეყნებული უახლესი ნაშრომები და ა.შ. იძლევა დასკვნის გამოტანის საშუალებას, რომ ვიქტორ კოპტილოვისა და გივი გაჩეჩილაძის შესახებ მეცნიერთა ყურადღება კვლავ გააქტიურდა როგორც საქართველოში, ისე უკრაინაში. თუმცა მათი პროფესიული ურთიერთობები საგანგებო კვლევის საგანი არასდროს გამხდარა. მოხსენებისათვის მოძიებული და შესწავლილია ასევე ეს მასალებიც.

ფართო კუტუროლოგიურ დ კომპარატივისტულ ჭრილში გაანალიზდება ქართული და უკრაინული მეცნიერების განვითარების ისტორია მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში, თარგმანისა და თარგმანმცოდნეობის როლი ამ პროცესებში; თარგმანისა და ლიტერატურულ ურთიერთობათა საბჭოთა პოლიტიკა და მის შესახებ თანამედროვე მკვლევართა მოსაზრებები; გივი გაჩეჩილაძისა და ვიქტორ კოპტილოვის ე.წ. პოლემიკა და ქართულ-უკრაინული ურთიერთობების მივიწყებული ისტორიები.

საკითხის თანამედროვე კონტექსტში განსახლიველად გამოყენებულია სოვიეტოლოგიურ კვლევებში უკვე კარგად აპრობირებული პოსტმოდერნიზმის კონცეპტები – სიმულაკრა (ე.წ. საბჭოთა სიმულაკრა), ნაციონალური და ტოტალიტარული მოდელების მიმართება, ორმაგი სოციოკოდები და სხვა.

Soviet translation and translatology were formed as a result of the unprecedented expansion of literary relations. In modern literary criticism this process is also called "imperial literary tradition" (E. Chkhaidze). The "imperial tradition" is reflected in the events and persons scattered in the literary-cultural processes of the peripheries. An excellent example of this is the little-known, or at least hidden, facts of the diverse and rich history of Georgian-Ukrainian relations. The material discussed in the report is one of such.

Viktor Koptilov, professor of Kyiv University, occupies a very special place in the history of the development of both Ukrainian and Soviet translatology. The history of Ukrainian translation studies begins in the twenties of the 20th century, and the professors of Kharkiv University - Volodymyr Derzhavin and Ol. Finkel - are considered to be its founders.

However, Victor Koptilov is the first Ukrainian scientist who defended his doctoral dissertation in translation studies. Viktor Koptilov has made a great contribution to the development of the scientific research process on Georgian-Ukrainian relations. Already in the 70s, the dissertation "Georgian Prose in Ukrainian Translations" (L. Hrytsyk, 1973) was defended at the University of Kyiv under the scientific guidance of him and Professor Otar Bakanidze. Today, these facts, unfortunately, have been forgotten and represent valuable material for Sovietological and post-colonial comparative studies.

The role and importance of Givi Gachechiladze in the development of Georgian and Soviet invariants of both translation studies and, in general, comparative literature studies is also admitted. His theoretical concepts found wide recognition in the scientific circles of the Georgian and USSR republics of the 1960s-70s. All this was reflected in the well-known monograph «Художественный перевод и питературные взаимосвязи», one of the sections of this work falls into the area of my research. In his monograph, Givi Gachechiladze publishes a rather critical response to Viktor Koptilov's dissertation. The Georgian scientist fundamentally criticizes Koptilov's views. In the recent period, the attention of scientists to Victor Koptilov and Givi Gachechiladze has been active again, these materials have also been searched and studied for the report (memories of famous scientists about them, the latest published works about them, etc.).

The history of the development of Georgian and Ukrainian science in the second half of the twentieth century, the role of translation and translatology in these processes will be analyzed in a broad cultural and comparative perspective. Soviet policy of translation and literary relations and the opinions of modern researchers about it; the polemics of Givi Gachechiladze and Viktor Koptilov and the forgotten stories of Georgian-Ukrainian relations. To discuss the issue in the modern context, the concepts of postmodernism, already well-proven in Soviet studies, are used - simulacra (the so-called Soviet simulacra), the relationship between national and totalitarian models, double sociocodes, and others.

## ჰაგიოგრაფიული ლიტერატურა არაბულ ენაზე Hagiographical Literature in Arabic

### მარიამ ნანობაშვილი Mariam Nanobashvili

ივანე ჯავახიშვიღის სახეღობის თბიღისის სახეღმწიფო უნივეჩსიტეტი Ivane Javakhishvili Tbilisi State University ჰუმანიტაჩუდ მეცნიეჩებათა ფაკღკუდტეტი Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: ჰაგიოგრაფია, ქრისტიანული არაბული ლიტერატურა

Keywords: Hagiography, Christian Arabic literature.

ქრისტიანულ არაბულ ლიტერატურაში, ისევე, როგორც სხვა ხალხთა სასულიერო მწერლობაში, უპირველეს ყოვლისა, შეიქმნა ბიბლიური ტექსტებისა და ჰაგიოგრაფიული ნაწარმოებების თარ-გმანები. ეს ბუნებრივია, ვინაიდან აღნიშნული მასალა ღვთისმსა-ხურებისათვის იყო საჭირო.

არაბულ ტრადიციაში ვხვდებით პრაქტიკულად ჰაგიოგრაფიულ კრებულთა ყველა იმ ტიპს, რომლებიც აღმოსავლეთში იყო გავ-რცელებული. ამ შემთხვევაში ჩვენ განსაკუთრებით გვაინტერესებს მელქიტური თვენი (მენოლოგიონი) და სვინაქსარები, გამოსული ბერძნული მართლმადიდებლური წრიდან. პირველი მათგანი სრულად შეიცავს წმინდანთა წამებებსა თუ ცხოვრებებს. ამგვარი კრებულის კლასიკური ნიმუშია სვიმეონ მეტაფრასის მიერ შექმნილი შრომა. მასში მოცემულია გადამუშავებული, გამშვენებული რედაქციის ტექსტები, რომელთა უდიდესი ნაწილი თარგმნილია არაბულ ენაზე. რაც შეეხება სვინაქსარებს, აქ უკვე შედარებით მოკლე ინფორმაციაა ყოველ წმინდანთან დაკავშირებით. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ კონსტანტინოპოლის სვინაქსარი. მასში შესული ტექსტების დიდი ნაწილიც თარგმნილია არაბულ ენაზე.

ყურადღება უნდა მივაქციოთ ტიპიკონებსაც, სადაც მოცემულია ცნობები იმ წმინდანების შესახებ, ვისი მოხსენიების დღეცაა. მართლმადიდებლურ ტრადიციაში რამდენიმე ასეთი კრებულია მიმოქცევაში, ერთი მხრივ, დიდი ეკლესიისა, მეორე მხრივ კი, სამონასტრო საჭიროებისა — სტუდიელებისა და საბაწმინდელთა. მთელი ეს მასალაც თითქმის ზედმიწევნით გვაქვს არაბულ ენაზე. აღნიშნულ ლიტურგიულ წიგნებში ასახული ცნობები ეფუძნება ჰაგიოგრაფიულ ლიტერატურულ დოკუმენტებს.

ადრეულ პერიოდში ჰაგიოგრაფიული მწერლობის მთავარი ცენტრები იყო პალესტინა, ეგვიპტე და სირია. აღიწერებოდა ქრისტიანობისათვის წამებულთა ღვაწლი, აგრეთვე იმ ბერთა ცხოვრება და მოღვაწეობა, რომლებიც უდაბნოში იყვნენ დამკვიდრებულნი. არაბულენოვანმა ქრისტიანებმა დიდი ინტერესი გამოიჩინეს იმ პერიოდში შექმნილი კრებულების მიმართ, ასევე გაეცნენ პალადის, თეოდორიტე კვირელისა და კირილე სკვითოპოლელის ნა-წარმოებებს, რომლებშიც პალესტინელ ბერთა მოღვაწეობაზე ვრცელი ინფორმაციაა.

VII-IX საუკუნეებში, ქრისტიანობის პირველ საუკუნეებთან შედარებით, ნაკლები რაოდენობით დაიწერა ჰაგიოგრაფიული თხზულებები, თუმცა ამ შედარებითი სიმცირის ფონზე მაინც ჩნდება გარკვეული სიახლეები. აქედან ყველაზე მნიშვნელოვანია ნეომარტირთა, ანუ ახალმოწამეთა კულტის განვითარება. ესენი იყვნენ ადამიანები, რომელნიც უკვე მუსლიმთა ხელით აღესრულნენ. ბუნებრივია, ეს თხზულებები არაბულენოვან ქრისტიანთა განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობდა. მკითხველთა ამ წრისათვის, რომელიც ისლამური იმპერიის ფარგლებში მოექცა და ყოველდღიურად უწევდა საკუთარი სარწმუნოების დაცვა, ქრისტიანობისათვის მუსლიმთაგან წამებული მოღვაწენი იდეალურ მაგალითს წარმოადგენდნენ.

მეორე მხრივ, ნეომარტირები არიან ისინიც, ვინც ხატმებრძოლთა მიერ მოწყობილ დევნას შეეწირნენ. ამ წმინდანთა შორის ბევრი ბერძენი იყო. ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც იკონოფილი ბერძნები ბიზანტიიდან ილტვოდნენ და აღმოსავლეთს აფარებდნენ თავს. იმხანად ნეომარტირებთან დაკავშირებით შექმნილიტერატურაც სწორედ აღმოსავლეთის საქრისტიანოში ვრცელდებოდა დაუბრკოლებლად, მეტიც, როგორც ჩანს, ზოგიერთი თხზულება არც კი არსებობდა ბერძნულ ენაზე. მაგალითისათვის შეგვიძლია დავასახელოთ რომანოზ ახლის წამება. რომანოზი ბერძენი გახლდათ და სარკინოზთა ხელით აღესრულა, თუმცა თხზულებაში აშკარად ჩანს, როგორი მტრული დამოკიდებულება ჰქონდათ მის მიმართ ხატმებრძოლ ბერძნებს, რომლებიც მასთან ერთად იყვნენ დატყვევებულნი არაბთა მიერ ბაღდადის ციხეში. ნაწარმოები დღესდღეობით მხოლოდ ქართულ ენაზე შემოგვრჩა. ის აშკარად არაბულიდანაა ნათარგმნი, თუმცა არაბული ორიგინალი დაკარგულია. რაც შეეხება ბერძნულ ტრადიციას, რომანოზ ახალი თვით კალენდრებშიც კი არ მოიხსენიება. აქედან ცხადია, რომ ზოგიერთ შემთხვევაში მხოლოდ არაბულ ენაზე აღიწერებოდა ამა თუ იმ წმინდანის წამება. ასევე განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ქართული თარგმანები, რომლებიც ფაქტობრივად ორიგინალის ფუნქციას ატარებს. ნიშანდობლივია, რომ VIII-X საუკუნეებში ქართველები ხშირად თარგმნიდნენ ჰაგიოგრაფიულ თხზულებებს არაბული ენიდან, თვით მაშინაც კი, როდესაც ცნობილი იყო პარალელური ბერძნული ტექსტები, ანუ ორიგინალები. აქედან ცხადია, რომ უკვე იმხანად, ქრისტიანული არაბული ლიტერატურის განვითარების უადრეს ეტაპზე, ამ მწერლობას მეტად პრესტიჟულად მიიჩნევდნენ. ქართველებმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს ჰაგიოგრაფიულ ტექსტებს არაბულ ენაზე.

ცნობილი გერმანელი მეცნიერი, გეორგ გრაფი, რომელსაც ეკუთვნის ფუნდამენტური მონოგრაფია ქრისტიანული არაბული მწერლობის შესახებ, ჰაგიოგრაფიულ ძეგლებთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ არაბულ ენაზე დაცულია თხრობანი ქრისტიანობის ყველა კონფესიის წმინდანთა შესახებ. ჯერ ერთი, არიან ე. წ. "მსოფლიო წმინდანები", რომლებსაც ყველა ეკლესია მოიხსენიებს, მეორეც, არაბულ ენაზე არსებობს ტექსტები ბერძენ თუ სირიელ მართლმადიდებლებზე, სირიელ თუ კოპტ მონოფიზიტებზე, ნესტორიანელებზე. არ არის გამორიცხული, ქართველი წმინდანების შესახებაც არსებულიყო მონაცემები არაბულ ენაზე, საქმე ისაა, რომ არაბულენოვან ქრისტიანებსა და ქართველებს შორის მჭიდრო ურთიერთობანი დამყარდა VIII-X საუკუნეებში სინა-პალესტინის არეალში. სწორედ იქ სრულდებოდა თარგმანები არაბულიდან, ასევე ნათლად იკვეთება არაბულენოვან ქრისტიანთა და ქართველთა შორის ტექნიკური თანამშრომლობა. მოგვიანებით, XVII საუკუნეში, ანტიოქიის პატრიაქრქი მაკარი ჯერ კიდევ მანამდე, სანამ საქართველოში იმოგზაურებდა, თავის კალენდრებში მოიხსენიებს და ცნობებს გვაწვდის ქართველ წმინდანთა შესახებ. ეს წმინდანები არიან: ნინო განმანათლებელი, ცამეტი ასურელი მამა, ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელები. შესაძლოა, ეს ქართველი მოღვაწენი მანამდეც მოიხსენიებოდნენ არაბულ კალენდრებში.

სხვადასხვა კონფესიათა ტრადიციების ასახვამ გამოიწვია ჰა-გიოგრაფიული ტექსტების თვალსაჩინო სიმრავლე არაბულ ენაზე (თარგმანები ბერძნულიდან, სირიულიდან, კოპტურიდან, ასევე, ორიგინალური ნაშრომები).

In Christian Arabic literature, as well as in the religious writings of other peoples, translations of biblical texts and hagiographical works were created first of all. This is natural, since the mentioned material was needed for worship.

In the Arabic tradition we find practically all the types of hagiographic collections that were common in the East. In this case, we are particularly interested in the Melkite Menologion and the Synaxaria, coming out of the Greek Orthodox circle. The first of them fully contains the mar-

tyrdoms or lives of the saints. A classic example of such a collection is the work created by Simeon the Metaphrast. It contains revised, embellished redaction texts, most of which have been translated into Arabic. As for the Synaxaria, there is relatively brief information about each saint. As an example, we can mention the Synaxarion of Constantinople. Most of the texts included in it have been translated into Arabic.

We should also pay attention to the Typicons, which contain information about the saints whose day it is. In the Orthodox tradition, there are several such collections in circulation, on the one hand, of the Great Church, and, on the other, of the monastic needs – Monastery of Stoudios and Monastery of Mar Sabas. We have all this material in the Arabic language almost completely. References reflected in the mentioned liturgical books are based on hagiographical literary documents.

In the early period, the main centers of hagiographic writings were Palestine, Egypt and Syria. The merits of those who were martyred for Christianity were described, as well as the life and activities of the monks who settled in the desert. Arabic-speaking Christians showed great interest in the collections created during that period, and also got acquainted with the works of Palladius, Theodet of Cyrus and Cyril of Scythopolis, where there is extensive information on the activities of Palestinian monks.

In the 7th-9th centuries, compared to the first centuries of Christianity, fewer hagiographic works were written, although some innovations still appear against the background of this relative scarcity. The most important of these is the development of the cult of neo-martyrs, that is, new martyrs. These were people who had been executed by the hands of Muslims. Naturally, these writings attracted special attention of Arabic-speaking Christians. For this circle of readers, who fell within the framework of the Islamic empire and had to defend their faith every day, the martyrs punished by the Muslims were an ideal example for Christianity.

On the other hand, neo-martyrs are also those who sacrificed themselves to the persecution organized by iconoclasts. Among these saints there were many Greeks. There were frequent cases when the iconophile Greeks turned away from Byzantium and took refuge in the East. At that time, the literature created about the neo-martyrs also spread unhindered in Eastern Christianity, moreover, it seems that some writings did not even exist in the Greek language. As an example, we can name the Martyrdom of Romanus the Neo-martyr. Romanus was Greek and was executed by the hands of Saracens, although the writing clearly shows how hostile the iconoclast Greeks, who were captured with him by the Arabs in the Baghdad prison, were towards him. Today, the work has survived only in the Georgian language. It is apparently translated from Arabic, although the original Arabic text is lost.

As far as the Greek tradition is concerned, Romanus New is not even mentioned in the calendars. From this it is clear that in some cases the martyrdoms of certain saints were described only in the Arabic language. Also, Georgian translations, which in fact carry the function of the original, gain special importance. It is significant that in the 8th-10th centuries Georgians often translated hagiographic works from the Arabic language, even when parallel Greek texts, i.e. originals, were known. It is clear from this that already at that time, at the earliest stage of the development of Christian Arabic literature, this writing was considered highly prestigious. Georgians paid special attention to hagiographic texts in Arabic.

The well-known German scholar, Georg Graf, who has a fundamental monograph on Christian Arabic literature, notes with regard to hagiographic monuments that the Arabic language preserves narratives about the saints of all denominations of Christianity. First, there are the so called "Saints of the world", which all churches refer to, secondly, there are texts in Arabic about Greek Orthodox, Syriac Melkites, Syriac or Coptic Monophysites, Nestorians. It is possible that there were data about Georgian saints in Arabic, the point is that close relations between Arabicspeaking Christians and Georgians were established in the Sinai-Palestine area in the 8th-10th centuries. It was there that translations from Arabic were completed, and the technical cooperation between Arabic-speaking Christians and Georgians is also clearly visible. Later, in the 17th century, Patriarch Makarius of Antioch, even before he traveled to Georgia, in his calendars mentions and provides information about Georgian saints. These saints are Nino the Illuminator, the Thirteen Assyrian Fathers, Euthymius and George of Mount Athos. Perhaps, these Georgian saints were mentioned in Arabic calendars even before that.

The reflection of the traditions of different denominations led to a remarkable abundance of hagiographic texts in Arabic (translations from Greek, Syriac, Coptic, as well as original works).

# კრისტოფორო კასტელი - ელენე ათაბაგის სულიერი მამა (ახალი წყაროები, ფაქტები, დასკვნა) Cristoforo Castelli - Spiritual Father of Elene Atabeg (new sources, facts, conclusions)

### მურმან პაპაშვილი Murman Papashvili

ივანე ჯავახიშვიდის სახედობის თბიდისის სახედმწიფო უნივეhსიტეტი Ivane Javakhishvili Tbilisi State University ჰუმანიტახუდ მეცნიეხებათა ფაკუდტეტი Faculty of Humanities

**საკვანძო სიტყვები:** ელენე ათაბაგი, კრისტოფორო კასტელი, ირანის შაჰი, მისიონი.

Keywords: Elene Atabeg, Cristoforo Castelli, Shah of Iran, Mission.

თეატინელი მისიონერის, დონ კრისტოფორი კასტელის, რელაციების საფუძველზე, რომლებიც დღემდე არ ყოფილა სამეცნიერო მიმოქცევაში, შესაძლებელი გახდა ამ თემასთან დაკავშირებული მრავალი ახალი ფაქტის შემოტანა და ადრე გამოტანილი დასკვნების გადასინჯვა. მათ პუნქტობრივად ჩამოვაყალიბებთ:

პირველი, სამცხის ათაბაგი მანუჩარ III (1591-1625) 1625 წელს სტამბოლში გაემგზავრა სულტნის წინაშე მორჩილების გამოსაცხა-დებლად. წასვლამდე მან თავისი მცირეწლოვანი ქალიშვილი ელენე, სულტნისაგან მოსალოდნელი პოლიტიკური საფრთხის თავიდან აცილების მიზნით, თავის ბიძასთან, გურიის მთავართან, მალაქია II-სთან გაგზავნა. ამიტომ არასწორია ვარაუდი, რომ პოლიტიკური მოსაზრებით, მანუჩარი ცდილობდა ელენე შაჰ აბას I-ს თავისი შვილიშვილის საცოლედ მოესურვებინა.

მეორე, კრისტოფორო კასტელი ელენე ათაბაგს კათალიკოს მალაქია II-ის სურვილით პირველად შეხვდა გურიაში 1634 წელს და არა 1633 წელს. კასტელის გურიის სამთავროში (1634-1640) მოღვაწეობის განმავლობაში ელენე ათაბაგი იყო მისი სულიერი შვილი და ეს უკანასკნელი აზიარა კათოლიკურ სარწმუნოებას. სილამაზით განთქმული ელენე ათაბაგი გურიაში ყოფნისას დიდი პოლიტიკის საგნად იქცა. სულტანი მოითხოვდა მის სტამბულში გაგზავნას, ხოლო ირანის შაჰი სეფი I (არა შაჰ აბას I) - ირანში, რათა მასზე დაქორწინებულიყო. გურიისა და სამეგრელოს მთავრებმა ამჯობინეს, ელენე ათაბაგი ირანის დედოფლად ექციათ. ამის სისრულეში მოყვანა ლევან II დადიანს დაეკისრა, ცხადია, იმ პერიოდში მისი დიდი ავტორიტეტის, გავლენისა და მიზნის გამო. ამიტომ ელენე გურიიდან ოდიშში 1639 წლის შემდეგ გააგზავნეს.

მესამე, ელენემ კარგად იცოდა სულტნისა და შაჰის განზრახვა. მისი მესაიდუმლე კასტელი მას ნიადაგ არწმუნებდა: სჯობია, ქრისტიანად მოკვდეს, ვიდრე მუსლიმთა გვირგვინი მიიღოს. კასტელისაგან შთაგონებული კათოლიკე ელენე უმალ სიკვდილს არჩევდა, ვიდრე სარწმუნოების შეცვლას. ამ რწმენით აღსავსე ელენემ ოდიშში მოითხოვა, რომ მამა კასტელი მასთან ჩაეყვანათ. ამან ბევრად განაპირობა კასტელის სამოღვაწეოდ გადასვლა გურიიდან სამეგრელოში (1640 წ.).

მეოთხე, მამა კასტელი ოდიშის სამთავროში ორი წლის (1640-42) განმავლობაში ყველანაირად შეეცადა, ელენეს რწმენა მეტად განემტკიცებინა, რათა ლევან II დადიანის წინადადება არ მიეღო.

ამის გამო მას მთავარმა ელენესთან კავშირი აუკრძალა. მოტყუებით ირანში გაგზავნილმა ელენემ გორიდან სთხოვა მამა კასტელის, რომ გაჰყოლოდა ისპაანში, ცხდია, როგორც პირადი მოძღვარი. ირანში ჩასული ელენე (1642 წ.) გულისტკივილით სწერდა მამა კასტელის ოდიშში, რომ წინ ვერ აღუდგა გამუსლიმებას. მის გვერდით რომ ყოფილიყო, ამას თავიდან აიცილებდა. ახლა თუ ჩავიდოდა მასთან, სიხარულით მიიღებდა, ხოლო შაჰი მისიონის დაარსების უფლებას მისცემდა. სავარაუდოდ, 1643 წლის ოქტომბრის მიწურულს, კასტელიმ წერილი მისწერა ელენეს და აღუთქვა, რომ ის ირანში უექველად ჩავიდოდა და, თუ ეს მისი სამეგრელოდან გამგზავრებისას ვერ შეძლო, ამის მიზეზი მისი ავადმყოფობა იყო. ცხადია, აქ ძირითადი სხვა რამ იყო, კერძოდ: რომის ნებართვის გარეშე, იგი სამეგრელოს მისიონს ვერ დატოვებდა და თვითნებურად ირანში ვერ წავიდოდა.

მეხუთე, კასტელი 1643-1646 წლებს შორის არაერთხელ შეეცადა, რომისაგან მიეღო ირანში მისიონის დაარსების ნებართვა. ამასთან ერთად, მოითხოვდა იმ ძვირფასი ვენეციური ნივთების გამოგზავნას, რომლებიც ელენემ ჯერ კიდევ სამეგრელოს სამთავროში ყოფნისას შეუკვეთა მამა კასტელის. 1646 წელს კასტელი რომს შესჩიოდა, რომ ამ ხუთი წლის განმავლობაში ბევრ რამეს მიაღწევდა ირანში. ის მზად იყო, უფლის სადიდებლად და ელენეს სამსახურში სიცოცხლე გაეწირა.

მეექვსე, სავარაუდოდ, 1647 წელს ირანის შაჰმა და ელენემ ახალი თხოვნით მიმართეს რომის პაპ ინოკენტი X-ს ( 1644-1655), რათა კასტელისათვის დაერთოთ ნება, ირანში მისიონი დაეარსებინა. ამავე წელს შაჰმა და ელენე დედოფალმა ლევან დადიანს მათი ელჩის, ავთანდილ მანველიშვილის, მეშვეობით სთხოვეს კასტელის ირანში გაეგზავნა. მთავარმა ელჩი დაარწმუნა, რომ ეს მისი უფლება არ იყო და ვერ აიძულებდა მამა კასტელის, რომ მის ნებას დამორჩილებოდა.

მეშვიდე, უმართებულოა ფიქრი, რომ მამა კასტელის სხვა გრძნობაც ჰქონდა ელენეს მიმართ. მართალია, ქართველი ქალების სილამაზით დატყვევებულ კასტელის ხშირად უხდებოდა თავის გრძნობებთან ბრძოლა, ის ზეადამიანი და ზეწმინდაც არ შეიძლებოდა ყოფილიყო, მაგრამ მას, როგორც მისიონერს, ალბათ, სურდა, წარუშლელი კვალი დაეტოვებინა მისიონერობის ისტორიაში და

უფალს მისი სიცოცხლე სულიერი ქალიშვილის გადასარჩენად თავისი შეხედულებით წარემართა.

Based on the reports of the Theatine missionary Don Cristoforo de Castelli, which have not yet entered scientific circulation, it was possible to introduce many new facts related to this topic and revise previously drawn conclusions. Let's formulate them point by point:

- 1. Atabeg of Samtskhe, Manuchar III (1591-1625) went to Istanbul in 1625 to declare his obedience to the Sultan. Before leaving, he sent his young daughter Elene to her uncle, the head of Guria, Malachia II, to avoid the expected political threat from the Sultan. Therefore, it is a mistake to assume that for political reasons Manuchar tried to offer Elene to Shah Abbas I as a wife for his grandson.
- 2. Cristoforo Castelli first met Elene in Guria not in 1633, but in 1634 at the request of Catholicos Malachia II. During his stay in the Gurian principality of Kastelli (1634-1640), Elene Atabeg was his spiritual daughter and the latter shared the Catholic faith. Elene, known for her beauty, became the object of great political bargaining during her stay in Guria. The Sultan demanded that she be sent to Istanbul, and Shah Safi I (not Shah Abbas I) to Iran to marry her. The principals of Guria and Odishi preferred to make Elene the queen of Iran. It fell to Levan II Dadiani to carry out this task, obviously due to his great authority, influence and goals at that time. Therefore, after 1639, Elene was sent from Guria to Odishi.
- 3. Elene knew perfectly well about the intentions of the Sultan and Shah. His confidant Castelli convinced her: it was better to die a Christian than to accept the Muslim crown. Catholic Elene, inspired by Castelli, chose immediate death rather than the change of her faith. Filled with this faith, Elene demanded in Odishi that Father Castelli be brought to her. This greatly contributed to the official transfer of Kastelli from Guria to Odishi (1640).
- 4. Arriving in Iran (1642), Elene wrote with heartache to Father Castelli in Odishi that she could not resist Islamization. If he had been near her, she would have avoided this. If he came to him then, she would receive him with joy, and the Shah would give him permission to found a mission. Probably, at the end of October 1643, Castelli wrote a letter to Elene and promised her that he would definitely come to Iran, and if he

could not do this when leaving Odishi, it was because of his illness. Obviously, there was a different reason, namely: without a permission from Rome, he could not leave the Odishi mission and could not go to Iran on his own.

- 5. Between 1643-1646, Castelli repeatedly tried to obtain permission from Rome to establish a mission in Iran. In 1646, Castelli complained to Rome that in these five years he had achieved a lot in Iran. He was ready to glorify the Lord and sacrifice his life in the service of Elene.
- 6, probably in 1647, the Shah of Iran and Elene made a new request to Pope Innocent X (1644-1655) to grant Castelli permission to establish a mission in Iran. In the same year, the Shah and Queen Elene asked Levan Dadiani, through their ambassador Avtandil Manvelishvili, to send Castelli to Iran. The principal assured the ambassador that this was not his right and he could not force Father Castelli to submit to his will.
- 7. it is unreasonable to think that Father Castelli had different feelings for Elene. True, Castelli, fascinated by the beauty of Georgian women, often had to fight his feelings; he could not be a superman, but he, as a missionary, probably wanted to leave an indelible mark on the history of missionary activity.

## ზოროასტრიზმი და უცნობი ავტორის "ევსტათი მცხეთელის წამება" Zoroastrianism and "The Martyrdom of Eustathius of Mtskheta" by an unknown author

### ნინო პოპიაშვილი Nino Popiashvili

ივანე ჯავახიშვიღის სახეღობის თბიღისის სახეღმწიფო უნივეhსიტეტი Ivane Javakhishvili Tbilisi State University ჰუმანიტახუღ მეცნიეხებათა ფაკუღტეტი Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: ზოროასტრიზმი, ჰაგიოგრაფია, ევსტატი მცხეთელის წამება

**Keywords:** Zoroastrianism, Hagiography, The Martyrdom of Eustathius of Mtskheta.

"ევსტათი მცხეთელის მარტვილობა" მეორე უძველესი ნაწარმოებია ქართულ ლიტერატურაში იაკობ ცურტაველის "შუშანიკის წამების" შემდეგ (აღსანიშნავია ისიც, რომ არსებობს სხვადასხვა მოსაზრება ქართული ჰაგიოგრაფიული თხზულებების დათარიღების შესახებ. მათ შორის, მეცნიერთა ნაწილი იზიარებს მოსაზრებას "კოლაელ ყრმათა მარტვილობის" ახალ დათარიღებასთან დაკავშირებით; "ქართლის ცხოვრებაში" შესული სხვადასხვა ეპოქის ამსახველი ისტორიების, მათ შორის, "ფარნავაზიანისა" და "ნინოს ცხოვრების" ნაწილების, უძველესობის შესახებ და სხვ.). თხზულებაში გადმოცებულია მე-6 საუკუნის ქართლის პოლიტიკური, სოციალური, რელიგიური და კულტურული ცხოვრების ასპექტები. ტექსტის მეცნიერული შესწავლის დროს გამოიკვეთა რამდენიმე მნიშვნელოვანი და საკვანძო საკითხი, რომელთა შესახებ არსებობს აზრთა სხვადასხვაობა (ი. ჯავახიშვილი, ა. ჰარნაკი, კ. კეკელიძე, მ. ანდრონიკაშვილი, ი. ასმანი და ჰ. სტრომი, შ. ნუცუბიძე, თ. ჭყონია, ბ. კილანავა, ს. სიგუა, ლ. მენაბდე, ე. გაბიძაშვილი, მ. ჩხარტიშვილი. მეტრეველი, გ. კუჭუხიძე და სხვ.). "ევსტათი მცხეთელის მარტვილობა", როგორც ერთ-ერთი უადრესი ჰაგიოგრაფიული თხზულება, ივანე ჯავახიშვილის ინიციატივით, დაინტერესებას იწვევს გერმანულ სამეცნიერო წრეებში. 1901 წელს გამოქვეყნდა ივანე ჯავახიშვილის მიერ თარგმნილი ტექსტი გერმანულ ენაზე, რომელიც ადოლფ ჰარნაკის მიერ არის დამუშავებული.

უცნობი ავტორის "ევსტათი მცხეთელის მარტვილობა" ამჟღავნებს მაზდიანობის მნიშვნელოვან გავლენებს. კერძოდ, თხზულებაში გვხვდება მაზდიანური დაკრძალვის რიტუალი.

მოხსენებაში ვისაუბრებთ ზოროასტრიზმის, როგორც მაზდეანობის შემდგომი ეტაპის, კავშირზე "ევსტათი მცხეთელის მარტვილობასთან".

"The Martyrdom of Eustathius of Mtskheta" is the second oldest work in Georgian literature after "The Martyrdom of Shushanik" by Iakob Tsurtaveli (it should also be noted that there are different opinions about the dating of Georgian hagiographic works. Among them, some scientists share the opinion regarding the new dating of "The Martyrdom of Kolael Children"; about the antiquity of the stories depicting different eras in-

cluded in "Life of Kartli", including parts of "Pharnavaziani" and "Life of Nino", etc.). The political, social, religious and cultural aspects of the 6th century Kartli are conveyed in the work. During the scientific study of the text, several important key issues were identified, about which there are differences of opinion (I. Javakhishvili, A. Harnack, K. Kekelidze, M. Andronikashvili, I. Assmann and H. Strom, Sh. Nutsubidze, T. Chkonia, B. Kilanava, S. Sigua, L. Menabde, E. Gabidzashvili, M. Chkhartishvili, Metreveli, G. Kuchukhidze, etc.). "The Martyrdom of Eustathius of Mtskheta", as one of the earliest hagiographical works, on the initiative of Ivane Javakhishvili, arouses interest in German scientific circles. In 1901, the text translated by Ivane Javakhishvili was published in German, edited by Adolf Harnack.

"The Martyrdom of Eustathius of Mtskheta" by an unknown author reveals the important influences of Mazdaism. In particular, the Mazdian funeral ritual is found in the work. In the paper, we will talk about the connection of Zoroastrianism, as the next stage of Mazdaism, in connection with "The Martyrdom of Eustathius of Mtskheta".

### მორალური პასუხისმგებლობის ცნება განათლების ფილოსოფიაში The Concept of Moral Responsibility in the Philosophy of Education

### მარი სილაგაძე Mari Silagadze

ივანე ჯავახიშვიდის სახედობის თბიდისის სახედმწიფო უნივეhსიტეტი Ivane Javakhishvili Tbilisi State University ჰუმანიტახუდ მეცნიეხებათა ფაკუდტეტი Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: განათლება, მორალური პასუხისმგებლობა, კატეგორიული იმპერატივი.

**Keywords:** education, moral responsibility, categorical imperative.

მორალური პასუხისმგებლობის ცნება განათლების ფილოსოფიაში საკმაოდ კომპლექსური საკითხია და მისი შინაარსი საშუალებას გვაძლევს, პასუხი გავცეთ კითხვას, თუ როგორ უნდა წარ-ვმართოთ მომავლის საზოგადოების ფორმირების პროცესი? აღნიშნულ კითხვაზე პასუხი განათლების ფილოსოფიის ველზე შეიძლება ჟღერდეს შემდეგი იმპერატივის სახით: მომავლის საზოგადოების ფორმირების პროცესი უნდა წარიმართოს მხოლოდ და მხოლოდ მორალურად პასუხისმგებელი პიროვნებების კულტივი-რების გზით.

ჯონ დიუი, განათლების ფილოსოფიის ერთ-ერთი მთავარი ფიგურა, ამტკიცებდა, რომ "განათლება არ არის მზადება სიცოცხლისთვის; განათლება არის თავად ცხოვრება." ეს პერსპექტივა ხაზს უსვამს განათლების სრულიად ბუნებრივ როლს არა მხოლოდ ცოდნის გადაცემაში, არამედ მორალური გრძნობებისა და ხასიათის ჩამოყალიბებაში. დიუის ხედვა განათლების, როგორც უწყვეტი რეკონსტრუქციული პროცესის შესახებ, ასახავს მორალური პასუხისმგებლობის დინამიურ ბუნებას და ცალსახად უსვამს ხაზს სკოლების როლს ეთიკური ცნობიერებისა და კრიტიკული აზროვნების ხელშეწყობაში.

იმანუელ კანტის კატეგორიული იმპერატივი "მოიქეცი ისე, თითქოს შენი ქმედების მაქსიმა შენი ნების მეშვეობით ბუნების საყოველთაო კანონად უნდა იქცეს!" განათლების ფილოსოფიის ველზე შეიძლება გამოვიყენოთ, როგორც ზნეობრივი განათლების ფუნდამენტური პრინციპი. კანტის აქცენტი უნივერსალურ მორალურ კანონებზე ემთხვევა განათლების მიზანს, ჩაუნერგოს მოს-წავლეებს უნივერსალური პასუხისმგებლობის გრძნობა და ეთიკუ-რი მსჯელობა.

პაულო ფრეირი თავის კრიტიკულ პედაგოგიკაში ხაზს უსვამს განათლების მნიშვნელობას ჩაგრულთა განთავისუფლებაში. ის ამტკიცებს, რომ განათლება ან ფუნქციონირებს როგორც ინსტრუმენტი, რომელიც ხელს უწყობს ახალგაზრდა თაობის ინტეგრაციას დღევანდელი სისტემის ლოგიკაში და მოაქვს კონფორმულობა, ან ხდება თავისუფლების პრაქტიკა. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ფრეირისეული ხედვა განათლების შესახებ მორალურ პასუხის-მგებლობას აკისრებს არა მხოლოდ სწავლების შინაარსს, არამედ სწავლებისადმი მიდგომას და მხარს უჭერს განათლებას, რომე-

ლიც საშუალებას აძლევს სტუდენტებს შეცვალონ უსამართლო სოციალური სტრუქტურები.

განათლების ფილოსოფია ავლენს მუდმივ ლტოლვას მორალური პასუხისმგებლობის იდეისადმი და ცდილობს დააბალანსოს ის
კომპლექსურ ურთიერთკავშირს, რომელიც არსებობს ინდივიდუალურ განვითარებასა და სოციალურ ნორმებს შორის. ეს თეზისი ამტკიცებს, რომ ეფექტურმა საგანმანათლებლო სისტემამ არა მხოლოდ უნდა გადასცეს ცოდნა, არამედ განათლების იდეალი უნდა
იყოს იმის უზრუნველყოფა, რომ ადამინები აღიზარდონ კრიტიკულ
მოაზროვნეებად: ბავშვები უნდა გახდნენ მორალური აგენტები,
რომლებსაც შეუძლიათ შეაფასონ რწმენა, სურვილები, ქმედებები,
მიზეზები და სხვა შესაბამისი ფსიქოლოგიური ელემენტები შესაბამისი შეფასების სტანდარტების საფუძველზე. ამ მიმართულებით,
დიუის, კანტისა და ფრეირის შეხედულებები იძლევა ფასდაუდებელ მასალას საგანმანათლებლო კონტექსტში მორალური პასუხისმგებლობის იდეის სწორად გაგებისა და ეფექტური განხორციელებისთვის.

The concept of moral responsibility in the philosophy of education is a multifaceted subject and its content allows us to answer the question: How do we have to shape the future of society? The answer to this question in the field of philosophy of education sounds like the following Imperative: We have to shape the future of society through the cultivation of morally responsible individuals.

John Dewey, a seminal figure in educational philosophy, argued that "Education is not preparation for life; education is life itself". This perspective underscores the intrinsic role of education in shaping moral character, not just imparting knowledge. Dewey's vision of education as a continuous reconstructive process reflects the dynamic nature of moral responsibility, highlighting the role of schools in fostering ethical awareness and critical thinking.

Immanuel Kant's categorical imperative, "Act only according to that maxim whereby you can at the same time will that it should become a universal law." can be used as a foundational principle for moral education. Kant's emphasis on universal moral laws aligns with the goal of

education to instill a sense of universal responsibility and ethical reasoning in students.

Paulo Freire, in his critical pedagogy, stressed the importance of education in liberating the oppressed. He asserted that education either functions as an instrument to facilitate the integration of the younger generation into the logic of the present system and bring about conformity or it becomes the practice of freedom. Freire's perspective places moral responsibility not only in the content taught but also in the teaching approach, advocating for an education that empowers students to challenge and change unjust societal structures.

The philosophy of education shows a constant longing for the idea of moral responsibility and tries to balance the complex relationship that exists between individual development and social norms. This thesis posits that effective education systems must not only transmit knowledge but also that an ideal of education is to ensure that our progeny develop into critical thinkers: children should grow into agents who can assess beliefs, desires, actions, reasons, and other pertinent psychological elements based on appropriate evaluative standards; they should be disposed to such evaluation and motivated by good reasons in belief-formation and action. The insights of Dewey, Kant, and Freire provide invaluable frameworks for proper understanding and effective implementation of moral responsibility in educational contexts.

წმ. არსენ იყალთოელის ეპიტაფიის პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი და სახისმეტყველებითი ღირებულების შესახებ About the Political-State and Rhetorical Value of St. Arsen Iqaltoeli's epitaph ნესტან სულავა Nestan Sulava

ივანე ჯავახიშვიღის სახეღობის თბიღისის სახეღმწიფო უნივეhსიტეტი Ivane Javakhishvili Tbilisi State University ჰუმანიტახუღ მეცნიეხებათა ფაკუღტეტი Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: არსენ იყალთოელი, დავით აღმაშენებელი, ეპიტაფია, პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა, სახისმეტყველება

**Keywords**: Arsen Iqaltoeli, Davit Aghmashenebeli, epitaph, political-state significance, facial expression.

წმ. არსენ იყალთოელის დავით აღმაშენებლისადმი მიძღვნილ ეპიტაფიაში, რომლის ორი ვარიანტია გავრცელებული წყაროებში, რამდენიმე უმნიშვნელოვანესი საკითხია აღძრული. ესენია: პოლიტიკური, იდეოლოგიური, რელიგიურ-მსოფლმხედველობრივი, სახისმეტყველებითი. ეპიტაფია მთლიანად სიმბოლურ-ალეგორიულია, მასში შეფასებულია მეფის დამსახურება საქართველოსა და ქართველი ერის წინაშე საქართველოს დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად და გასაერთიანებლად. მოხსენებაში განხილულია ეპიტაფიის ვარიანტები და მათი ძირითადი მიზანდასახულობა. მის პირველ ტაეპს შინაარსობრივად ერთმანეთისაგან განსხვავებული ორი ვარიანტი აქვს: 1. "ვის ნაჭარმაგევს თორმეტნი მეფენი პურად დამესხნეს", რომელიც დამოწმებულია "ხელმწიფის კარის გარიგების" ტექსტში და რომელიც 1920 წელს გამოსცა ექვთიმე თაყაიშვილმა, და 2. "ვის ნაჭარმაგევს მეფენი შვიდნივე პურად დამესხნეს".

პირველი ვარიანტი თორმეტი მეფის პურად დასხმას გულისხმობს ნაჭარმაგევში, საქართველოს მეფეთა რეზიდენციაში. იგი რელიგიურ-მსოფლმხედველობრივი ხასიათისაა და, ვარაუდით, მას ორგვარი ალუზია-სიმბოლო წარმართავს: 1. ახალი აღთქმისეული, რომელსაც საიდუმლო სერობის სიმბოლური გააზრება უდევს საფუძვლად, მით უმეტეს, ეპიტაფიაში საუბარია პურად დასხმაზე, რაც პირდაპირ ანალოგს პოულობს საიდუმლო სერობასთან (მ. 26, 20-48; მარკ. 14, 17-29; ლ. 22, 14-38; ი. 13-17 თავები). ეპიტაფია ძირითადად პოლიტიკური კონტექსტითაა წარმართული და პოლიტიკურ-იდეოლოგიური და სახელმწიფოებრივი თვალთახედვით ალსაქმელი, მაგრამ მასში რელიგიურ-მსოფლმხედველობრივი ხედვაც უთუოდ იგულისხმება; 2. თორმეტ მეფეში ძველი აღთქმის სიბრძნეც მოიაზრება, რომელშიც იაკობისა და მისი თორმეტი ვაჟის ეპიზოდი შეიძლება მოვიაზროთ და რომელსაც სიუჟეტი-ისტორია შეიძლება ვუწოდოთ.

მეორე ვარიანტთან დაკავშირებით სამეცნიერო ლიტერატურაში სიმბოლურ-ალეგორიული თვალსაზრისით ჩამოყალიბდა ორგვარი გააზრება: 1. მოსე ჯანაშვილის მიერ გამოთქმული, რომელიც კონკრეტულ უცხოელ მეფეთა საქართველოს მეფის სასახლეში პურად დასხმას გულისხმობს და ჩამოთვლილია მათი სახელები; ოღონდ გაურკვეველია, კონტექსტი ამ მეფეთა ერთად დასხმას გუ-

ლისხმობდა თუ არა; საზოგადოდ, ეს შეხედულება მრავალ კითხვას აღძრავს; 2. აკაკი ხინთიბიძის მიერ გამოთქმული, რომლის მიხედ-ვით ტაეპში ქართველ მთავართა შერიგება უნდა იგულისხმებოდეს. მეორე ვარიანტის გაზიარებისას დაისმის კითხვა, ხომ არ იგულისხმება ტაეპის შინაარსში ქართველ მეფეთა შვიდწევრიანი ტიტულატურა, რომელიც საქართველოს შვიდი სამეფო-სამთავროსაგან შედგენას შეიძლება ნიშნავდეს: მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა, სომეხთა, შარვანშა და შაჰანშა, რომელთაგან ბოლო ორი თვით დავითის მოპოვებულია.

ეპიტაფიის მეორე ტაეპი "თურქნი, სპარსნი და არაბნი საზღვართა გარე გამესხნეს" პოლიტიკური დატვირთვისაა და მასში გამოხატული მოსაზრება მიუთითებს დავით აღმაშენებლის ბრძოლას უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ, რაც გამოხატულია გამოთქმით: "თურქნი, სპარსნი და არაბნი", რომელიც ერთგვარ პარალელს პოულობს ამირანის მითთან და ტექსტში მტრის სიმბოლიკით შემოდის. ეს გამოთქმა აერთიანებს მთელ აღმოსავლურ სამყაროს როგორც მტრულ ძალას, რომელიც პოლიტიკურ საყრდენთან ერთად სხვა რელიგიის კუთვნილებაზეც მიუთითებს. ისიც უნდა ითქვას, რომ ერთმორწმუნეობის მიუხედავად, საქართველოსთვის ბიზანტინიზაციაც მიუღებელი იყო, მაგრამ ეს არაა ეპიტაფიაში მითითებული.

მესამე ტაეპი "თევზნი ამერთა წყალთანი იმერთა წყალთა შთამესხნეს" კი გულისხმობს ქვეყნის გაერთიანებას; საყურადღებოა თევზისა და წყლის სიმბოლო და მეტაფორა. წყალი როგორც მაცოცხლებელი და სულიერად განმწმენდელი, ნათლისღების ასოციაციას იწვევს, ხოლო თევზი როგორც მაცხოვრის სიმბოლო კაცობრიობის, მათ შორის, ქართველთა სულიერი განვითარების გზას მიუთითებს. ამერ-იმერის გაერთიანება ერის სულიერი განვითარების შედეგია.

ეპიტაფიის ბოლო ტაეპი — "აწე ამათსა მოქმედსა ხელნი გულზედან დამესხნეს" — ადამიანის გარდაცვალებასთან დაკავშირებული ტრადიციის ასახვა და ქრისტიანული მრწამსის გამოხატულებაა.

დაბალი შაირის საზომით დაწერილი წმ. არსენ იყალთოელის ეპიტაფია აჯამებს და აფასებს დავით აღმაშენებლის ღვაწლსა და დამსახურებას საქართველოს სახელმწიფოებრიობის, ქართველი ერის წინაშე, ასახავს მის ბრძოლას ქვეყნის დამოუკიდებლობის განსამტკიცებლად და გასაერთიანებლად იშვიათი ლაკონიურო-ბით, აგრეთვე, პოეტური სახეებით, იმ სალექსო ფორმის გამოყენე-ბით, რომლითაც ქართველი ერის სული გამოიხატა.

In St. Arsen Iqaltoeli's epitaph dedicated to Davit Aghmashenebeli, two versions of which are spread in the sources, several important issues are raised. These are: political, ideological, religious-worldview, facial expressions. The epitaph is completely symbolic and allegorical, it evaluates the merit of the king to Georgia and the Georgian nation for preserving and unifying the independence of Georgia. The report discusses the epitaph options and their main purpose. His first poem has two different variants in terms of content: 1. "I am the one who hosted twelve kings in Nacharmagevi", which is verified in the text of "King's Court Deal", and which was published in 1920 by Eqvtime Takaishvili, and 2. "I am the one who hosted all the seven kings in Nacharmagevi."

The first option involves hosting the twelve kings in Nacharmagevi, the residence of the kings of Georgia. It is of a religious-worldview character and, presumably, it is guided by two allusions-symbols: 1. The New Testament, which is based on the symbolic understanding of the sacrament, especially since the epitaph talks about the breaking of bread, which finds a direct analogy with the sacrament (Math. 26, 20- 48; Mark. 14, 17-29; Luk. 22, 14-38; Io. 13-17 chapters). The epitaph is mainly guided by the political context and can be understood from a political-ideological and state point of view, but a religious-worldview is undoubtedly implied in it; 2. The wisdom of the Old Testament is also reflected in the twelve kings, in which the episode of Jacob and his twelve sons can be considered and which can be called a story-history.

In relation to the second option, two types of understanding have been formed in the scientific literature from a symbolic-allegorical point of view: 1. The one expressed by Mose Janashvili, which implies hosting the foreign kings in the palace of the king of Georgia and their names are listed; but it is not clear whether the context referred to these kings fighting together or not; in general, this view raises many questions; 2. Expressed by Akaki Khintibidze, according to this line should mean the reconciliation of Georgian chiefs. When sharing the second option, the

question arises, whether the content of the line means the sevenfold titles of Georgian kings, which can mean the composition of seven kingdoms of Georgia: the king of Abkhazians, Kartvelians, Ranians, Kakhetians and Armenians, Sharvansha and Shahansha, of which the last two were gained by Davit himself.

The second part of the epitaph, "Turks, Persians and Arabs have washed me outside the borders" is of political content and the opinion expressed in it indicates Davit Aghmashenebeli's fight against foreign invaders, which is expressed by the phrase: "Turks, Persians and Arabs", which finds a kind of parallel with the myth of Amiran and enters the text with the symbolism of the enemy. This expression unites the entire Eastern world as a hostile force, which, along with political support, also indicates belonging to another religion. It should also be said that despite the unanimity, Byzantization was also unacceptable for Georgia, but this is not indicated in the epitaph.

The third line "I am the one who let fhe fish of eastern waters swim in western waters" refers to the unification of the country; the symbol and metaphor of fish and water is noteworthy. Water, as life-giving and spiritually cleansing, evokes the association of epiphany, and fish, as a symbol of the savior, indicates the path of spiritual development of mankind, including Georgians. The unification of Eastern and Western Georgians is the result of the nation's spiritual development.

The last line of the epitaph – "Here lies the one who performed all these mighty deeds" - is a reflection of the tradition related to the death of a person and an expression of Christian faith.

Written in low shire measure St. Arsen Iqaltoeli's epitaph summarizes and appreciates Davit Aghmashenebeli's achievements and merits before the statehood of Georgia and the Georgian nation. It reflects his struggle for strengthening the independence of the country and unifying it with rare brevity, as well as poetic images, using the poetic form with which he expressed the spirit of the Georgian nation.

სამართლიანობის პრობლემა როგორც თანამედროვე ფილოსოფიის გამოწვევა (ისტორიულ-კრიტიკული ანალიზი) The Problem of Justice as a Challenge to Modern Philosophy (Historical-Critical Analysis)

### მამია სურმავა Mamia Surmava

ივანე ჯავახიშვიდის სახედობის თბიდისის სახედმწიფო უნივეხსიტეტი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტახუდ მეცნიეხებათა ფაკუდტეტი

Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: სამართლიანობა, ბუნებრივი კანონი, პოზიტიური კანონი, ჰიუმის პრინციპი. Keywords: Justice, Natural Law, Positive law, Hume's Principle. ფილოსოფიური აზრის ისტორია ცხადად უჩვენებს, რომ სამართლიანობის საკითხი ე.წ. მარადიულ პრობლემათა რიცხვს ეკუთვის, რომელიც, სხვა მსგავს პრობლემათა დარად, უკვე ფილოსოფიის წარმოშობის დროიდან მოყოლებული, უბიძგებს ამ სფეროში (ე.ი. ფილოსოფიაში) აზრის მოძრაობას. მარადიული პრობლემები ფილოსოფიაში, თავის მხრივ, ყოველთვის გულისხმობს მათ მიმართ მარადიულ მიდგომებს, რომლებიც ამა თუ იმ სახითა და მოდიფიკაციით ფილოსოფიის ისტორიის მთელ გაყოლებაზე იჩენს თავს. აღნიშნული ვითარება, ცხადია, უცხო არც სამართლიანობის პრობლემისთვისაა. მასთან მიმართებით ცენტრალური მნიშვნელობის მატარებელია ფორმალურ-აპრიორული და ისტორიულ-გენეტიკური მიდგომების სახით არსებული დიქოტომია.

აღნიშნული დიქოტომიის ფორმირებას გარკვეული ბიძგი მის-ცა "დევიდ ჰიუმის გილიოტინამ" ("ჰიუმის პრინციპმა"), რომელიც ერთმაეთისაგან განასხვავებს და გამოყოფს მორალსა და რეალობას (მორალურ-ნორმატიულ წესრიგს და რეალურ-ფაქტობრივ წესრიგს). თუმცა ამ ასპექტით მთავარი სიტყვა მაინც იმანუილ კანტმა თქვა. სწორედ მან განასხვავა ერთმანეთისაგან ავტონომიური მორალი და ჰეტერონომიული მორალი, კატეგორიული იმპერატივი და ჰიპოთეზური იმპერატივი, და უჩვენა მორალისა და სამართლის ფილოსოფიაში ფორმალურ-აპრიორული მიდგომის უპირატესობა. კერძოდ, ის, რომ მისგან განსხვავებული და, მაშასადამე, ნებისმიერი ხასიათის ემპირიული მიდგომის გარდაუვალი შედეგი მორალის (ნორმატიული წესრიგის) რელატივიზირებაა.

მეცხრამეტე და მეოცე საუკუნეებში, კანტიანური მიდგომის კრიტიკის საფუძველზე, პოლიტიკის ფილოსოფიაში სამართლიანობის შესახებ მრავალფეროვანი სპეციფიკაციის ალტერნატიული თეორიები გამოჩნდა, რომლებსაც ემპირისტული (ე.ი. არაფორმალურ-აპრიორული) მიდგომა აერთიანებდა. თუმცა ასეთ ვითარებაშიც სამართლიანობის პრობლემის გააზრებაში კანტიანური ხაზი არ დაკარგულა.

ჩვენ სრულად ვიზიარებთ კანტიანურ თვალსაზრისს იმის შესახებ, რომ ეთიკაში, პოლიტიკისა და სამართლის ფილოსოფიაში არაფორმალურ-აპრიორული მიდგომა, საბოლოოდ, გარდუვალად მოიყოლებს რელატივიზმს. ეს კი თავის თავში ფუნდამენტურ წინააღმდეგობებს გულისხმობს და, ამდენად, აუცილებლად გადასალახ თეორიულ გამოწვევას წარმოადგენს. ამის გათვალისწინებით, ჩვე-

ნი აზრით, სამართლიანობის ფილოსოფიური გააზრება ფორმალური პრინციპის წინ წამოწევის და მისგან ამოსვლის პირობებში უნდა განხორციელდეს. ე.ი. აუცილებელია ღირებულებისა და ფაქტის, ნორმატიულისა და რეალურის თვისებრივი დიფერენცის ფილოსოფიური ფიგურის ველში აზროვნება. თუმცა, ამასთან ერთად, ჩვენ მიერ განვითარებული მიდგომა სინთეზური უნდა იყოს, ანუ პარალელურად ის ფორმალურ-აქსიომატურ ბაზასა და (თუნდაც უზოგადეს) რეალურ პრინციპებს შორის კოგნიტური კავშირის ექსპლიცირებასა და დაფუძნებას უნდა ახდენდეს.

The history of philosophical thought clearly shows that the issue of justice belongs to the number of so-called eternal problems, which, along with other similar problems, has given impetus to the movement of thought in this field (i.e. philosophy) since the time of the origin of philosophy. Eternal problems in philosophy, in turn, always imply eternal approaches to them, which, in one form or another and with different modifications, inevitably appear throughout the whole history of philosophy in the form of a kind of dichotomous pairs. For the problem of justice, the dichotomy of formal and historical-genetic approaches is central.

The formation of the mentioned dichotomy was given a certain impetus by "David Hume's guillotine" ("Hume's principle"), which distinguishes and separates morality and reality (moral order and real order). However, the philosopher who took the decisive step in this direction was I. Kant. He distinguished autonomous morality and heteronomous morality, categorical imperative and hypothetical imperative, and showed the superiority of the formal approach in the philosophy of morality and law. He made obvious the fact that any different approach from it (that is empirical ones) inevitably comes to the relativization of morality (normative order).

In the nineteenth and twentieth centuries alternative theories of justice, based on the criticism of the Kantian formalism, appeared in political philosophy, which all without exception shared empirical (i.e. nonformal) character. However, even in such a situation, the Kantian line did not disappear in the studies of the problem of justice.

We will focus on the fact that we fully share the Kantian view that a non-formal approach to the problem of Justice in ethics, and political and legal philosophy ultimately inevitably leads to relativism. This result of a non-formal approach implies in itself fundamental contradictions and thus, it is a theoretical challenge to the study of justice that must be overcome. Therefore, in our opinion, the philosophical understanding of justice should be carried out simultaneously of putting forward the formal principle as the base of the whole construction, i.e. it is necessary to judge in the field of the qualitative difference of philosophical figure between value and fact, normative and real. However, at the same time, the approach mentioned above should be synthetic, that is, it should explain and establish the cognitive connection between the formal-axiomatic base and (even the most general) real principles.

## ეფრემ მცირის ლიტურგიკული მოღვაწეობის შესახებ

### About the Liturgical Legacy of Ephrem Mtsire

### ლელა ხაჩიძე Lela Khachidze

ივანე ჯავახიშვიდის სახედობის თბიდისის სახედმწიფო უნივეხსიტეტი Ivane Javakhishvili Tbilisi State University ჰუმანიტახუდ მეცნიეხებათა ფაკუდტეტი Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: ეფრემ მცირე მარხვანი ახალი რედაქცია Keywords: Ephrem Mtsire, Triodion, new redaction ეფრემ მცირის მოღვაწეობამ მნიშვნელოვნად განსაზღვრა ქართული ფილოსოფიური და თეოლოგიური აზროვნების განვითარება. ეფთვიმე და გიორგი მთაწმიდელების მსგავსად, მან დიდი წვლილი შეიტანა ქართული სასულიერო მწერლობის ყველა დარგში. ეფრემ მცირის მემკვიდრეობა მეცნიერულია ამ სიტყვის თანამედროვე გაგებით. მისი მრავალი თარგმანი დღეისათვის მხოლოდ ნაწილობრივაა შესწავლილი. განსაკუთრებით მცირეა ინფორმაცია ლიტურგიკის დარგში მისი მოღვაწეობის შესახებ.

ქართული ლიტურგიკული ხელნაწერების კვლევამ ნათელყო, რომ მნიშვნელოვანი ლიტურგიკული კრებულის ერთ-ერთი რედაქ-ცია სწორედ მას ეკუთვნის.

ეს რედაქცია გიორგი მთაწმიდელის რედაქციის მარხვანთან კომპილაციითაა შედგენილი. ამასთან ერთად, ის შეიცავს მრავალ-რიცხოვან საგალობლებს, რომელთა უმეტესობა თავად ეფრემ მცი-რის მიერ უნდა იყოს თარგმნილი.

მარხვანის ამ ახალ რედაქციაში შესულია ყველა ტიპის საგალობლები, რომლებიც ხელახლაა თარგმნილი ბერძნულიდან. მათ შორისაა საგალობლები, რომელთა ავტორები ბიზანტიური სასულიერო პოეზიის თვალსაჩინო წარმომადგენლები არიან. მათ ქართულ თარგმანებს ხშირად ერთვის კომენტარები, რომლებშიც მითითებულია მათი ავტორი, მთარგმნელი, თარგმანის ხასიათი, ლიტურგიკული ფუნქცია; ზოგჯერ კი მითითებულია საგალობელის ქართულად თარგმნის შემკვეთებიც. მუშაობის ასეთი სტილი, ზოგადად, დამახასიათებელია ეფრემ მცირისთვის.

XVIII საუკუნის ქართველი მწერლისა და ისტორიკოსის - იოანე ბატონიშვილის ცნობით, ეფრემ მცირემ შექმნა დიდმარხვის მთელი პერიოდის განმავლობაში შესასრულებელი "სამწუხრო მსახურება", რაც გულისხმობს მცირე ფორმის საგალობლების კომპლექტს. მარხვანის ამ რედაქციაში ეფრემ მცირის მიერ შეტანილი ძირითადი სიახლე სწორედ მცირე ფორმის საგალობლებია.

მარხვანის ეს რედაქცია შეიცავს 542 მცირე ფორმის საგალობელს, რომელთა ნაწილი გიორგი მთაწმიდელის რედაქციის მარხვანიდანაა გადმოტანილი, ნაწილი კი ახლადაა თარგმნილი ბერძნულიდან. ეს თარგმანები გამოირჩევა მხატვრული სრულყოფით. თითოეული მათგანი საგანგებო კვლევას მოითხოვს.

ეფრემ მცირის რედაქციის მარხვანი, საგალობლებთან ერთად, შეიცავს სამ მნიშვნელოვან ლიტურგიკულ განგებას, რომლებიც თავად ეფრემის მიერ უნდა იყოს თარგმნილი. ესენია დიდი სამშაბათის, დიდი პარასკევის და იოანე ნათლიმცემლის თავის კვეთის განგებები. ყველა მათგანი საყურადღებოა ლიტურგიკის ისტორიის კვლევისათვის.

ეფრემ მცირის რედაქციის მარხვანის გამოვლენა მთელი რიგი ქართული ხელნაწერების იდენტიფიკაციის საშუალებას იძლევა.

Ephrem Mtsire rendered a great service to the development of Georgian philosophical and theological thought. Like Euthymius and George the Athonites, Ephrem Mtsire displayed his skill in every branch of ecclesiastical literary work. Ephrem Mtsire's versatile activities are scientific by nature in the modern meaning of the word. His numerous translations have been investigated only partially. Particularly scarce is the information about his activities in the sphere of liturgy.

The study of Georgian liturgical manuscripts has made it evident that one of the redactions of important liturgical collections – "Triodion"- was compiled by him.

This redaction has been compiled with the "Triodion" by George the Antonite. At the same time, it contains numerous hymns, the majority of which must have been translated by Ephrem Mtsire.

The innovations connected with the new redaction of "Triodion" contain all kinds of hymns. Among them are hymns belonging to the outstanding representatives of Byzantine hymnography. To the Georgian translations of these hymns are added the titles in which the authors, translators, as well as the nature of the translation, the liturgical rule used while creating them and in some cases the names of the people who ordered them are indicated. Such kind of exactness is typical for Ephrem Mtsire.

According to 18th-century Georgian writer and historian Ioane Batonishvili, Ephrem Mtsire composed "vespers" to be performed throughout the entire Lenten period, which implies a collection of small-form hymns. The primary innovation Ephrem Mtsire brought about in this collection is the small-form hymns.

This collection contains 542 small-size hymns some of which entered from the "Triodion" under George Athonite's redaction and others were translated from Greek. Their Georgian translations are perfect from the artistic point of view. To them are added liturgical servises of Holy Thursday, Holy Friday and John the Baptist's beheading, which made the important elements of the liturgy.

The identification of "Triodion" under the redaction of Ephrem Mtsire allows us to identify a number of Georgian manuscripts.

# "ჰუმანიტარულ მეცნიერებათა კრიზისი" და თანამედროვე გამოწვევები The "Crisis of Humanities" and Contemporary Challenges

#### ქეთევან ხუციშვილი Ketevan Khutsishvili

ივანე ჯავახიშვიდის სახედობის თბიდისის სახედმწიფო უნივეhსიტეტი Ivane Javakhishvili Tbilisi State University

საკვანძო სიტყვები: ჰუმანიტარული მეცნიერებები, განვითარების ტენდენციები, მეთოდოლოგია.

**Keywords:** humanities, tendencies of development, methodology.

მეცნიერება ჰუმანიტარიით იწყება, თუმცა კი ტერმინი შუა საუკუნეებიდან მკვიდრდება და დროთა ვითარებაში მნიშვნლობასაც იცვლის. პოსტმოდერნიზმის ეპოქაში ჰუმანიტარულ მცნიერებებში მოიაზრება ის აკადემიური დისციპლინები, რომლებიც ცალკეული ისტორიული თუ სოციალური ფენომენის კვლევით ადამიანების მიერ სამყაროს მნიშვნელობებით დატვირთვას და მისი ინტერპრეტაციის პროცესს სწავლობენ. ჰუმანიტარული დარგები ღირებულებათა განვითარების საძირკველია. თუმცა თანამედროვე სამყაროში, რომელიც ეკონომიკურ მოგებაზეა ორიენტირებული, ჰუმანიტარიამ ფართო ჯგუფებში თითქოსდა დაკარგა მნიშვნელობა. ინტერესის დაკარგვა იმითაცაა განპირობებული, რომ დაფინანსების შესაძლებლობები მცირდება, ავტომატურად იკლებს ახალგაზრდების რაოდენობა აკადემიურ სივრცეში. სახელმწფობიც უფრო მომგებიანად მიიჩნევენ, ფინანსები იმ სფეროებისკენ მიმართონ, რომლებიც ტექნოლოგიებს ავითარებს ან მყისიერ მატერიალურ შდეგს იძლევა. მეცნიერები ალაპარაკდნენ "ჰუმანიტარულ მეცნიერებათა კრიზისზე". საკითხის ანალიზი მრავალასპექტიანია. უკვე ჩატარებულია ან მიმდნარეობს კვლევები (როგორც თვისებრივი, ისე რაოდენობრივი) სხვადასხვა ქვეყანაში. პარალელურად გააქტიურდა მცდელობები, ისევ საინტერესო გახდეს ჰუმანიტარია. ამ გზაზე მიმდინარეობს პროგრამების შინაარსობრივი და ტექნოლოგიური გადახალისება. ჩნდება ახალი მიმართულებები (დიგიტალური ჰუმანიტარია, საჯარო ჰუმანიტარიაღ). მიმდნარეობს აკადემიური დებატები. მეცნიერთა ნაწილი თეზისს კრიზისის თაობაზე გადაჭარბებულად მიიჩნევს და სტატისტკური მონაცმების შეკრებისა და ანალიზის მეთოდოლოგიაზე ამახვილებს ყურადღებას. სხვები კრიზისს რეალურ პროცესად განიხილავენ და ცდილობენ, ფართე საზოგადოებისა და გადაწვტილების მიმღებთა ჩართვით ახალი სტრატეგიები შეიმუშაონ, პირველ ყოვლისა კი, დაასაბუთონ ჰუმანიტარულ მეცნიერბათა დიდი მნიშვნელობა კაცობრიობის შემდგომი განვითარების გზაზე. ჰუმანიტარული დისციპლინები კრიტიკული აზროვნების განვითარებას, კომპარატივისტული და რელატივისტური მიდგომების ცნობიერად გამოყენებას, ფუნდამნტური ცოდნის დაგროვებას უწყობს ხელს. ეს კი ის კომპონენტებია, რომლთა გარეშეც ისეთ მომხმარებლურ საზოგადოებას მივიღებთ, რომლის წევრებიც "ტექნიკურად კარგ შემსრულებლებად" უბრალოდ მექანიზმის ნაწლებად შეიძლება იქცნენ, რაც უპირობდ ავტორიტარული იერარქიის დამკვიდრების საფრთხს აჩენს. ამ დებატებში ჩვენი საზოგადოების ჩართვაც აუცილებელია, რადგან მიმდინარე სოციალური თუ პოლიტიკური პრობლემების დიდი წილი სწორედ ფართო კონტექსტებისა და დისკურსების ანალიზის არარსებობის, უბრალოდ ვერ დანახვის და გაუაზრებლობის გამო იქმნება. ამ გზაზე განათლების სისტემას, სწავლების გამართულ მეთოდოლოგიას და მიმდინარე დებატების ცოდნას მიენიჭება გადამწყვეტი მნიშვნელობა.

Humanities are the foundation of all sciences. Although the term has been established since the Middle Ages, its meaning was changing over time. In the era of postmodernism, humanitarian sciences include those academic disciplines that are focused on the process of giving the meanings to the world and interpreting it through the research of individual historical or social phenomena. Humanitarian fields are the foundation of value systems. However, in the modern world, which is focused on economic profit, humanities seem to have lost their importance. The loss of interest to humanities is due to the fact that funding opportunities are decreasing; the number of young people in the academic space is automatically declining. Governments also consider it more profitable to direct funds to those disciplines that develop technologies or provide immediate material results. Scholars started to discuss the "crisis of humanities". The analysis of the issue is multifaceted. Researches (both qualitative and quantitative) have already been conducted or are underway in various countries.

At the same time, efforts were made to make humanities interesting again. On this way, content and technological renewal of the programs is ongoing. New directions are emerging (digital humanities, public humanities...). The academic debate is underway. Some scholars consider the thesis about the crisis to be exaggerated; they are directing their focus on the methodology of statistical data collection and analysis. Others consider the crisis as a real process and try to develop new strategies with the involvement of the wider society and decision-makers, and above all to justify the great importance of humanities in the way of further development of humanity.

Humanities contribute to the development of critical thinking, the conscious use of comparative and relativistic approaches, and the accumulation of fundamental knowledge. These are the components without which we will get such a consumer society, the members of which can become "technically good performers" just as the element of the mechanism, which raises the danger of unconditional establishing of an authoritarian hierarchy. It is necessary to involve our society in these debates, because a large number of the current social and political problems are created precisely because of the lack of analysis of broad contexts and discourses, simply not seeing and understanding them. In this way, the education system, proper teaching methodology and the knowledge of current debates will be given crucial importance.

## სიბრძნის ტაძარი თუ აზროვნებაზე აზროვნების აკადემია

### The Temple of Wisdom or Thinking Academy on Thinking

### დემურ ჯალაღონია Demur Jalaghonia

ივანე ჯავახიშვიდის სახედობის თბიდისის სახედმწიფო Ivane Javakhishvili Tbilisi State University ჰუმანიგახუდ მეცნიეხებათა ფაკუდგეგი Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: განმანათლებლობა, უნივერსიტეტი, სოკრატული განათლება, თავისუფლების იდეა.

**Keywords:** Enlightenment, universities, Socratic education, "idea of freedom".

ანტიკურმა ფილოსოფიურმა აზროვნებამ ათასწლეულით გაუსწრო განმათლებლობის იდეას. "განმანათლებლობის პროგრამა იყო სამყაროს განჯადოება. ადამიანის შიშისაგან განთავისუფლება და მათ ბატონებად დამკვიდრება" (მაქს ჰორკჰაიმერი და თეოდორე ადორნო).

განათლების სისტემა ანტიკურობის პირმშოა. სხვადახვა სკოლასა თუ აკადემიაში ხორციელდებოდა თავისუფალი აზრის დაბადების სხვადასხვა დივერსიული ქმედება. რა ხდებოდა ანტიკურ სკოლებსა თუ აკადემიებში?

შუა საუკუნეებში ყალიბდება უნივერსიტეტები. რა არის უნივერსიტეტი? ცოდნის თუ სიბრძნის ტაძარი? უნივერსიტეტი ნიშნავს ერთობლიობას. ეს გახლდათ მასწავლებლისა და მოსწავლის ერთობა (universitas magistrorum et scholarium). შუა საუკუნეებში საუნივერსიტეტო სკოლები ძირითადად ყალიბდებოდა კათედრალებთან.

ტრადიციულად, "უნივერსიტეტი" ჭეშმარიტების ძიებისა და დადგენის, ერთობლივი კვლევა-ძიებების ადგილია. ჭეშმარიტება კი, როგორც "ადამიანის მაკონსტრუირებელი აუცილებლობა".

ახალ დროში ახალი უნივერსიტეტის ახალი მისია სწავლებისა და კვლევის ერთიანობის იდეას დაეფუძნა. უნივერსიტეტი ერთდროულად წარმოადგენდა საგანმანათლებლო დაწესებულებას და სამეცნიერო-კვლევით კორპორაციას.

ფილოსოფოს იასპერსს, უნივერსიტეტი მიიჩნია იმ ადგილიად, სადაც ყველაზე ნათლად ვლინდება ეპოქის შემეცნება. სადაც ხდე-ბა ჭეშმარიტების ძიება ჭეშმარიტებისავე სახელით. ჭეშმარიტების ძიებაა ადამიანის, როგორც დამოუკიდბელი ინდივიდის პრეროგატივა (იასპერსი, უნივერსიტეტის იდეა).

უნდა ითქვას, რომ 1852 წელს ჯონ ჰენრი კარდინალ ნიუმენმა დაწერა პირველი წიგნი "უნივერსიტეტის იდეასა და ფუნქციაზე", სადაც უნივერსიტეტის ჰოლისტური გაგებაა დაცული. მისთვის უნივერსიტეტი ევროპული მოვლენაა. მის წინაპირობად გვიან შუა საუკუნების ევროპაში ჩასახული "შტუდიუმ გენერალი" მიაჩნია. საუბარია "ლიბერალ არტს"-ზე, გაგებული როგორც არაპრაგმატული დისციპლინები. თავისთავად სიტყვასიტყვით თარგმანით ის "თავისუფალ ხელოვნებას" ნიშნავს. ჯერ კიდევ არისტოტელემ მოგვცა მისი დეფინიცია ე,წ. ტრივიუმი და კვადრიუმი.

ამის შემდგომ მთლიანად საუნივერსიტეტო იდეის დისკურსმა ფილოსოფოსთა სააზროვნო სივრცეში გადაინაცვლა, საინტერესო-ა, რატომ და რამ გამოიწვია ეს.

ტრადიციულად გამოყოფენ საუნივერსიტეტო იდეის განვითარების სამ ეტაპს, რაც არსწორად მიგვაჩნია.

ანტიკურობაში ჩამოყალიბებული სოკრატული განათლება კი ბევრად ღრმა აზრის მატარებელი აღმოჩნდა და დღესაც მყარ მეთოდოლოგიად რჩება, რადგან ის ფიქსირებულ დოქტრინებს არ ეფუძნება და მუდამ ახალი იდეების ძიებაშია. ამგვარი განათლების იდეის ჭრილში მოსწავლე და მასწავლებელი ერთ დონეზე დგას. აქ უმთავრესი საფუძველი "თავისუფლების იდეაა". ამიტომაც "საუნივერსიტეტო განათლება თავისი ბუნებით სოკრატულია" (კარლიასპერსი).

როგორც კანტი ბრძანებს, დამოუკიდებლად აზროვნება ნიშნავს ჭეშმარიტების უმაღლესი საზომის საკუთარ თავში (გონებაში) ძიებას (იმანუელ კანტი).

Ancient philosophical thought preceded the ideas of the Enlightenment by a millennium. "Enlightenment's program was the disenchantment of the world; liberating human beings from fear and installing them as masters" (Max Horkheimer and Theodor Adorno).

The education system is the firstborn of antiquity. Various subversive actions for the birth of free thought were carried out in different schools and academies. What happened in ancient schools or academies?

Universities are formed in the Middle Ages. What is a university? Is it a temple of knowledge or wisdom? University means community. It was the union of a teacher and a student (universitas magistrorum et scholarium). In the Middle Ages, university schools were mostly established at the cathedrals.

Traditionally, the "university" is a place for searching and establishing the truth, as well as a place of joint research-study, and the truth, as "man's deconstructive necessity".

In the new era, the new mission of the new university was based on the idea of unity of teaching and research. The university was simultaneously an educational institution and a scientific-research corporation.

The philosopher Jaspers considered the university to be the place where the knowledge of the age is most clearly manifested. Where seeking of truth is carried out in the name of truth itself. The seeking of truth is the prerogative of a person as an independent individual (the idea of Jaspers University).

It should be said that in 1852, John Henry Cardinal Newman wrote the first book "On the Idea and Function of the University", where the holistic understanding of the university is preserved. For him, the university is a European phenomenon. He considers the "studio general" conceived in Europe in the late Middle Ages to be its predecessor. We are talking about "liberal arts", understood as non-pragmatic disciplines. Literally translated, it means "free art". Even Aristotle gave us its definition, the so-called Trivium and Ouadrium.

After that, the discourse of the entire university idea moved to the thinking space of philosophers, it is interesting why and what caused this.

Traditionally, three stages of the development of the university idea are allocated, which we consider wrong.

The Socratic education established in antiquity turned out to be a carrier of much deeper thought and remains a solid methodology till today, because it is not based on fixed doctrines and is always in search of new ideas. In terms of the idea of such education, the student and the teacher are on the same level. The main ground here is the "idea of freedom". That is why "university education is inherently Socratic" (Karl Jaspers).

According to Kant, independent thinking means seeking the highest measure of truth in yourself (in the mind) (Immanuel Kant).

#### სარჩევი/Contents

ლელა ალეესიძე
"ვითარცა იტყჳს ტიმეო" პეტრიწთან
Lela Alexidze
"As Timaeus says" in Petritsi
მარინე ალექსიძე
მარტივი და რთული ქვეწყობილი ტემპორალური
დაქვემდებარებული ნაწილით წინადადებების სინონიმია რუსულ
და ქართულ ენებში
Marine Aleksidze
Synonymy of Simple and Complex Sentences with Temporal
Subordinate Clauses in the Russian and Georgian Languages
ცირა ბარამიძე
ქართული ტერმინი <i>"ჯვახი"</i> კავკასიის ენებში
ონომასტიკუჩი ჹა ღინგვოკუღტუჩოღოგიუჩი ასპექტები14
Tsira Baramidze
The Georgian Term "Jvari" (Cross) in the Languages of the Caucasus
Onomastic and Linguocultural Aspects14
მიხეილ ბარნოვი
"ტრიუმფის შემოდგომა": კონფედერაციის მთავარი დამრტყმელი
ძალა, ტენესის არმია 1862-1864 წლებში19
Mikheil Barnovi
"Autumn of Glory": Principal Confederate Army of Tennessee (1862-1864) 19
ალინა ბაღიშვილი, ნანული კაჭარავა
ტერმინი ინგილოს ეტიმოლოგიისათვის23
Alina Baghishvili, Nanuli Katcharava
For the Etymology of the Term Ingilo23
მიხეილ ბახტაძე
პოლონეთის არქივის (CAW) დოკუმენტი 1930 წელს კავკასიაში
კათოლიკური ეკლესიის მდგომარეობის შესახებ27

Mikheil Bakhtadze
A Document from the Polish Archives (CAW) about the Situation of the Catholic
Church in the Caucasus in 1930
ელისაბედ ბჟალავა
კონცეპტი "სამშობლო" თურქულ ანდაზებსა და ფრაზეოლოგიზმებში.32
Elisabed Bzhalava
Concept of the Native Land in Turkish Proverbs and Phraseological Units32
ნანა გელაშვილი
სინკრეტიზაციის საკითხი აღმოსავლურ ფილოსოფიურ-რელიგიურ
მოძღვრებებში36
Nana Gelashvili
The Issue of Syncretization in Eastern Philosophical-Religious Doctrines36
როზეტა გუჯეჯიანი
"ლიფანალისა" და "ქუნარეშის" ტრადიცია სვანეთში 40
Rozeta Gujejiani
"Lipanali" and "Kunarshi" Tradition in Svaneti
ნინო დარასელია
კონცეპტუალური მეტაფორის შემეცნება ახის აღქმა ერთ-ერთი
რეალიზაციის თაობაზე ქართულ ენასა და კულტურაში . Error! Bookmark
not defined.
Nino Daraselia
On One of the Instantiations of the Conceptual Metaphor Cognition is
Perception in Georgian Language and Culture43
ანასტასია ზაქარიაძე
ტექნოპოლისის პრაგმატიზმი და ქრისტიანული ეთიკის ახალი
დისკურსი46
Anastasia Zakariadze
Pragmatism of Technopolis and a New Discourse of Chistian Ethics46
ზვიად კვიციანი
ადრეშუასაუკუნეების ლითონდამამუშავებელი სახელოსნოები
სვანეთში (ქვედა იფარი)51

Zviad Kvitsiani	
Early Medieval Metalworking Workshops in Svaneti (Ipari)	51
ეტიუდი გრაკლიანი გორიდან	
An Etude from Grakliani Gora	57
ვახტანგ ლიჩელი	
Vakhtang Licheli	
ხვთისო მამისიმედიშვილი	
საგმირო-საისტორიო სიმღერა "ხევსურები გორის ბრძოლაში"	60
Khvtiso Mamisimedishvili	
A Heroic-Historical Song "Khevsurians in the Battle of Gori"	60
ელენე მეძმარიაშვილი	
ისტორიის გაყალბება როგორც პროპაგანდის ინსტრუმენტი	64
Elene Medzmariashvili	
History Falsification as a Propaganda Tool	64
მარიკა მშვილდაძე	
კულტურათა დიალოგი პოლიტიკურ ასპექტში (მცხეთაში	
აღმოჩენილი მინიატურული სკულპტურა-საკიდები)	70
Marika Mshvildadze	
A Dialogue of Cultures in the Political Aspect (Miniature	
sculpture-pendants found in Mtskheta)	70
ივანე მჭედელაძე	
საბჭოთა თარგმანმცოდნეობის ლოკალური/ნაციონალური	
ინვარიანტები: გივი გაჩეჩილაძე და ვიქტორ კოპტილოვი	73
Ivane Mtchedeladze	
Local/National Invariants of Soviet Translatology: Givi Gachechiladze	
and Viktor Koptilov	73
მარიამ ნანობაშვილი	
ჰაგიოგრაფიული ლიტერატურა არაბულ ენაზე	77
Mariam Nanobashvili	
Hagiographical Literature in Arabic	77

მურმან პაპაშვილი
კრისტოფორო კასტელი - ელენე ათაბაგის სულიერი მამა
(ახალი წყაროები, ფაქტები, დასკვნა )8
Murman Papashvili
Cristoforo Castelli - Spiritual Father of Elene Atabeg
(new sources, facts, conclusions)83
ნინო პოპიაშვილი
ზოროასტრიზმი და უცნობი ავტორის "ევსტათი მცხეთელის
წამება" 88
Nino Popiashvili
Zoroastrianism and "The Martyrdom of Eustathius of Mtskheta"
by an nknown author
მარი სილაგაძე
მორალური პასუხისმგებლობის ცნება განათლების ფილოსოფიაში 9
Mari Silagadze
The Concept of Moral Responsibility in the Philosophy of Education9
ნესტან სულავა
წმ. არსენ იყალთოელის ეპიტაფიის პოლიტიკურ-
სახელმწიფოებრივი და სახისმეტყველებითი ღირებულების
შესახებ9!
Nestan Sulava
About the Political-State and Rhetorical Value of St. Arsen Igaltoeli's
epitaph99
მამია სურმავა
სამართლიანობის პრობლემა როგორც თანამედროვე
ფილოსოფიის გამოწვევა (ისტორიულ-კრიტიკული ანალიზი)100
Mamia Surmava
The Problem of Justice as a Challenge to Modern Philosophy
(Historical-Critical Analysis)100
ლელა ხაჩიძე
ედრემ მცირის ლიტურგიკული მოღვაწეობის შესახებ

Lela Khachidze	
About the Liturgical Legacy of Ephrem Mtsire	104
ქეთევან ხუციშვილი	
"ჰუმანიტარულ მეცნიერებათა კრიზისი" და თანამედროვე	
გამოწვევები	108
Ketevan Khutsishvili	100
The "Crisis of Humanities" and Contemporary Challenges	108
დემურ ჯალაღონია	
სიბრძნის ტაძარი თუ აზროვნებაზე აზროვნების აკადემია	112
Demur Jalaghonia	
The Temple of Wisdom or Thinking Academy on Thinking	112

